საერთო გაზეთი

№24 (377) • 6 ივლისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

სულხან მოლაშვილი

„ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მიერ წამებით მოკლულთაგან კიდევ ერთი მსხვერპლია.

დროა, მკვლელები გასამართლდნენ!



მამა ბასილი (მკალავიშვილი):

ცისის ბუნტის დროს ჩემი და სულხან მოლაშვილის მკვლელობა იყო დაგეგმილი

გია კუჭავა:

რას უყურებს ცესკო? რატომ არ ხსნის არჩევნებიდან „ნაცმოძრაობას“?

„მოლაშვილი, რომელიც იყო მართლა ვაჟკაცი კაცი, გამოვიდა და თქვა: ჩემს წამებას **ბოკერია** და **ადეიშვილი** ესწრებოდნენო. ამის შემდეგ რას ფიქრობს და რას აკეთებს გენერალური პროკურატურა. რატომ არ დაკითხავს ამ ადამიანებს?“

ფრთხილად იყავით, აჭარლებო, ხემშილი ლევანა დაბრუნდა!

თამაზ მეჭიაური:

რა მზაკვრული გეგმები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყანაში დესტაბილიზაციის დასაწყებად?

ანზორ ჭითანავა:

ფიქრები ქართული ენერგეტიკის შესახებ



სოსო ცინცაძე:

ვერ გამიგია, რა ემართებათ ამ ადამიანებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

დავით გაგნიძე:

საქართველოში, ყველა სიკეთესთან ერთად, უცხოური კრიმინალური დაჯგუფებების იმპორტიც დაიწყო?



სულხან მოლაშვილი, ადამიანი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ სადისტურმა რეჟიმმა იმსხვერპლა, გუშინ დაასაფლავეს.

მოლაშვილი „ნაცმოძრაობამ“ მოკლა და განა ციინიზმი და საზოგადოების აბუჩად აგდება არ არის, როცა ამ დანაშაულის ჩამდენი რეჟიმი კვლავ ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებს და ქართველ ხალხს მხარდაჭერას სთხოვს.

საზოგადოება უკვე დაიღალა იმის მტკიცებით, რომ „ნაცმოძრაობა“, როგორც კრიმინალური-ფაშისტური რეჟიმის ავტორი და შემოქმედი, უნდა გასამართლდეს და პოლიტიკური საქმიანობის უფლება უნდა აეკრძალოს.

მხოლოდ ერთი სულხან მოლაშვილი ხომ არ უწამებია „ნაცმოძრაობას“ – ასობით უდანაშაულო ადამიანი დახოცეს, ასიათასობით ადამიანს ცხოვრება დაუნგრიეს, ქვეყნის ტერიტორიის მესამედი ხონჩით მიართვეს მტერს და მაინც არაფერი!

სულხან მოლაშვილი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მიერ წამებით მოკლულთაგან კიდევ ერთი მსხვერპლია.

დროა, მკვლელები გასამართლდნენ!

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მამა ბასილი (მკალავიშვილი): ციხის ბუნტის დროს ჩემი და სულხან მოლაშვილის მკვლელობა იყო დაგეგმილი

ინტერვიუ გლდანის ოვერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.

– მამაო, როგორც ვიცი, თქვენ და სულხან მოლაშვილი წლების განმავლობაში ერთად იყავით ციხეში. ბევრი მწარე მოგონება გექნებათ.

– პირველ რიგში, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ სულხანის მეუღლეს, მამას, ძმას, შვილებს, ახლო ნათესავებს, სრულიად საქართველოს, რამეთუ მართლაც უდიდესი დანაკლისია უაღრესად მორწმუნე, ფრიად განსწავლული, პროფესიონალი, საქმის მიყვარული 47 წლის ახალგაზრდას დაკარგვა.

მე 2004 წლის 12 მარტს დამაპატიმრეს. ორი თვის შემდეგ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩემი საკნის პირდაპირ საკანში მოიყვანეს სულხან მოლაშვილი. ჩვენ მოგვეცა საშუალება, განსცდელის ჟამს ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი. მან მიამბო, რომ ის იყო სააკაშვილის პირადი პატიმარი, რამეთუ სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულების დროს სულხანმა ბევრი დარღვევა აღმოუჩინა ჯალათ სააკაშვილს, რის გამოც დამუქრებია მას: მალე პრეზიდენტი გავხდები და ნახე, რას გიზამო. მართლაც მალე აუსრულდა ოცნება და ჯავრი ჩემზე იყარაო.

სულხანი საოცრად მგრძნობიარე იყო ოჯახის, მამის, ახლობლების მიმართ. დაუსრულებლად შვილებზე ფიქრობდა და ღვთის შემწეობით, უამრავ ზეწოლას უმკლავდებოდა. იყო ძალიან გულმოწყალე, შეჭირვებულ პატიმრებს ყოველთვის ეხმარებოდა.

როდესაც მოიყვანეს, მან მაჩვენა ფეხებზე, წელზე, ზურგზე ელექტროშოკით დამწვარი ადგილები. მითხრა, აი, როგორ მაწამესო. მე მას ვამშვიდებდი, რადგან შოკში იყო და თანადგომა სჭირდებოდა და ვეუბნებოდი, რომ სააკაშვილი დიდხანს არ დარჩებოდა და სულხანი მალე დატოვებდა საპატიმროს.

სულხან მოლაშვილს სააკაშვილის მთავრობაში ბევრი მეგობარი ჰყავდა, როგორც შს სამინისტროში, უშიშროებაში და სხვა ინსტანციებშიც. კეთილ ადამიანებს რა გამოლევს, ისინი აწვდიდნენ ინფორმაციას, რომ სააკაშვილს დაგეგმილი ჰქონდა მისი ლიკვიდაცია. სულხანი ამას მტკივნეულად განიცდიდა, რადგან სამ მცირეწლოვან ბავშვს უმამოდ დარჩენა ემუქრებოდა. ამ განცდების გამო მას არასოდეს ვტოვებდი, სულიერად ვანუგეშებდი, რომ მინდობილიყო მხოლოდ ღმერთს. მართლაც შვებას მხოლოდ ლოცვაში პოულობდა.

მის საკანში ხშირად ვხედავდი ქალაქის მაშინდელ პროკურორს **ვალერი გრიგალაშვილს,** მერე, როგორც გაირკვა, უშუალოდ სააკაშვილის ბრძანებით დადიოდა. **გრიგალაშვილის** წასვლის შემდეგ სულხანი ჩემთან შემოდიოდა და მეუბნებოდა, რომ ემუქრებოდნენ, თუ მილიონებს არ გადაიხდიდა, ერთ-ერთ შვილს მოუკლავდნენ. ეს სული წმიდის მგმობელი პროკურორი ყოველ მოსვლაზე თანხას უმატებდა.

– ხომ არ იცით, ბატონი სულხანი რას პასუხობდა?

– მისი ლიკვიდაცია არ განეხორციელებინათ.

სამწუხაროდ, ციხის საავადმყოფოში იყვნენ ექიმები, რომლებიც თანამშრომლობდნენ სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმთან და სულხანს სისტემატურად სხვა წამლებს აძლევდნენ. ნემსის გაკეთების დროს კი, როგორც გაირკვა, ნარკოტიკულ ხსნარს ურევდნენ. სულხანი თვითონ ხშირად შემომჩივლებდა ხოლმე – მგონი, გამთიშეს ამათმა წამლებმაო...

– წარმოიდგინეთ, მას ისე უყვარდა შვილები, ერთხელ დათანხმდა. რის საშუალებაც ჰქონდა, გადაიხადა, მაგრამ შემდეგ ვიზიტზე გრიგალაშვილმა განუცხადა, სააკაშვილმა თანხა იცოტავაო...

ყველაზე სამარცხვინო ერთი ფაქტი იყო: სულხანს პატიმრობის 9 თვე შეუსრულდა. ჯერ მისჯილი არ ჰქონდა, წინასწარი პატიმრობის ვადა კი ეწურებოდა ღამის 3 სთ-ზე. მაშინდელი უტვინო პროკურორი და მოსამართლე ამას ვერ მიხვდნენ. ღამის 12 სთ-ზე ციხის თანამშრომელთაგან ვიღაცამ შეატყობინა, რომ ღამის 3 სთ-ზე სულხანი ციხის დატოვებას ფიქრობსო. მათ მაშინვე დაიწყეს მოსამართლის ძებნა და ღამის 2 სთ-ზე მოიყვანეს ციხეში, რათა პატიმრობის ვადა გაეგრძელებინათ მისთვის. ე. წ. სასამართლოს სულხანი არ დასწრებია. მოსამართლე და მდივანი ციხის დირექტორის კაბინეტში შევიდნენ. იქ მხოლოდ ციხის თანამშრომლები შეიყვანეს, როცა მოსამართლე გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა, ციხის თანამშრომლებმა კაბინეტი დატოვეს, გაკვირვებულმა მოსამართლემ გადაწყვეტილება საპირფარეშოს კარებიდან წაუკითხა ცარიელ კედლებს. გეკითხებით, ეს არის კანონი და სამართალი? სულწაწყმედილი **რურუა** რომ ამბობს, მოლაშვილის წამება მითიაო, თუნდაც ეს არ არის ადამიანის წამება?..



სულხანს (სისტემატურად დარაჯად ვედექით მე, **დავით მირცხულავა** და წყნეთელი **თამაზ გულუაშვილი,** რომ **დროს ბატონი სულხანი თქვენთან ერთად იმყოფებოდა?**

– მეტად ამაღელვებელია ჩემთვის ამ ეპიზოდის გახსენება. პირადად მე ორი კვირით ადრე ვიცოდი ციხეში მოსალოდნელი ბუნტის შესახებ. პიროვნებები, რომლებიც შემოგზავნილი ჰყავდა უშიშროებას, პროკურატურას, შს სამინისტროს... როგორც ღვთის მსახურს, მენდობოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ საიდუმლოს არ გავცემდი. სხვებთან ერთად სულხანიც მეუბნებოდა, არავითარი წინაპირობა არ არსებობს ბუნტისო. რა ვიცოდი, რომ ბუნტი მზადდებოდა სულხან მოლაშვილისა და ჩემს მოსაკლავად.

2012 წლის შემდეგ ერთმა სპეცრაზმელმა მიამბო, რომ მას რეზინის მაგივრად რკინის ხელკეტი მისცეს და დაავალეს, სულხანისთვის დაჩემთვის კისერში ჩაერტყა. საბედნიეროდ, სპეცრაზმმა ჩვენამდე ვერ შემოაღწია. გამოცდილმა პატიმრებმა სამი სართულის სადარბაზო საწოლებით ჩავხერგეთ. ციხეში ასეთი

შემდეგ, სამი თვით, მე-7 იზოლატორში გადაიყვანეს, ყველაზე მკაცრ ადგილას, სადაც მხოლოდ კანონიერი ქურდები იმყოფებოდნენ.

იქიდან ძალიან დაუძლურებული დაბრუნდა. 2-მეტრიანი, 140 კგ წონის კაცი მხოლოდ 70 კგ იყო დარჩენილი.

– მამაო, ციხის ბუნტის ტრადიცია იყო, ვისაც მოკლავდნენ, შემდეგ მოდიოდა კომისია და ყველას ერთი და იგივე დიაგნოზით, გულის ინფარქტით გარდაცვალებას უწერდნენ.

მახსოვს, როგორ ყვიროდა **ბაჩო ახალაია** – საავადმყოფოს ეზოდან ქირურგიულ განყოფილებაში შედითო. როგორც გაირკვა, მის გვერდით **გიგა ბოკერია** იდგა ნიღბით, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ბუნტს.

საგმირო საქმე ჩაიდინა ციხის საავადმყოფოს დირექტორმა, ჩადგა სადარბაზოს შესასვლელში, ხელები გაშალა და მიმართა მათ: ვერ შეგიშვებთ, მძიმე ავადმყოფები არიანო. ეს იყო **მალხაზ სინაურიძე,** რომელიც დღეს დევნილია. საზღვარგარეთ გააქციეს.

გახსენებაც კი ძნელია... **(პაუზა.)** მერე პატიმრები ვარჩევდით ერთმანეთისგან მკვდრებს და დაჭრილებს. ჩვენვე ვუხვევდით დახეული ზეწრებით ჭრილობებს.

მე, როგორც სასულიერო პირი, კატეგორიულად მოვითხოვ, დაწვრილებით გამოიძიონ სულხან მოლაშვილის მკვლელობა, სასწრაფოდ აიკრძალოს საქართველოში „ნაცმოძრაობის“ სატანური სექტის „მოღვაწეობა“. ყოველგვარი გზა გადაეკეტოს მათ ბინძურ ქმედებებს, ვინაიდან სულხან მოლაშვილის მსგავსად უამრავი გახდა ფაშისტური ნაციონალური რეჟიმის მსხვერპლი, უამრავი სიცოცხლეს გამოასალმეს, როგორც სატანისტებს სჩვევიათ.

მრავალტანჯულო სულხან, ისინი, ვინც ლომის წილი დადო შენს განადგურებაში, სრულიად ახალგაზრდა ჩამოგაცილეს ოჯახს, ახლობლებს, შენ სამშობლოს – უნდა დაისაჯონ!

ასეა წუთისოფელი, ცოდვით დამძიმებულნი ბევრნი დააბიჯებენ დედამიწაზე, ზოგიერთნი კი უდროოდ წვანან ქართულ მიწაში.

დიდი იმედი მაქვს, რომ თბილად ჩაიკრავს სულხან მოლაშვილის ტანჯულ სხეულს მშობლიური მიწა და მისი წამებული სული დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს.

ღმერთმა დალოცოს ქართველი ერი!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რას უყურებს ცესკო? რატომ არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს და რატომ არ ხსნის არჩევნებიდან „ნაცმოძრაობას“?

გვესაუბრება ედუარდ შევარდნაძის ყოფილი რეფერენტი, „Caucasian & Asian Citizens“-ის ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში, ბატონი ᲒᲘᲐ ᲙᲣᲭᲐᲕᲐ.

– ორიოდე დღის წინ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, სააკაშვილის რეჟიმისგან ნაწამები სულხან მოლაშვილი საფრანგეთიდან ჩამოასვენეს. იცნობდით ბატონ სულხანს?

– კი, რამდენიმეჯერ შევხვედრივარ მთავრობის სხდომებზე. რომ გითხრათ, ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, თუმცა ჩვენ კარგი ნაცნობობა გვქონდა. ძალიან დიდ პატივს ვცემდი სულხანს.

– რატომ მოინდომეს „ნაციონალებმა“ სულხან მოლაშვილის ასე განადგურება?

– როგორც იცით, სულხან მოლაშვილი იყო კონტროლის პალატის თავმჯდომარე. მან პირველმა დაიწყო საუბრები იმაზე, როგორ ფლანგავდნენ ესენი საბიუჯეტო თანხებს.

მახსოვს, მთავრობის სხდომაზე გამოვიდა და ფაქტები და დოკუმენტაცია წარმოადგინა საპაკშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდის. იქ ნათლად ჩანდა, როგორ არამიზნობრივად ხარჯავდა თბილისის ბიუჯეტის თანხას.

ერთ მაგალითს მოვიყვან. საპაკშვილს მითითებული ჰქონდა, თითქოს კონკრეტულ სახლში გარემონტებული იყო ლიფტები, არადა. სულხანმა წარმოადგინა ფოტოები, რომ მითითებულ ადგილას იყო კერძო სახლები. ეს იმ დროს, როცა საპაკშვილი გაჰყვიროდა – მე ვებრძვი კორუფციას და კორუმპირებულ ჩინოვნიკებსო.

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ დროს ყველაზე მეტ ფულს, სინამდვილეში, მიშა და მისი ამფსონები აკეთებდნენ. სულხან მოლაშვილმა ფაქტები დადო.

2001 თუ 2002 წელს, ზუსტად არ მახსოვს, საპაკშვილმა გამოსცა წიგნი „უკანასკნელი ბრძოლა საქართველოსთვის“. ეს წიგნი მან დაწერა თუ სხვამ დაუწერა და მერე მიშამ ხელი მოაწერა ავტორობაზე, სხვა საკითხია. სულხან მოლაშვილმა განაცხადა მაშინ, რომ ეს წიგნი მიშამ თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გამოსცა.

ეს ის პერიოდია, როცა „რუსთავი-2“ უკვე გახდა წამყვანი მედიასაშუალება და საინფორმაციო ომში ლიდერის პოზიციებს ეუფლებოდნენ. ეს ტელევიზია აჟღერებდა იმას, რაც აწყობდათ ახლადგამოჩეკილ პროოკატორებს, ამბობდა ნახევრად სიმართლეს, ნახევრად მართალ ინფორმაციას, რაც უფრო დამღუპველია, ვიდრე საკუთრივ ტყუილი.

მოლაშვილის განცხდებები „რუსთავი-2“-მა მაშინ გადმოსცა, როგორც შევარდნაძის და მისი ჩინოვნიკების პოლიტიკური ბრძოლა და დაკვეთა ახალგაზრდა პოლიტიკოსების წინააღმდეგ.

– რა რეაქცია ჰქონდათ „ახალ რეფორმატორებს“?

– წარმოიდგინეთ, ისე გაყუჩდნენ, ხმა არ ამოუღიათ.

ამ ავანტიურისტებმა მოლაშვილის ეს განცხადება დაიმახსოვრეს და როცა დრო გავიდა, სულხანს იქით დააბრალეს კორუფციონერობა, გამფლანგველობა და მექრთამეობა.

– რატომ არ გადადგა მოლაშვილი, როცა ხედავდა, რომ მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ? ვერ ხვდებოდა, ესენი რას დამართებდნენ?

– ძალიან კარგად იცოდა, ვინც იყვნენ ესენი, მაგრამ სულხანმა გადადგა ვაჟკაცური ნაბიჯი, არ გაიქცა საპაკშვილივით და ადეიშვილივით.

ახლა რომ გამოდის ეს ნაძირალა **ᲜᲘᲙᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ** და ამბობს: არავის უწამებია სულხან მოლაშვილიო, ამაზე მეტი უნამუსობა რა უნდა იყოს.

მოლაშვილმა, რომელიც იყო მართლა ვაჟკაცი კაცი, გამოვიდა და თქვა: ჩემს წამებას **ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ** და **ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ესწრებოდნენო. ამის შემდეგ რას ფიქრობს და რას აკეთებს გენერალური პროკურატურა. რატომ არ დაკითხავს **ᲑᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ**. რატომ არ აღძრავენ სს საქმეს ამ განცხადებაზე ბოკერიას მიმართ.

მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ პროკურატურაში მრავლად არიან საპაკშვილისდროინდელი კადრები, რომლებიც საკუთარი თავის წინააღმდეგ სს საქმეს არ აღძრავენ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მოლაშვილი მიზანმიმართულად მოიშორეს, რადგან ის, შეიძლებოდა, კვლავ არ გაჩერებულიყო და ნაცების მხილება გაეგრძელებინა?

– მე არაფერს არ გამოვრიცხავ. სულხანმა ისეთი რამეები იცოდა, რაც ბევრმა არ იცის.

დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არის უამრავი საშუალება, რითაც ადამიანს ნელ-ნელა კლავენ. არსებობს ისეთი სამედიცინო პრეპარატები, გარკვეული დროის მერე რომ მოქმედებს. თუმცა მე ვერაფერს დავადასტურებ, ცხადია.

ადამიანი, ფიზიკურს რომ თავი დავანებოთ, მორალურად ისე იყო ნაწამები, სიცოცხლის ნიშანწყალი ჰქონდა ჩამქრალი. მთასავით კაცი დააპატიმრეს მაგ ავაზაკებმა და განახევრებული გამოვიდა ციხიდან.

სულხან მოლაშვილი იყო მიხეილ საპაკშვილის პირადი პატიმარი.

სულხან მოლაშვილი აწამეს და ვერ გატეხეს.

მაგრამ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲭᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გატეხეს. არ ვიცით, რა უქნეს, რა უთხრეს, მაგრამ ის გამოვიდა და რაღაცები აღიარა. იმ ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც თვითონ იყო რეპრესიული მანქანის შემქმნელი. თვითონ ბრძანდებოდა მიშას პირველი გენერალური პროკურორი.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲭᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მიშასთან ყველაზე მეტად დაახლოებული ადამიანი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროსაც, საპაკშვილის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თბილისის საკრებულოში მისი მარჯვენა ხელი, არ დაინდეს და მოლაშვილს ან სხვა ვინმეს ესენი დაზოგავდნენ ან დაზოგავენ აწი? ზღაპარია ამაზე ფიქრიც კი.

– ხომ გამოვიო ნაციონალებს ზოგიერთი? „გირჩი“, ვაშაძე, ბურჭულაძესთანაც ბევრი ნაციონალი ყოფილა. შეიძლება მათი შეცვლა და გამოსწორება?

– ეს არის პოლიტიკური სვლა, ხრიკი, როგორც გველი არ იცვლება ტყავის გამოცვლით, ისე ნაციონალები არ იცვლებიან, უნდათ გირჩი დაირქვან, უნდათ ციყვი. მთლიანად თუ ვერ ეუფლებიან ძალაუფლებას, ნაწილ-ნაწილ მაინც უნდათ, რომ შევიდნენ პარლამენტში.

დღესდღეობით, როგორც ცნობილი გახდა, „გირჩს“ ჰქონია ყველაზე მეტი დაფინანსება, ამას მოჰყვება **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ** და სხვები და დაახლოებით, ალბათ, 10%-მდე შევლენ პარლამენტში.

– რესპუბლიკელებიც არ სარგებლობენ დიდი სიმპათიებით საზოგადოებაში, ისინიც თუ მოხვდებიან პარლამენტში, საკმაოდ ჭრელი პარლამენტი გვექნება.

– რესპუბლიკური პარტია იდეოლოგიურად იგივე „ნაცმოძრაობაა“. ოღონდ გაცილებით უფრო ჭკვიანები და უფრო ვერაგები არიან.

2004 წლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც გავიხსენოთ. რესპუბლიკელები მაშინ პარლამენტში ნაციონალების ქვოტით შევიდნენ.

განათლების დამანგრეველი რეფორმების ავტორ **ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ** ერთად ლევან ბერძენიშვილიც ბრძანდება.

ერთი სატელევიზიო გამოსვლისას **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ცხონებული **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სიცოცხლეში, „იმედზე“ განაცხადა – მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გადავედით ოპოზიციაში, რესპუბლიკურმა პარტიამ მხარი დაუჭირა განათლების რეფორმის კანონპროექტსო.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲚᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ.

მერე, როცა საზოგადოებაში დიდი აგრესია დაგროვდა განათლების რეფორმისადმი, გამოვიდა ბერძენიშვილი და ხელი კახა ლომაიას შეაწმინდა. ლომაიამ წერა-კითხვა არ იცოდა წესიერად, რა უნდა გაეკეთებინა მას, ბერძენიშვილი და მათნაირი გამყიდველები თუ არ მიეხმარებოდნენ?!

სამწუხაროდ, საქართველოში, მიუხედავად 25-30-წლიანი პოლიტიკური კატაკლიზმებისა, არ არის ჩამოყალიბებული პო-

6 გვ.

ფრთხილად იყავით, აჭარლებო, ხემშილი ლევანა დაბრუნდა!

„გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ნებასაო“... წავიდა ასლან აბაშიძე, მაგრამ გიჟმა სააკაშვილმა საკუთარ თავს კი არ ავნო, ჩემს სამშობლოს, ჩემს ქართველებს ავნო, ქუჩა-ქუჩა დახოცა დიდი თუ პატარა, ციხეებში ჯოჯოხეთი მოუწყო, 34 000 ადამიანს. წაართვა და გაუსხვისა ქართველობას ის, რაც ყველაზე ძვირფასია – მიწა, რომელსაც თაობები ეწირებოდნენ, მაგრამ არ თმობდნენ... და, თუკი თმობდნენ, მხოლოდ დროებით და იყო მართლაცდა „ძლევაი საკვირველი“...

ჰმ... დიდგორზე შევიკრიბებითო! – ბრძანა „საკამ“ ოდესიდან და ვიდრე აღმაშენებლის მუზარადს მოირგებს, თავისი მსტოვარი, ბლაგვი და ცბიერი, წარსულში სომეხი და შემდეგ გათურქებული წინაპრების ბადიში ლევანა მოავლინა სარფის კარს, გვერდით საკუთარი მეკუჭმაჭე თანამეცხედრე სანდრა დაუყენა და რიხიანად განაცხადა – ლევანის საქართველოში დაბრუნება ჩემი დაბრუნების საწინდარიაო!!!

ახლა ვინ არის ეს ლევანი, სინამდვილეში რა ჯიშისა და მოდგმის კაცია, ხომ უნდა იცოდეს სრულიად საქართველომ?

აჭარაში ბევრმა კი იცის, მაგრამ რა ბედენაა, თუ იცი და სხვასაც არ ეუბნები?

მოკლედ, აჭარის შეგნებულად გათურქებას, როგორ გგონიათ, ვარშალომიძეებმა შემთხვევით მიჰყვეს ხელი? არა, ბატონებო... შეგნებულად, სრულიად შეგნებულად და ის, რომ აჭარაში არა მხოლოდ თურქული, არამედ სომხური ექსპანსია წლების განმავლობაში შლიდა ფრთებს, სწორედაც რომ სისხლის ყივილი, მამაშვილის წინაპრების სულის ზეიმი იყო და „ძლევაი საკვირველი“ ქართველთა ზედა...

უთოფოდ იპყრობდა და იპყრობს თურქეთი აჭარას... იმ აჭარას, რომელსაც თავის ტერიტორიად მოიაზრებს და „ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის“ უზარმაზარ თანხებს არა მხოლოდ ღიად, არამედ შეფარვითაც უშურველად გასცემს! რამდენი ჰექტარი მიწა გასხვისდა სააკაშვილისა და ვარშალომიძის ავბედითი მართველობის დროს აჭარაში? ასობით!!! შესაძლოა, ათასობითაც, მაგრამ ვინმემ მოიკითხა და გამოიძია? – არაააა!!! რამდენი მეჩეთი აშენდა, ვინ ააშენა და რა დაჯდა ეს მშენებლობები – დათვალა ვინმემ? – არაა!!! რა ძალები იდგნენ თავსმოხვეული რელიგიური ძალების უკან, ვინ იყვნენ და არიან ის ადამიანები, ვინც არა მხოლოდ მეჩეთების აშენებას, არამედ ისლამური რელიგიის პროპაგანდას ეწეოდნენ აჭარაში – მოიკითხა ვინმემ? – არა! ქართველები რომ მეორეხარისხოვან ერად იქცნენ იმავე აჭარაში, რომ მათთვის არათუ მსხვილი, არამედ წვრილი მეწარმეობა აკრძალული იყო – ვინმემ შეისწავლა და დასაჯა დამნაშავე ხელისშემშლელი? – არა! უამრავი სკოლა – მედრესე რომ დამკვიდრდა და პატარა ქართველი ბავშვების გათურქება რომ გადაწყვიტა, თან რომ იმუქრება – რელიგიურ ექსპანსიას არ გაკმარებ და ქობულეთამდე გავალო – ჩემი მიწააო! – ვინმემ აღკვეთა ამგვარი პროპაგანდა? – არა!!!

დიახ, არა და... იმიტომაც ხდება ის, რაც ხდება და მამა-შვილი ვარშალომიძეების ყურმოჭრილი მონა, ე. წ. „მუსლითა თემის“ თავკაცი – ტარიელ ნაკაიძე იმიტომაც დაგვეჭყანება ხოლმე ხან ჭელადან, ხან სამთაწყაროდან და აჭარაში ხომ სულ გვეჭყანება და გვეჭყანებაა...

რატომ მოიძულა ასლან აბაშიძემ ლევან ვარსალომიძის მამა, გურამ ვარშალომიძე მაშინ, როცა თავადვე დანიშნა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ?!

იმიტომ, რომ გურამ ვარშალომიძე სწორედაც რომ მავნებლურ რელიგიურ ჯგუფებთან საიდუმლო კავშირში იმყოფებოდა და აჭარაში მასობრივი გაქრისტიანების პროცესს ფარულად ებრძოდა!!!

როგორ? როგორ და... გურამ ვარშალომიძე გარდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისა, ხელმძღვანელობდა „ქართველ მუსლიმთა კავშირს“, სადაც არა მხოლოდ იგი, არამედ ამ კავშირის რამდენიმე წევრიც პანთურქული

ორიენტაციის გახლდათ!!! მათი სახელ-გვარებიც ბევრმა იცის, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ყველა ერიდებოდა!

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა მხატვარმა გიორგი გეგეჭკორმა ბათუმში, ასლან აბაშიძის დაკვეთით, რამდენიმე ცნობილი მოღვაწის პორტრეტი ჩამოიტანა და განხილვა მოეწყო უზენაეს საბჭოში, რომელი ნახატი უნდა შეძენილიყო ბათუმის ხელოვნების მუზეუმისთვის... ამ ნახატებში, როგორც მასშტაბით, ისე ფერთა გამით გამოირჩეოდა გენერალ ასლან აბაშიძის პორტრეტი (ასლანის დიდი პაპა), რომელსაც ზურგს უკან ქართული ორნამენტებით შემკული ხალიჩა გასდევდა ფონად, ხოლო ფეხებთან სპარსული ხალიჩა ეგდო...

აი, იქ, იმ განხილვისას, რომელსაც, გარდა აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი მხატვრებისა, ესწრებოდა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დახვრეტილი გურამ შარაძე. თქვენი მონა-მორჩილი, მაშინ „მოამბის“ კორესპონდენტი აჭარაში ირინე გოგოსაშვილი, მხატვარი გიორგი გეგეჭკორი. მოხდა სრულიად გამაოგნებელი ფაქტი... სკამიდან წამოხტა მაშინდელი აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ჯემალ ჯაყელი, რომელიც იმავდროულად „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ თანათავმჯდომარეც გახლდათ (თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე) და დასჭექა: „როდემდე უნდა დაგცინოთ თბილისელმა გიაურებმა და როდის უნდა მოეშვათ ჩვენი სარწმუნოების შეურაცხყოფას“-ო? სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და ამ დროს ბატონი გურამ შარაძე ეკითხება ჯაყელს: „კი, მაგრამ ამ ნამუშევარში სად ჩანს, რომ შეურაცხყოფა მოგაყენესო?“ „შეხედეთ გენერალ აბაშიძის პორტრეტს და თავად მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ... მის ზურგს უკან ქართული ხალიჩა იწონებს თავს ჯვრებითა და სხვა ორნამენტებით, ხოლო ფეხქვეშ სპარსული ორნამენტებით შემკული ხალიჩა დაუგო მხატვარმა გეგეჭკორმა! როგორ, განა ჩვენში უფრო უკეთესი მხატვარი არ მოიძებნა, რომელიც ამ ნიუანსებს გაითვალისწინებდა?“ – დაასრულა სიტყვა „მწერალმა ჯაყელმა“ და ბოროტი მზერა მიაპყრო შარაძეს!

ვაიიი... იქ ამბავი ატყდა, ჩემს მტერს... ისეთი ცხარე შეხლა-შემოხლა გაიმართა, მეორე სართულზე შეხვედრა დაასრულა ასლან აბაშიძემ და ქოშინით შემოვარდა სხდომათა დარბაზში... „რაშია საქმეო?“ – მკაცრად მკითხა მე, რადგან იმ წუთას მე „ვამუშავებდი“ ჯემალ ჯაყელს და პირდაპირ ვამბობ „პანთურქიც“ ვუწოდე. რაზეც მიპასუხა – ეგ ქართული სეპარატიზმი სადაც გაგსვლია, იქ გააგრძელეო!

ორი სიტყვით გავარკვიეთ ასლან აბაშიძე საქმის არსში გურამ შარაძემ და მე, ჰოდა... ე, იქ დეიწყო, რაც დეიწყო... „მომისმინე, ჯემალი! – მიმართა ასლანმა მკაცრად ჯაყელს... შენ როგორ ფიქრობ, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხში რომელი ხალიჩის ორნამენტები უნდა ფიგურირებდეს? და, საერთოდ, უკანასკნელად გაფრთხილებთ, თქვენი ვიწრო შეხედულებებიდან გამოხვიდეთ და აკეთოთ, რაც გავალიათ!“

საქმე ის გახლავთ, რომ ამ სხდომა-განხილვას ვიდეოკამერით ვიღებდი, რადგან, როგორც მოგახსენეთ, „მოამბეში“ ვმუშაობდი, მაგრამ ასლან აბაშიძემ მთხოვა, ეს ჩანაწერი წამეშალა, რადგან მაყურებელი ისე მიიღებდა ჯაყელის „მოძღვრებას“, როგორც აჭარის მეთაურის პოზიციას და ამიტომ ჯობდა, საერთოდ არ გაშუქებულიყო!

ახლა ამ ისტორიას როცა ვიხსენებ, ისიც მახსენდება, ვინ მითხრა პირველად, რომ აჭარაში სეპარატისტული, პანთურქული მოძრაობა მართლაც არსებობდა და, რომ არა ასლან აბაშიძე, მაშინაც მძლავრ ორგანიზაციად იარსებებდა!

ასლან აბაშიძემ, ამ ინციდენტიდან მალევე, ფინანსური მაქინაციების მოტივით, თანამდებობიდან გადააყენა გურამ ვარშალომიძე, ხოლო ჯემალ ჯაყელს სულ მუშტები უბრახუნა მაგიდაზე – ჭკვიანად იყავი და თავს ნუ მჭრი მთელი საქართველოს მასშტაბით! აქანე თქვენი ბოგინი დამთავრდა და თუ ჭკუით არ იქნებით, ციხეში დაგალპობთო!“

ეს ყველაფერი რომ ცამდე მართალია, ამაში მაშინდელი მოღვაწე მწერლებიც, პოეტებიც, ჩინოვნიკებიც დამეთანხმებიან და ის მხატვარიც, რომელიც მსახიობ გოგი გეგეჭკორის და თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის შვილი გიორგი გეგეჭკორია და, რომელიც დღეს კულტურის მინისტრის მოადგილეა, აგრეთვე დამემოწმებიან ისინიც, ვინც ამ წერილს აჭარაში კითხულობს და თუ რაიმეს ვამატებ, კი, ბატონო, დაწეროს, მოიტანოს „საერთო გაზეთის“ რედაქციაში და დავბეჭდავთ!..

მოდით, ისიც ვთქვათ, რატომ აირჩია პანთურქული ორიენტაცია ვარშალომიძეების მამაშვილურმა ხელისუფლებამ?

საქმე ის გახლავთ, ძვირფასო მკითხველო, რომ „სისხლმა უყივლათ“ და დაადგნენ იმ სისხლის გზას, საიდანაც აჭარაში ამოჰყვეს თავი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს...

აჭარაში ტერმინი „ხემშილი“ ყველამ იცის, რასაც ნიშნავს, მაგრამ სრულიად საქართველოში თითო-ოროლა კაცმა...

სიტყვა „ხემშილს“ არა მხოლოდ აჭარლები, თურქებიც კარგად იცნობენ და ეტყვიან კაცს, რომელიც მოვიდა თურქეთის მიწაზე, მიიღო მუსლიმური სარწმუნოება და აღიარა ის ადათ-წესები, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი მისდევენ!

მოკლედ, როცა კი გურამ ვარშალომიძის შავბნელი საქმიანობის შესახებ გახდებოდა ცნობილი, იქაური ჩინოვნიკებისგან ხშირად მსმენია: „ხემშილია და სხვას რას უნდა ელოდო, გვიკვირს, ბაბუმ ან აქამდე რატომ არ დააპატიმრაო!“

ასე იყო თუ ისე, ერთხელაც ასლან აბაშიძეს ვკითხე: „ეს მოდებილო გურამა, სულ რომ იღიმება და იფიქრებ, ჭიანჭველას არ ადგამს ფეხს, რა კაცია და „ხემშილს“ რატომ ეძახიან, ან რას ნიშნავს ეს სიტყვა-მეთქი? ასლანს გაეცინა და მეუბნება: ირინა, ხემშილს ჩვენში არა მხოლოს გურამს, ბევრს ეძახიან და ამას ისტორიული ფაქტო-

6 ᲒᲗ.

რას უყურებს ცესკო? რატომ არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს და რატომ არ ხსნის არჩევნებიდან „ნაცმოძრაობას“?

4 გვ.

ლიტიკური კულტურა და ის, რომ არ დაივიწყოს ხალხმა, ვინ, როდის, რა თქვა.

ხალხი დაიღალა.

ლუკმა-პურის ძებნამ გამოთიშა მთავარი პრობლემებისგან, მაგრამ ვინ მიიყვანა ხალხი ამ დონემდე? ბევრი იტყვის, რომ შევარდნაძემ. კი, ბატონო, შევარდნაძემ, მაგრამ ხალხი ყველაზე მეტად გაატყავა და შიმშილის ზღვრამდე მიიყვანა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც საშინ-

ლად ეშინოდა მეტ-ნაკლებად მაძღარი ადამიანის, ადამიანის, რომელსაც ექნებოდა ორი კაპიკი ფული.

ეს სიტუაცია „დათა თუთაშხიაში“ კარგად არის აღწერილი. დათა თუთაშხია არქიფო სეთურთან რომ მიდის და ეკითხება: ეს კაცი ორმოში რატომ გიზისო?! – ამისმა ღორმა ცხრა გოჯი დაყარა, შვიდი წამოვიყვანე, ორი დავუტოვე, ოჯახი ჰყავს, შემცოდაო. ამან ერთი დაკლა, შეჯამა, მეორე გაყიდა, ფული გაუჩნდა და ფიქრი დაიწყო, ამიბუნტდა და სხვებიც აიყოლიაო.

სააკაშვილიც ასე იყო. ადამიანი ცხოველურ ინსტინქტამდე დაიყვანეს – ლუკმა რომ ეშოვათ და სული არ ამოხდომოდათ.

– „დიდგორის ბრძოლის მოგებას“ აპირებს მიშა, როგორ ფიქრობთ, ჩამოვა საქართველოში სააკაშვილი?

– ტყუილად აქვთ ნაციონალებს და მათ მხარდამჭერებს იმედი – მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ვერ ჩამოვა.

სააკაშვილი მშიშარაა და მხდალია. მან მშვენივრად იცის, თუ აქ ჩამოვა, ციხე გარდაუვალი აქვს.

ეს არის წინასაარჩევნო პიარი. მაგრამ ცენტრალური საარჩევნო კომისია რას უყურებს, ისიც გამკვირვებია. სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები და ინფორმაცია, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები შეიკრიბნენ ოდესაში სააკაშვილთან თათბირზე.

საქართველოს ორგანულ კანონში პოლიტიკური პარტიების შესახებ წერია, რომ პოლიტიკური პარტია არ უნდა ფინანსდებოდეს უცხოეთიდან. ამ დროს მოქმედი პარლამენტის წევრები იკრიბებიან საშუალო რანგის ჩინოვნიკთან – ოდესის ოლქის გუბერნატორთან, რომელიც ჭკუას არიგებს ამათ.

ოდესის გუბერნატორი საშუალო რანგის ჩინოვნიკი რომ ერევა სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სრული უფლება აქვს „ნაცმოძრაობა“ მოხსნას საარჩევნო მარათონიდან. კანონშია ეს მითითებული.

– ყველგან თავიანთი ხალხი ჰყავთ ნაციონალებს და ყველაფერს უპრავებენ?

– დიახ. „ნაცმოძრაობა“ არ ყოფილა პოლიტიკური პარტია, ეს იყო მაფიოზური კლანი, როგორც რვაფეხა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ომერტას წესით – ყველამ ერთმანეთზე ყველაფერი რომ იცის და გამოჭერილი რომ ჰყავთ ერთმანეთი, თუ დაარღვევენ „ომერტას კანონს“, იშორებენ, კლავენ. სულ ესაა მთელი მაგათი ფილოსოფია.

რვაფეხას, ამ ჰიდრას თუ არ მოვიშორებთ, არაფერი არ გვეშველება.

– ჰიდრას ერთი თავი აქვს?

– თავი სააკაშვილია, მაგრამ შეიძლება ის იყოს ერთი თავი. სხვა „თავები“ არიან ბოკერია, ადეიშვილი, სხვები. თუმცა ყველაზე მთავარი თავი, ალბათ, არ ჩანს.

– თქვენი ვარაუდით, ვინ შეიძლება იყოს მთავარი თავი, უცხოელი თუ ქართველი?

– მოდით, ასე ვთქვათ, ეს შეიძლება იყოს ქართველიც, რომელიც საერთოდ არ ჩანს. გამოიყენეს ეს გიჟი სააკაშვილი, მისცეს დავალებები, რომელთაც მშვენივრად გაართვა თავი და თვითონ მთავარი „თავი“ ზის ჩრდილში.

– ვინ შეიძლება იყოს ის ქართველი?

– მაგაზე შემდეგ. ამჯერად საკმარისია. ყველაფერი გამოჩნდება მალე. „არა არს დაფარული“, ხომ გაგიგონიათ?!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ფრთხილად იყავით, აჭარლებო, ხემშილი ლევანა დაბრუნდა!

5 გვ.

რები ამყარებს... თურმე გურამის წინაპარი სომხეთიდან თურქეთში ჩასული კაცი ყოფილა, რომელსაც ისლამი მიუღია, შემდეგ აჭარაში შემოსულა და ქართველი გოგო მოსწონებია, მაგრამ გოგოს მამას ცეცხლი უყრია, თურქზე არ გაგათხოვებო! მაგრამ ისიც უთქვამს, თუ გვარს გადაიკეთებს, არა მხოლოდ ცოლად გაგაყოლებ, ყანასაც ვაჩუქებ მზითევშიო... ასე იყო თუ ისე, გათურქებულ სომეხს სიმამრმა თავისი გვარი მისცა და ასე მოდის დღემდე – ვარშალომიძის გვარითო!

აი, ძვირფასო მკითხველო, გურამ და ლევან ვარშალომიძის წინაპრის ისტორია და ახლა მითხარით – ხემშილი მამა-შვილი მაინცდამაინც ქართულ საქმეს რატომ გააკეთებენ მაშინ, როცა მათ ისტორიული სამშობლოს არა მხოლოდ ზღვაზე გასასვლელი, არამედ ბევრი რამის ყიდვა ჰქონდათ განზრახული აჭარაში?!!

ლევან ვარშალომიძის, როგორც აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის (მამასაც ეს თანამდებობა ეკავა... მემკვიდრეობით ერგო! – ი. გ.) პერიოდში სწორედ თურქებზე და სომხებზე გასხვისდა არაერთი ობიექტი, მიწა, წიაღისეული სიმდიდრის შემცველი ათობით ჰექტარი, საცხოვრებელი სახლი დაა. შ.!!!

სწორედ ლევან ვარსალომიძის პერიოდში მიეცათ „მეგობარ“ თურქებს შესაძლებლობა და უფლება იმისა, რომ ქართველებისთვის ბათუმის ცენტრში, ისტორიული ბათუმის ჰერიმეტრზე ბორდელები, სასტუმროები, ჩაიხანები თუ კაფე-რესტორნები გაეხსნათ ისევე, როგორც საზღვრისპირა გონიო-კვარიათში!

სწორედ ვარშალომიძის ზეობის ეპოქაში გადაეცათ სიმბოლურ 1 ლარად თურქებს უამრავი ობიექტი, რომელშიც, თითქოსდა, ინვესტიციები უნდა ჩაედო მყიდველს, მაგრამ ჩადეს რო? ნურას უკაცრავად! დიახ, ნურას უკაცრავად და ამ ისტორიებში გასაკვირი ის არის, რომ მთავარი პირობა გამყიდველსა და მყიდველს შორის იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, ანუ, თუკი მყიდველი შესყიდულ ობიექტს განსაზღვრულ ვადებში არ მოაწესრიგებდა, მაშინ მას ეკისრებოდა ფულადი ჯარიმა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით!

გადაიხადა ვინმემ ეს ჯარიმები? – არა, ბატონებო, არა!!! დღემდე დგას აჭარის სოფლებსა თუ რაიონულ ცენტრებში ასობით შენობა-ნაგებობა, გავერანებულ-გაპარტახებული, იავარქმნილი და მიტოვებული, ოღონდაც ამ ობიექტებზე ყველაზე მთავარი ისაა, რომ თურქული დროშა ფრიალებს, რომელსაც დაშვება იქამდე არ უწერია, ვიდრე არ გაირკვევა, ვისია ეს მიწა – ქართველთა თუ ოსმალთა!!

დიახ, დღეს აჭარაში რომ თურქული დროშებისა და ათასი ჯურის დამპყრობელის დროშათა ფრიალია – ლევან ვარშალომიძის დამსახურებაა! იმ ლევანა ბეჩლამაზასი, რომელმაც სტუდენტობის დროს კიევში სააკაშვილს ბორშჩი არაერთხელ მოუხარშა და შიგ, მეტი გარანტიებისთვის, „ნუსხაც“ ჩაუგდო (ნუსხა-ჯადო. – ი. გ.) მიშას – ღმერთო, დიდხანს მამყოფე ამ კაცთანო!

იმაზე, რომ სააკაშვილ-ვარშალომიძის ტანდემი აჭარის დასაქცევად იყო მიმართული, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ბათუმის აეროპორტი თურქეთის შიდა რეისების აეროპორტად გადანათლეს, ხოლო იქამდე ავიაკომპანია „აჭარა“ და მისი ხელმძღვანელები კი ან დააპატიმრეს, ანდა გაქცეულებს ათასობით დოლარის ჩამოტანა უბრძანეს! მთელ ამ დაპატიმრებებსა და რეკეტს თბილისიდან საგანგებოდ ჩასული პროკურორ-გამომძიებლები აკონტროლებდნენ და ერთ-ერთი მათგანი მიხეილ მაჭავარიანის სიმამრი ჟღენტი თავკაცობდა!!!

ლევან ვარშალომიძე, მისი კლანი და ამ კლანში უპირველესად ვგულისხმობ გაზულუქებულ ბიზნესმენებს, არად დაგიდევდნენ სახელმწიფო ქონებას და როცა ერთმანეთისთვის ზომაზე მეტი საძოვარის ფარგლებს გასცდნენ, ე, მაშინ დაიწყო თითო-ოროლა ქონებაწართმეულმა პირმა უკანონო რეკეტზე საუბარი პრესასთან, ოღონდაც იქამდე იყო ერთი მარტოხელა ქალი, უშვილო და უძირო მეზობელი ვარშალომიძეებისა, რომელმაც არა მხოლოდ პრესას მიმართა (გაზეთი „ბათუმელები“), არამედ სასამართლოშიც უჩივლა გაუმაძღარ მეზობლებს და ამის გამო კინაღამ მოკლეს კიდეც ლევანა და გურამა ვარშალომიძეებმა!

ეს ისტორია აჭარაში ყველამ იცის... ისიც ყველამ უწყის, რომ ქალბატონი ლელა აბესაძე ვარშალომიძეების კარის მეზობელი იყო, მაგრამ გადიდკაცებულ მამა-შვილს ბინის გაფართოვება მოუნდა და ათასი ტყუილის მეშვეობით გადაწყვიტეს, ეს უბედური ქალი გზიდან ჩამოეშორებინათ! ჯერ იყო და... გიჟიაო, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს, შემდეგ ვიღაცას აცემინეს, ფიქრობდნენ, მოკვდებაო, მაგრამ გადარჩა ეს ქალბატონი და სარჩელიც შეიტანა ვარშალომიძეების წინააღმდეგ – ჩემი ბინა უნდათ და მკლავენო. ვის უნდა გამოეძიებინა, ანდა ვის ჰქონდა ორი თავი, ამ საჩივარს ბოლომდე ჩაჰყოლოდა? რომელი გამომძიებელი და მოსამართლე გამოიდებდა თავს, რომლებიც ვარშალომიძეების ყურმოჭრილი მონები იყვნენ? შეიცვალა ხელისუფლება და მაინც არაფერი... ის ქალბატონი დღემდე დაეძებს სამართალს, ოღონდაც უკვე უსახლკაროს სტატუსით და ახლა ლევანა თუ ისევ დაეპატრონა აჭარას, მისთვის ვიღას დასცხება?!!

ეგ კიდევ არაფერი... ახალი ბულვარის მშენებლობისას ლევან ვარშალომიძემ არც ალალი მამიდაშვილი დაინდო და მისი სახლი ტანკით მიანგრია, ხოლო ეზოს ქვა-ღორღი მიაყარა! ქვა-ღორღი კი იმდენი ჰქონდა, რამდენსაც მოინდომებდა, რადგან ინერტული მასალების მომპოვებელი კომპანიების სატენდერო ნუსხაში სწორედ მისი ნებართვის ხელმოწერა ფიქსირდება და არა მხოლოდ მისი...

ხემშილი ლევანი დღეს უკვე საქართველოშია და ჩვენი ქვეყნის საზღვარს სწორედ იქიდან მოადგა, საიდანაც მისი წინაპარი შემოეთრია ჩვენს მიწაზე, ანუ თურქეთიდან!!! მართალია, ფეხსაცმელი მოხვდა თავში, მაგრამ იმ ფეხსაცმლის წონა გაცილებით ნაკლებია იმ ფურთხის წონაზე, რაც მისი მისამართით შეფრქვეულა, რადგან აჭარაში თურქებს დიდი თურქობის ჟამსაც არ ჰქონდათ იმდენი უფლებები, რაც ვარშალომიძის ზეობისას ებოძათ!!!

მიდით, აჭარლებო! დაუფინეთ ხალიჩები ამ უსამშობლო წინაპრის ბადიშს! დაუფინეთ ხალიჩები, ოღონდაც ქართული ორნამენტებით ნაქარგი, რათა კარგად გადათელოს ფეხით ჩვენი წარსული, ჩვენი ადათი, ჩვენი სარწმუნოება და, ზოგადად, ქართული სახელმწიფოს მომავალი!!! აირჩიეთ დეპუტატად და მერე ნუღარავის დაუბრალებთ, რომ აჭარა საქართველოს ნელ-ნელა გამოეცლება ხელიდან!!!

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

P.S. მივმართავ „ქართულ ოცნებას“!!!

ბატონებო, თქვენს საარჩევნო სიაში რომ ვარშალომიძეების სკივრი, ყულაბა და ბანკი გვავთ, სასწრაფოდ ამოიღეთ მისი კანდიდატურა სიიდან! დიახ, ე. წ. ბიზნესმენ თენგიზ ბაკურიძეზე მოგახსენებთ, „ქართული ოცნების“ კანდიდატზე ხელვაჩაურის რაიონიდან და დროულად დაიწყეთ გამოძიება, რა დამსახურებებისთვის ებოძა მას ვარშალომიძეების ხელისუფლებაში ყოფნის დროს არაერთი ობიექტი, მიწის ნაკვეთი და ა.შ. 1 ლარად, არ გჯერათ? „საერთო გაზეთის“ შემდეგ ნომერში გაახლებთ ოფიციალურ დოკუმენტებს და შემდეგ მიხედეთ საქმეს.

ი. გ

ვერ გამიგია, რა ემართებათ ამ ადამიანებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

– ბატონო სოსო, ანგელა მერკელმა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას „ევროპისთვის გარდატეხის მომენტი“ უწოდა. თქვენი აზრით, რა საფრთხე ელის ევროპის ერთიანობას?

– რეფერენდუმიდან საკმაოდ მცირე დრო გავიდა, მაგრამ უკვე ცხადია, ამის ინიციატორები, რბილად რომ ვთქვათ, შეფუცხუნებულები არიან. ეიფორია ჩაცხრა და შედეგიც სახეზეა – რამდენიმე დღის წინ ლონდონში, საპროტესტო მიტინგზე 80 ათასი ადამიანი გამოვიდა. თავდაპირველად მათი რიცხვი 3-4 ათასს არ აჭარბებდა და ბოლოს 80 ათასს მიაღწია. გარდა ამისა, 4 მილიონამდე ადამიანმა ხელი მოაწერა რეფერენდუმის ხელახლა ჩატარების თაობაზე მოთხოვნას. დღეს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, მთხოვნელის როლში ინგლისი გამოდის. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ: კემერონი მოლაპარაკების დაწყებას, რომელსაც ლისაბონის შეთანხმება ითვალისწინებს, არ ჩქარობს, თან ამბობს, ოქტომბერში გადავდგებიო. არადა, ათვლის წერტილი წესით, რეფერენდუმის ჩატარებიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს ჯერ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. თეორიულად, ვინაიდან თავად პარლამენტის წევრთა უმრავლესობა ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგია, ბრიტანეთის პარლამენტს თავისუფლად შეუძლია ხმა ევროკავშირში დარჩენას მისცეს. მაგრამ ბრიტანეთი სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავდება. ვერცერთი პარლამენტარი ვერ აიღებს საკუთარ თავზე ხალხთან დაპირისპირებას, რომელიც ევროკავშირიდან გასვლის მომხრეა. იქ ისე არ ხდება, როგორც აქ, საქართველოში – პირველიდან დაწყებული ხალხის ნდობით აღჭურვილ პარლამენტს ვერ ვეღირსეთ. მახსოვს, როგორ ჩიოდა ვახტანგ გოგუაძე – ამ პარლამენტს მთელს ქვეყანაში მარტო მე ვაქებო. ასეა მას მერე. ამჟამინდელმა უკვე ყველა რეკორდი მოხსნა. ხალხისათვის სასიკეთო საქმიანობით არც წინა პარლამენტი გამოირჩეოდა, მაგრამ ამათ, საერთოდ, უსაქმურობით მოხსნეს რეკორდი. წინა პარლამენტი ხელფასს იმაში მაინც იღებდა, რომ ხელისუფლებას ემსახურებოდა, ესენი ვის ემსახურებიან, გაუგებარია, ელემენტარულად, კანონს ვერ ღებულობენ.

– ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების პროცენტულ მაჩვენებელში სხვაობა 2%-მდე იყო. ეს რაზე მიუთითებს?

– როცა ასეთი მცირე სხვაობაა, ანუ, თითქმის 50-50-ზეა, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა შუაზეა გახლეჩილი. აქ, არაა უმცირესობა და უმრავლესობა, არამედ ქვეყანა ორადაა გაყოფილი, რაც ინგლისისთვის ნამდვილი ტრაგედიაა. ბრიტანეთი დაწყებული ნაპოლეონიდან ჩერჩილამდე დამთავრებული, სწორედ იმით იყო ცნობილი, რომ გასაჭირის ჟამს კუნძული ყოველთვის ერთ მუშტად იკვრებოდა. ეს ინგლისელების მენტალობა, ბუნებაა – ერთად შეიკვრებიან, ყველაფერს ითმენენ, მაგრამ პრინციპები ბოლომდე გააქვთ. დღეს, ეს ერთ მუშტად შეკრული ქვეყანა, გაიხლიჩა. თანაც რა სიტუაციაა? - მათ უკვე ევროკავშირიდან გასვლას ევროპა აჩქარებს. მერკელმა განაცხადა, რომ კემერონის ოქტომბერში გადადგომას ვერ დაელოდებიან და გასვლის პროცედურა ახლავე დაიწყოსო. კემერონი ეშმაკობს, მას არ უნდა ისტორიაში ისე შევიდეს, რომ ინგლისი ევროკავშირიდან მის დროს გავიდეს. ეს მძიმე მემკვიდრეობა უნდა ახალ პრემიერს დაუტოვოს, ეს ხომ ჯოჯოხეთური მოლაპარაკება იქნება. ინგლისის პრობლემები იმით დაიწყო, რასაც არავინ ელოდა. ევროკავშირიდან გასვლის მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, ეკონომიკური სირთულეები შეიქმნებაო, მაგრამ ამ მასშტაბის პრობლემებს ისინიც ვერ წარმოიდგენდნენ – პირველსავე დღეს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა – მორგანის ბანკმა ორი ათასი თანამშრომელი როტერდამში გადაიყვანა. ლონდონის სითი ფინანსურ ცენტრად იყო აღიარებული. ახლა მას ფრანკფურტი და როტერდამი ჩაანაცვლებს. ე.ი. ინგლისიდან უკვე კაპიტალი გარბის. მორგანის ბანკი პირველი მერცხალი იყო, ლონდონიდან დიდი ფული გარბის. გარდა ამისა, ამ მოვლენის შემდეგ, შსს მინისტრის განცხადებით, მკვეთრად გაიზარდა, ქსენოფობიის ფონზე, მიგრანტების წინააღმდეგ დანაშაული. იმიტომ, რომ ევროკავშირში დარჩენის მომხრეები, მიგრანტებს სდებენ ბრალს. ირიბად, ასეც არის – მიგრანტები დამნაშავენი არიან იმაში, რომ ინგლისის მოსახლეობამ ევროპაში ყოფნაზე უარი თქვა.

– მსგავსი რეფერენდუმის ინიციატივით უკვე სხვა ქვეყნებშიც გამოვიდნენ – საფრანგეთში, ჰოლანდიაში, სლოვაკეთში...

– დიახ, ასეა. ბრიუსელში ჩინოვნიკები მართალია მუქთახორა ხალხია, მაგრამ იქ, ათი ათასს ჩინოვნიკს ორჯერ მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე ინგლისის პრემიერ-მინისტრს. ინგლისელები ამან გააცოფა. ისინი ყოველ კვირას, ინგლისის საწევროს სახით, ბრიუსელში 118 მილიონ გირვანქა სტერლინგს რიცხავდნენ. ამიტომ, ამბობდნენ ინგლისელები, შეგვჭამა ევროპამ. ბრიუსელში ჩინოვნიკებს, იმიტომ, რომ მადა სხვებსაც არ გაეღვიძოთ, მიაჩნიათ, რომ ინგლისი სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის გამო უნდა გაამწარონ. თორემ, თუ ინგლისს ევროკავშირიდან გასვლა არაფერი დაუჯდა და პირიქით ცხოვრება უკეთესად დაიწყო, მაშინ ევროკავშირი მართლა დაიშლება. მაგრამ ეს ჩინოვნიკები ეშმაკი ხალხია, სულელები კი არ არიან. ბრიუსელი უდიდესი ბიუროკრატიული მონსტრია, ქალაქი მეგაპოლისი, სადაც ათი ათასი ჩინოვნიკი ღმერთივით ცხოვრობს. ევროკავშირი რომ დაიშალოს, ყველანი უმუშევრები დარჩებიან, ამიტომ ამას არ დაუშვებენ. ეს ბიუროკრატები ინგლისს კიდევ გაამწარებენ, ცხვირიდან სულ ძმარს ადენინებენ. მათი მთავარი ბერკეტი – სავაჭრო ხელშეკრულებაა, არავითარი პოლიტიკური ზეწოლა, იარაღი. ეს ევროპაა და არა რუსეთი. უკვე თვითონ ინგლისელები აყვირდნენ – სავაჭრო მოლაპარაკების დარგში სპეციალისტები არ გვყავს იმიტომ, რომ ბოლო 10-15 წელია, რაც ევროკავშირში ვართ, ამ სპეციალობის ხალხს არ ვამზადებდითო. ახლა რომ დასჭირდათ, ვინ უნდა აწარმოოს ეს მოლაპარაკება, პროფესიონალებმა არა? ეს ხომ საქართველო არ არის, რომ სანტექნიკი გაუშვან დიპლომატიური ხელშეკრულების დასადებად. იქ პროფესიონალიზმი ცოტა მეტად ფასობს. ასეთი საერთო სურათია, გაურკვეველი.

– ამ კრიზისის ფონზე, როგორია საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა?

– რომელიღაც ჩვენს გენიოსს ისიც უთქვამს, ეს კარგია ჩვენთვის, ინგლისი გავიდა და მის ადგილას საქართველოს მიიღებენო. აღარაფერი მიკვირს მაშინ როდესაც ჩვენი პარლამენტის ხალხის რჩეული, ერთი გენიოსი ამბობს, რომ რიონში გემობი უნდა შემოიყვანოს და ქუთაისი პორტად აქციოს. ესპანეთიდან კრუიზი წამოვა, შემოვა რიონში და ქუთაისი კანარის კუნძულებად გადაიქცევა. ასეთი განცხადებები აღარ მიკვირს. რა არის საქართველოს პერსპექტივა? დღეს, არამარტო საქართველოსთვის, ასევე უკრაინისთვის, მოლდოვასთვის პერსპექტივა ერთია – ევროპას რაც მეტი პრობლემები გაუჩნდება, მით ნაკლები დრო, საშუალება და სურვილი დარჩება ჩვენნაირი ქვეყნები კმაყოფაზე აიყვანოს. ეს ორჯერ ორი ოთხია. დღეს, ევროპას თავისი გასჭირვებია, ერთი, შავ ხვრელად ქცეული საბერძნეთი ვერ მოუნელებია და თქვენ გინდათ კიდევ საქართველო წამოჰკიდოთ ზურგზე თავისი მადაგაღვიძებული ბიუროკრატიით? თქვენ გგონიათ, ჩვენს ბიუროკრატიას ბრიუსელის ბიუროკრატებზე ნაკლები მადა აქვს?

– ახლახან, გვამცნეს, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება სრულად ამოქმედდა. პირველი სექტემბრიდან უვიზო მიმოსვლაც გვექნება.

– რასაკვირველია, ვიზა-ლიბერალიზაციას, ადრე თუ გვიან, მოგვცემენ. შეიძლება, ეს სექტემბერშიც მოხდეს, თუმცა, საეჭვოა. ალბათ, მაინც დაელოდებიან როგორ ჩატარდება არჩევნები, ვინაიდან ეს ვიზა ლიბერალიზაცია მათთვის კიდევ ერთი ბერკეტია. თქვენ რა გგონიათ, კარგი ცხოვრებისგანაა ბოლო ორი თვეა კვირიკაშვილი სულ უცხოეთში რომ არის და თბილისში მივლინებით ჩამოდის? სადაც მიდის ყველგან მამაო ჩვენოსავით იმეორებს: ნახეთ, როგორ არჩევნებს ჩავატარებთო. ამიტომ, ევროპელებიც ალბათ, ფიქრობენ: მოდით ვნახოთ როგორ ჩატარდება არჩევნები და მერე მოგცემთ ვიზა-ლიბერალიზაციასო. სხვა რამის იმედი არ უნდა გვქონდეს. რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას, თქვენ იგრძენით რამე? თქვენს ნაცნობებში, მეგობრებში ვინმემ რამე იგრძნო? ასე თუ ისე სამეცნიერო წრეში ვტრიალებ და იქაც, არავის უგრძვნია სიკეთე. ამ დროს, გახსოვთ, რას გვპირდებოდნენ? მილიარდნახევრიან ბაზარში შევდივართო.

6 ბ.

საქართველოში, ყველა სიკეთესთან ერთად, უცხოური კრიმინალური დაჯგუფებების იმპორტიც დაიწყო?

ლარის კურსის მერყეობას, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ეკონომისტი დავით გაგნიძე საქართველოდან დიდი ოდენობით მყარი ვალუტის გადინებასაც უკავშირებს. გასაგებია, რომ ჩვენ სურსათი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი უცხოეთიდან შემოგვაქვს, მაგრამ საქართველოდან ვალუტა მარტო ამ მიზნით არ გაედინება, რაზეც ხმას არავინ იღებს.

დავით გაგნიძე: „ნახეთ რამდენი უცხოელია საქართველოში დასაქმებული, ჩვენი ხალხის მაგივრად მათ ამუშავებენ და ხელფასსაც მყარი ვალუტით უხდიან, სწორედ ამიტომ გაედინება ქვეყნიდან ვალუტის უზარმაზარი ნაკადი. გეგონება, ჩვენ არ გვყავდეს სპეციალისტები და შესაბამისი კადრები, ყველა სახელმიწიფო დაკვეთა რატომღაც უცხოურმა კომპანიებმა და ფირმებმა უნდა შეასრულონ, რომლებსაც თავიანთი ქვეყნებიდან შემოყავთ მუშახელი. თუ უცხოელებმა როგორღაც დაიქირავეს ადგილობრივები, მათ კაპიკებს უხდიან, თავიანთ ხალხს კი უზარმაზარი ხელფასები აქვთ. ჩვენს ფირმებს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ, რომლებიც ჩვენს ხალხს დაასაქმებდნენ და ხელფასსაც ეროვნულ ვალუტაში გადაუხდიდნენ. ეს უცხოური ფირმები შესრულებული სამუშაოს ღირებულებასაც სპეციალურად ზრდიან, ნაკლებ მოგებას აჩვენებენ, რომ რაც შეიძლება მეტად ისარგებლონ ჩვენს ხარჯზე. ხელისუფლებიდან რომ არ ლობირებდნენ უცხოელებს, ფაქტია, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, მერე აქეთ გვეწუწუნებიან უამრავი ფული გადის საზღვარგარეთო. რატომ იბლოკებიან ადგილობრივი ფირმები, ამას აუცილებლად უნდა მიხედოს მთავრობამ. როცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რასაც მარტო მე არ ვამბობ, რომ უცხოელები მომსახურეობის თვითღირებულებას შეგნებულად ზრდიან, ხელისუფლება რომ გქვია, აუცილებლად უნდა შეისწავლო ეს საკითხი. დავუშვათ, გიგი უგულავამ შემოიყვანა ეს კომპანია, ახლა ხომ ახალი მთავრობა ყავს დედაქალაქს, რატომ არ აუქმებ ამ კომპანიასთან დადებულ კაბალურ ხელშეკრულებას, მით უმეტეს, რომ ამ პირობებსაც არ ასრულებს. სასამართლოთიც ვერ გავაუქმებთო, ისეთი პირობებია ჩადებულიო თავს რომ იმართლებენ, ეგ ყველაფერი ხომ არაკონსტიტუციურია, მიმართე მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს.უცხოელების ასეთი ინტენსიური შემოდინება, გარდა იმისა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ართმევს სამუშაოს, სხვა მხრივაც ძალზე სახიფათოა.

- რას გულისხმობთ?

- როდესაც ასეთი სიტუაციაა, ქვეყანა იძენს ასე ვთქვათ, დერეფნის ფუნქციას, მის ტერიტორიაზე ეთნიკური დაჯგუფებების შექმნა იწყება, ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან ეთნიკური კრიმინალური დაჯგუფებები იქ მიდიან, სადაც ფული „კეთდება“. სხვათა შორის, ეს პრობლემა, მარტო ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოშია, რუსეთი ავიღოთ, სადაც ჩინელების გარდა, უკვე ნიგერიელებისა და ვიეტნამელების დაჯგუფებების პრობლემა აქვთ. უცხოელმა კრიმინალებმა ჩვენზე კარგად იციან, სად „კეთდება“ დიდი ფული, რადგან მათი ხელმძღვანელები იმ კონკრეტული ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. ეს ხალხი რომ დაიჭირონ, ყველა სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი იქნება, მაგრამ მოგეხსენებათ ყოფილი სპეცსამსახურელი არ არსებობს, მით უმეტეს საზღვარგარეთ. ე.წ. აბრეშუმის გზის მატარებელმა უკვე გაიარა საქართველოში, ასე რომ ეთნიკურ კრიმინალურ დაჯგუფებებსაც უნდა ველოდოთ, თუ უკვე არ არიან. ქართული „შავი სამყაროს“ წარმომადგენლები

კი ყველა გავყარეთ ქვეყნიდან. რა გამოდის, კრიმინალებსაც კი საზღვარგარეთელებს ვუწყობთ ხელს, რომ აქ თავიანთი კრიმინალური დაჯგუფებები შექმნან და მომავალში „პალაჟენია“ დაგვიყენონ. 4-5 წლის წინ ხმები დადიოდა, რომ ვიღაც ჩინელი იყო ჩამოსული და ფულს „აწერდა“ თუ რაღაც ამგვარი გარკვეულ პირებს, ამ ინფორმაციამ პრესაშიც გაიჟღერა გაკვრით, თუმცა მერე ველარ მოვიძიე ინტერნეტსივრცეში, არადა აშკარად იყო. ე.ი. იმ დროიდან მოყოლებული მიდის ესპროცესი. იმიტომ არიან თუნდაც ჩინელები ერთად. რამდენიმე ადამიანმა მომიყვა, თბილისის ზღვაზე, სადაც ჩინელები რაღაცას აშენებენ, ერთი ჩინელი ისე სცემეს თავისიანებმა, სულ დაასისხლიანეს, მაგრამ პოლიციაში არავინ მისულა, შეიძლება ის ადამიანი მოკლეს კიდეც, არც ეს ვიცითო. შიგნით ხდება ანგარიშსწორება, მაგრამ ფაქტია, ინფორმაცია გარეთ არ გამოდის. ეს ალბათ, არც არის გასაკვირი, მათ მარტო საკუთარი ენა იციან და ძალიანაც რომ უნდოდეთ, პოლიციას ინფორმაციას ვერ მიაწვდიან.

უამრავი ნიგერიელია საქართველოში, ისინი ძირითადად ნარკოტიკის გადატანაზე „მუშაობენ“, კუჭით გადააქვთ, რამდენი ასეთი იყო დაკავებული. ნიგერიელებსაც თავიანთი კრიმინალური დაჯგუფება აქვთ შექმნილი, ეს შეიძლება ვარაუდია, მაგრამ ყველაფერს უნდა მიაქციო ყურადღება და ანგარიში გაუწიო. ჩემი ვარაუდით, ვიეტნამურ მალამოს და „აბრეშუმის გზის“ ამოქმედებას ვიეტნამური კრიმინალური დაჯგუფებაც მოყვება, მაგრამ ჩინური რომ უკვე არის, ორი აზრი არ არსებობს. რუსული დაჯგუფებები არსებობს, თუ ასე არ არის, მაშინ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის „კანონიერ ქურდებს“, გასულ წელს ერევანში რატომ ჰქონდათ „სხადნიაკი“? ე.ი. მათ იცოდნენ აქ ასეთი ამბები რომ უნდა მომხდარიყო. კრიმინალების „იმპორტს“, რუსული დაჯგუფებები თუ აღუდგებიან წინ, მით უმეტეს, რომ რუსული კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთი ძლიერი შტო ქართულია, მაგრამ ჩვენი სამართალდამცავები და უსაფრთხოების სამსახური მათ იმედზე ხომ არ უნდა იყოს. მათაც ხომ უნდა მიიღონ ზომები კრიმინალური ტალღის შემოდინების აღსაკვეთად, მაგრამ ვინმე აკეთებს ამას, ან თუნდაც ემზადება?

ნარკოტრანზიტი (გარკვეულწილად იარაღის ტრანზიტიც) ისედაც ხდებოდა საქართველოს გავლით, მაგრამ „აბრეშუმის გზის“ ეგიდით მატარებლები რომ დაიწყებენ მოძრაობას, კრიმინალი გაცილებით მოიმატებს, არ გინდა მატარებელში აკრძალული ტვირთი, თუნდაც 100 კგ „ჰეროინი“ იპოვო? ამ ყველაფერს გაკონტროლება უნდა. ჩვენმა ძალოვნებმა რამდენჯერმე კი ამოიღეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია, რადგან საქართველოს გავლით, ტონობით ნარკოტიკი გაედინება ევროპაში. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მოვუწოდო ჩვენს უსაფრთხოების დაცვისა და სამართალდამცავ სტრუქტურებს, რომ თუ უკვე არ დაუწყიათ, სასწრაფოდ დაიწყონ ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა, ამისთვის გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტები გვჭირდება, იმიტომ, რომ ამ ტრანსნაციონალურ კრიმინალში უკვე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიც არიან ჩართულ-გარეულნი.

უსაფრთხოების სამსახურის უფროსს პარლამენტში იბარებენ, ვითომდა ანგარიშის ჩასაბარებლად, ამის დრო აქვს ვახტანგ გომელაურს, ქვეყანაში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ მან დღე და ღამე უნდა იმუშაოს, ესენი კი ფსიქოლოგიურ ტერორს უწყობენ, თან ხომ ნახეთ, ეს ადამიანი ორჯერ ტყუილად ჩაიყვანეს ქუთაისში. რა სამუშაოებს ატარებს უსაფრთხოების სამსახური, უნდა გამოვარდეს და იყვიროს? სპეცსამსახურებმა მთელი დატვირთვით უნდა იმუშაონ და ამ ე.წ. ოპოზიციონერებმა მათ მუშაობის საშუალება უნდა მისცენ. ამათ ქმედებას რომ ვუყურებ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ „შეკრულები“ არიან კრიმინალურ დაჯგუფებებთან. ახალს არაფერს ვამბობ, ცნობილ ამერიკელ განგსტერს ალ კაპონეს უამრავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და ბოლოს გადასახადების გადაუხდელობისთვის დასაჯეს. ვერც „დაუმტკიცებდნენ“, რადგან ის მთავრობის წევრებს

ფულს უხდიდა და მტკიცებულებებიც ქრებოდა. შემოსავლების დამალვაზე მოქრთამულები ვეღარაფერს იტყოდნენ და იმიტომაც წაუყენეს ეს ბრალი.

- მე თუ მკითხავთ, გომელაური არც უნდა წასულიყო, რაღაც არ მახსოვს, ვანო მერაბიშვილს ნაციონალების დაძახილზე პარლამენტში ერბინა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ პარტიას წარმოადგენდნენ.

- პარლამენტარები არიან და პატივი სცა, ისე, გომელაურის ადგილზე არც მე ჩავიდოდი, მით უმეტეს, როცა ამდენი პრობლემაა ქვეყანაში, რომელ ერთს უნდა მოუაროს ამ ადამიანმა, მაგრამ მას ისე კბენენ ნაცები, რომ ნამდვილად სერიოზულად ამუშავდა მისი უწყება. ქვეყანაში სხვადასხვა ეთნო-კრიმინალური დაჯგუფებები ყალიბდება

და იქნებ სწორედ ამ თემაზე მუშაობს გომელაური, საჯაროდ ხომ არ იტყვის რაზე მუშაობს, შენ კი აიძულებ გითხრას, ესენი საერთოდ ნორმალურები არიან? ჯერ სპეცსამსახურების საერთოდ გაუქმება მოუნდათ, მერე თურმე დეტალურად უნდა ჩაბარონ ანგარიში, რას აკეთებს უსაფრთხოების სამსახური, ე.ი ინფორმციის გამოტანა უნდათ?

უბედურება ისაა, რომ საქართველოში ეს სხვა ეთნოსის კრიმინალური დაჯგუფებები რომ ყალიბდება, არავის ეწყინოს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პარლამენტში ლობისტები ეყოლება, ფულს დიდი ძალა აქვს. ვახტანგ გომელაურს ახლა ვინც სთხოვს, ყველაფერი მოგვიყევი რასაც აკეთებთო, სწორედ იმ კრიმინალების საქმეს აკეთებენ. რუსეთში საბჭოთა კავშირის დროს და შემდეგაც, უშიშროების სამსახურის თანამშრომელს აგენტისთვის ფულს რომ აძლევენ, მერე პასუხს აღარ სთხოვენ, რომ ამით არ გაიშიფრონ, ეს ნაცპარლამენტარები კი უსაფრთხოების სამსახურის უფროსს პარლმენტში იბარებენ და უნდათ საჯაროდ ალაპარაკონ. რა უნდა დავარქვათ ამათ საქციელს? ამ კრიმინალურ ეთნოდაჯგუფებებთან დაკავშირებით, რომლებსაც საკუთარი ქვეყნების სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ, განგაშის ზარები გვაქვს შემოსაკრავი, საქართველოში რაც დარჩა იმასაც ხომ წაიღებენ და დამატებით ყოველგვარ კონტრაბანდასაც გაატარებენ. ვინ უნდა მიხედოს ამას, რა თქმა უნდა ჩვენმა სპეცსამსახურებმა, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესშია და ყველა მხარში უნდა დავუდგეთ, რომ სრულფასოვან სამსახურებად ჩამოყალიბდნენ. უამრავი ჩეჩენი გადავიდა ქართულ გვარზე, ქართველ ქალებთან მოაწერეს ხელი და მათი გვარი აიღეს და მოედნენ მთელ ევროპას, ვითომ ქართველები არიან. ახლა რომ გვეუბნებიან გერმანელები, ევროპაში უამრავი ქართველი კრიმინალიაო, ყველა ქართველი კი არ არის, გერმანელს კი არა, შეიძლება თქვენც გაგიჭირდეთ ჩეჩნის ქართველისგან გარჩევა. ამ ყველაფერს აღრიცხვა, სერიოზული მუშაობა ჭირდება. თუ მოსახლეობასა და სპეცსამსახურებს შორის ნდობა და კავშირი არ იქნა, ძალიან ძნელია მათთვის მუშაობა. მათ გვერდით უნდა დავუდგეთ, რადგან ეთნოკრიმინალური დაჯგუფებები უკვე საქართველოშია. წლებია ყველანაირ პირობას ქმნიან, რომ საქართველო აბორიგენი მოსახლეობისგან დაიცალოს, ჩემი აზრით, ეს ვიზალიბერალიზაციაც მაგას ემსახურება, რომ ყველაფერი უცხოელებმა აიღონ ხელში. ნახეთ ლიტვაში რა ხდება, ფაქტობრივად იქ ლიტველები აღარ არიან, დაიცალა ქვეყანა. ჩვენებს კი უხარიათ, ვიზალიბერალიზაცია, „აბრეშუმის გზა“, ეს გზა ათას უბედურებას მოგვიტანს, როგორც ბაქო-ჯეიჰანის „ტრუბამ“ მოგვიტანა. რასაც ჩვენ ვაკეთებთ ამერიკის და საერთოდ დასავლეთის კარნახით, ყველაფერს რომ უსიტყვოდ ვუსრულებთ, იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი „ტუპიკად“, ჩიხად რჩება, როგორ წარმოგიდგენიათ, რუსეთი ამას დაუშვებს და მოითმენს? რა თქმა უნდა არ დაუშვებს. რაც ყველაზე საგანგაშოა ამ ეთნოკრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული საქართველო მათ შორის დაპირისპირების არეალად იქცეს, ეს ომის ტოლფასი იქნება. ღმერთმა არ ქნას, ასეთი რამ მოხდეს, რუსეთი და სხვა დიდი ქვეყნები ასეთ დაპირისპირებას ადვილად გაუმკლავდებიან, საქართველოსთვის კი ეს უდიდესი ტრაგედია იქნება.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ვერ გამიგია, რა ემართებათ ამ ადამიანებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

7 გვ.

ამ დალოცვილებს ნუთუ წიგნი მაინც არ წაუკითხავთ? კი, მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლები მე-15 საუკუნედან იწყება. მაგრამ ნორმალური ქვეყნები ჯერ პროდუქციას ქმნიდნენ და მერე ეძებდნენ სად გაეყიდათ ეს პროდუქცია. ჩვენ, პროდუქცია არ გვაქვს და უკვე ვეძებთ სად გავყიდოთ. რას ვყიდით?! ეს სატირალია, შვეიცარიასა და ლიხტენშტეინში რა უნდა გავყიდოთ? ან ნორვეგიაში? ღვინო? ევროპა მიაქვს ღვინოს. ისლამურ ქვეყანას – ალჟირს შეუძლია მთელი ევროპა წალეკოს და ჩვენ ჩვენი ნახევრადფალსიფიცირებული ღვინით შევდივართ? ამის წინ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა თქვა, ჩვენს თაფლზე ძალიან დიდი მოთხოვნაა ევროპაშიო. ეს სასაცილოა. როდის აქედან იქცა საქართველო თაფლის მწარმოებლად? ჩემს ბავშვობაში გურიაში მართლაც იყო თაფლი, მაგრამ დღეს სადღაა, სუბტროპიკული ზონები დაბინძურებულია. თბილისი, დაბინძურებული ჰაერით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა და საქართველოში ალპური ზონების ჰაერია? ფუტკარს სუფთა ჰაერი უნდა.

– ევროპის დაცემასა და სიკვდილზე ჯერ კიდევ ადრე წერდნენ. რატომ დაიწყო ახლა ეს პროცესი, პრობლემა ლიდერების კრიზისიც ხომ არ არის?

– რასაკვირველია, ლიდერების კრიზისი მთელს მსოფლიოშია. უკანასკნელი მოჰიკნები,

დიდი ევროპელები იყვნენ ტეტჩერი, დეგოლი, ჩერჩილი. მათ მერე ვინ იყო? საქართველოში ეტყობა ჯერ ასეთი კრიზისი არ დამდგარა, არც ევროპაში. თუ დადგა, ალბათ, ლიდერებიც გამოჩნდებიან. ჩვენთან ეს არ იგრძნობა იმიტომ, რომ ლიდერები ცარიელ ადგილას არ იქმნებიან. ელემენტარულად, ქვეყანას სადაც 23 წლის ჩინოვნიკს 15-ჯერ მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე პროფესორს, მომავალი არ აქვს.

– ბატონო სოსო, აბმედ ჩატაევთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის გაკეთებულ განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა. რასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში?

– იუსტიციის მინისტრი ყოველდღე ახალ-ახალ რეკორდებს ხსნის, რა ემართება ამ ხალხს. წულუკიანი ჩემი სტუდენტი იყო, თავად 10 ხუთიანი მაქვს მისთვის დაწერილი, სტუდენტობისას ჭკვიანი გოგო იყო, დიპლომატიური აკადემია აქვს დამთავრებული. ახლა, რა დაემართა? ეს ხალხი მაოცებს. რამოდენიმე დღის წინ სესიაშვილს ვუსმინე. მე და ირაკლი ერთად ვიყავით ნინო ბურჯანაძის ფონდში, ნორმალური ბიჭი იყო. რა დაემართა, სადაა ელემენტარული ლოგიკური აზროვნება? – ჯერ თქვა, ჩატაევს ფეხზე განგრენა ჰქონდა დაწყებული, ძლივს მიფოფხდა მესაზღვრეებთან, მათ არც იცოდნე ვის დაეხმარნენ, გვარიც არ უთქვამსო, იქვე, ამბობს ლიმონკები ჩაუდესო. ვინ, მესაზღვრეებმა ჩაუდეს ლიმონკები კაცს, რომლის გვარიც არ იცოდნენ? გარდა ამისა, სესიაშვილმა თქვა, ჩატაევი საკაშვილის საიდუმლო აგენტი იყოო. კი ბატონო, საიდუმლო აგენტები ყველას ჰყავს. ამას დააყოლა, მივლინებებით დადიოდა და ამაზე დოკუმენტები არსებობს – სამივლინებო ბარათებია გამოწერილი თავის საბუღალტრო ანგარიშებითო. მაგ დალოცვილს ერთი დეტექტივი მაინც არ წაუკითხავს? თქვენ გაგიგიათ, ჯეიმს ბონდი სადმე გაგზავნონ და მივლინების ბარათი გამოუწერონ? ე.ი. ჩატაევს სააკაშვილი სადღაც საიდუმლოდ მამაძაღლობის გასაკეთებლად აგზავნიდა და ჯიბეში მივლინების ბარათი ედო?! გამოდის წულუკიანი და ამბობს, ჩატაევის გათავისუფლების წინააღმდეგი ვიყავიო. ამ დროს, მაშინ ყველაფერი თავად იყო პროკურორიც, მინისტრიც... რა გამოდის, წულუკიანი წინააღმდეგი იყო და კბილაშვილმა ჩატაევი მის ჯინაზე გაათავისუფლა?!

– ბოლოს მინდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გაუქმებაზე გკითხოთ. ხიდაშელმა განაცხადა, ამის თაობაზე ამერიკელებს დავეკითხეო.

– რას ჰქვია ამერიკელებს ვკითხეო? პოლიტიკაში მორალი, ზნეობა ზღაპარია. ეს, ხიდაშელის მხრიდან. ნახეთ, ახლა, რა ხდება: ხიდაშელმა სავალდებულო სამხედრო გაწვევა გააუქმა, თუმცა კანონი არ დაურღვევია იმიტომ, რომ მინისტრს ამის უფლება აქვს. ამ ერთი ბრძანებით როგორ ფიქრობთ რამდენი ათასი ზედმეტი ხმა იშოვა „რესპუბლიკურმა პარტიამ“? – ძალიან ბევრი, ხომ. ახლა, ნახეთ რა ხდება? ხიდაშელი ამ დღეებში, ვარშავის სამიტის შემდეგ, გადადგება. მინისტრად „ქართული ოცნების“ კაცი იქნება. მას უფლება აქვს გაწვევა აღადგინოს და არ გამიკვირდება, რომ ხიდაშელის ჯინაზე გაწვევა ისევ აღადგინონ. მაგრამ რამდენ ათას ხმას დაკარგავენ ამით? – საკმაოდ ბევრს. ხედავთ, რა ხდება?! აღარ მინდა კიდევ ერთხელ ვახსენო იმ კაცის გვარი, ვინც მინისტრად მოიაზრება – რა გაცხარებული, რა გამწარებული იყო. იმიტომ, რომ მან იცის, შეიძლება უცებ დაავალონ გაწვევა აღადგინოს, მასაც სხვა გზა არ ექნება და ამით უცებ დაკარგავს რამდენიმე ათეულ ათასს, შეიძლება ასი ათას ხმასაც იმიტომ, რომ თითოეული წვევამდელის უკან 15-20 ადამიანი დგას – ოჯახის წევრი, ახლობელი, ნათესავი და ა.შ. ვინც ამას აღადგენს, იმან ორი აგური უნდა ირტყას თავში. სულ სალაპარაკო იქნება: აი, „რესპუბლიკელებმა“ გააუქმეს და „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ აღადგინაო. აი, ესაა ქართული წინა-საარჩევნო კამპანია, პოლიტ.ტექნოლოგია. ხიდაშელმა პირდაპირ ცხრიანში მოარტყა – გაწვევა გააუქმა, თვითონ გადადგება და თუ კაი ბიჭია აღადგინოს ვინც შემდგომ მინისტრად მოვა. აღადგენს და რა ჩიტსაც დაიჭერს მერე ნახავს. სუფთა პოლიტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად, სწორი გათვლა გააკეთა. ზოგი ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ ქუთაისში, რიონში გემების შემოყვანით, საარჩევნოდ ხმებს მოუტანს. აი, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ჩემო კარგო, სხვა რაღა გითხრათ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რა მზაკვრული გეგმები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყანაში დესტაბილიზაციის დასაწყებად?

ქვეყანაში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებზე „საერთო გაზეთს“ პარტია „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი თამაზ მეჭიაური ესაუბრა:

— როგორ შეაფასებდით ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე ნაციონალური მოძრაობის წევრის- გიგი წერეთლის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ქვეყნის პრეზიდენტის პოზიციას?

— დიდი ხანია ვამბობ, რომ გიორგი მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის შიდა მოხმარების ლიდერია, რაც ეუთოს საპარალამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე გიგი წერეთლის კანდიდატურის მხარდაჭერამაც დაადასტურა. თუმცა , იმასაც გეტყვით, რომ თუ კანდიდატი მაინცდამაინც ნაციონალური მოძრაობიდან უნდა ყოფილიყო, სხვებს ისევ გიგი წერეთელი ჯობდა.

— რუსული დელეგაციის წევრი ლეონიდ სლუცკის თქმით, რუსული დელეგაცია გიგი წერეთლის კანდიდატურას მხარს დაუჭერს, რადგან ის გაწონასწორებული პოლიტიკოსია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე კონსტრუქციული პოზიცია აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2006 წელს იგივე პოსტზე წარდგენილ ნინო ბურჯანაძეს რუსეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, ეს გადაწყვეტილება უცნაურად არ გეჩვენებათ?

— რა ვიცი.. თუ სლუცკი რუსეთის ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს, ეტყობა, თვითონ რუსეთი გახდა ძალიან პროდასავლური. (იცინის)

— რაც შეეხება ქვეყნის საშინაო საქმეებს, თავდაცვის მინისტრის გაჭიანურებული გადადგომის გამო, გაჩნდა ვერსია, რომ თინა ხიდაშელი თანამდებობაზე ბოლომდე დარჩება და არჩევნებზე რესპუბლიკურ პარტიას თავდაცვის სამინისტროს რესურსით დაეხმარება. რამდენად რეალურად გეჩვენებათ მოვლენების ამგვარად განვითარება?

— ვფიქრობ, ეს მისი პარტიისთვის გონივრული გადაწყვეტილება იქნება, რადგან სიებში მოხვედრით ხიდაშელი პარტიას ვერანაირ სარგებელს ვერ მოუტანს. თავდაცვის მინისტრის პოსტიდან კი, სადაც უზარმაზარ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მართავს, შეუძლია გაცილებით მეტი სარგებელი მოუტანოს თავის პარტიას, რაშიც აქამდეც იყო შემჩნეული.

— მიუხედავად იმისა, რომ სპეც-უბნები გაუქმდა?

— რა თქმა უნდა. იქიდან გამომდინარე, რომ ამ უწყებაში დისციპლინა, პატივისცემა და მორჩილება ყველაზე მეტად მუშაობს, რესპუბლიკელებს საკმაოდ სერიოზული „ფორა“ ექნებათ.

— მოგეხსენებათ, რომ 47 წლის ასაკში გარდაიცვალა სააკაშვილის რეჟიმის მორიგი მსხვერპლი, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. თავის დროზე, ამ ადამიანმა რამდენჯერმე დაასახელა მის წამებაში მონაწილე პირთა გვარები, თუმცა ეს ადამიანები დღემდე დაკითხული არ არიან. გავრცელებული ინფორმაციით, მოლაშვილის წამების საქმის წარმოება შეჩერებულია და მისი სიკვდილის შემდეგ, პროკურატურას ამ საქმის „გაცოცხლება“ გაუჭირდება. თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე?

— სწორედ, შეფერხებები სამართლიანობის აღდგენის პროცესში და საგარეო კურსი გახდა ჩემთვის ძვირფასი „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის მიზეზი. თუ არ ჩავთვლით ამინისტიებს, პოლიტ-პატიმრების გათავისუფლებას და რამდენიმე ავტომობილის თუ შენობის დაბრუნების ფაქტს, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ხელისუფლებას არსებითი არაფერი გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ გამოუხატავს პატივისცემა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ასეთმა დამოკიდებულებამ ფიზიკურად განადგურებული მოლაშვილი მორალურადაც გაანადგურა და მისი გარდაცვალება დააჩქარა. იმედია, ახლა მაინც გამოფხიზლდებიან შესაბამისი ორგანოები და დააჩქარებენ სამართლიანობის აღდგენის პროცესს. აუცილებელია, რომ მოხდეს სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეების კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა.

— საუბრის ბოლოს,იქნებ მოახლოვებული არჩევნებისთვის სამზადისზე და თქვენს სამომავლო გეგმებზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა?

— იქიდან გამომდინარე, რომ გვიან განვაცხადეთ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ, მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები გადასაწყვეტი გვაქვს. საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირების პროცესი დავიწყეთ და ამისთვის საჭირო ხელმოწერებს ვაგროვებთ. დავიწყეთ რეგიონალური და რაიონული სტრუქტურების შექმნის მიმართულებით მუშაობა. რა თქმა უნდა, გამართული და ინფრასტრუქტურისა და ჩამოყალიბებული სტრუქტურების მქონე პარტიებს ჩვენთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვთ, მაგრამ ამის მიუხედავად, ძალიან ბევრი მხარდამჭერი გვყავს. ჩვენ გვიერთდებიან მებრძოლი ადამიანები „ქართული ოცნებიდან“ რომლებიც ფაქტობრივად, იგნორირებული არიან. ჩვენს მხარდამჭერებს არჩევნების მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი მოსახლეობაც ემატება. მხედველობაში მყავს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც საერთოდ არ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას ან მონაწილეობის შემთხვევაში, გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ვის დაუჭერდა მხარს, რადგან ამ პოლიტიკურ სპექტრში ვერ პოულობდა მისთვის მისაღებ პოლიტიკურ ძალას. ჩვენმა გამოჩენამ გარკვეული ინტრიგა შემატა არჩევნებს და რა თქმა უნდა, გამოიწვევს არჩევნებში მონაწილე ადამიანების რაოდენობის გაზრდას.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, „ქართული ოცნების“ მებრძოლ ნაწილში ვინ იგულისხმეთ?

— თუნდაც ის ადამიანები, რომლებიც წარმოდგენილი არიან საინიციატივო ჯგუფში: ჩვენი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი **დათო ფაცაცია, სანდრო ბრეგაძე, ჯემალ სეფიაშვილი,** რომელიც თუნდაც თავისი სიმღერით, ყოველთვის სამართლიანობისთვის ბრძოლის ავანგარდში იდგა, ქალბატონი **ია მეტრეველი, ლალი მოროშკინა** და რა ვიცი... ამ ხალხმა ყველა ეტაპზე იბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, თავის თავზე გამოსცადა რეპრესია და არავის არ აქვს წამოსაძახებელი, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლის რომელიმე ეტაპზე, გვერდზე გავდექით.

— რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული შიდა კვლევების შედეგები, რომლის თანახმად, მმართველ პარტიას დაახლოებით 35%-იანი რეიტინგი აქვს, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 13%?

— მმართველი ძალას სურს, რომ რეალური კონკურენტები „ჩრდილში“ მოაქციოს და ერთადერთ კონკურენტად ჰყავდეს ყველაზე დისკრედიტირებული და კრიმინალური ძალა, რომ ამ ძალის ფონზე, უამრავი შეცდომის მიუხედავად, მოსახლეობამ ისევ „ქართული ოცნება“ აირჩიოს. მათთვის ცნობილია, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა მოსახლეობისთვის რომელიმე უცხო ქვეყნის ინტერესების თავზე მოხვევის ნაცვლად გაატარებს ამომრჩევლის ნებაზე დაფუძნებულ პოლიტიკას. მოსახლეობაში დიდი ხანია არსებობს განწყობა, რომ ჩვენი ქვეყანა თავად უნდა ვმართოთ და მივაღწიოთ რეალურ დამოუკიდებლობას, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი გახდება. ჩვენ მზად ვართ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ მიზნის მისაღწევად, ველაპარაკოთ ნებისმიერ ქვეყანას, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება. რადგან მოსახლეობაში ასეთი განწყობა არსებობს და ამასთან, დიდია სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი, იმ პოლიტიკურ ძალას, ამ თვალსაზრისით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს, მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა ექნება, მაგრამ ეს არავის აწყობს. რა თქმა უნდა, ეს არ აწყობს ნაციონალურ მოძრაობას, რადგან სამართლიანობის აღდგენით ყველაზე მეტად ისინი დაზარალდებიან. ასევე არ აწყობს „ქართულ ოცნებას“, რადგან პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას საგარეო ვექტორიც საერთო აქვს და ორივე ევროატლანტიკური ალიანსის მონაა, ცხადია, რომ მათ ერთმანეთი ჭირდებათ. ერთს იმისთვის, რომ მარადიულად იყოს ხელისუფლებაში, ხოლო მეორეს იმისთვის, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად მოიაზრებოდეს. თუმცა, ნაციონალურ მოძრაობას უფრო მზაკვრული გეგმებიც აქვს: იქიდან გამომდინარე, რომ მათი ფავორიტი NDI და IRI მიზანმიმართულად ქმნიან ისეთ სურათს, რომ მართალია „ქართული ოცნება“, ლიდერობს, მაგრამ მეორე ადგილზე გასულ ნაციონალურ მოძრაობას თავის სატელიტ პარტიებიანად მოსახლეობის მეტი მხარდაჭერა აქვთ, ამიტომ გამორიცხული არაა, რომ ევროპის სახალხო პარტიის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და ამერიკის ელჩის ორკესტრირებული განცხადებების ფონზე, ეჭვქვეშ დააყენონ არჩევნების შედეგები და ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. მე მოვლენების ამგვარად განვითარებას ნამდვილად არ გამოვრიცხავ.

ნელი თორდია
571 35 36 88

რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში რბილი ძალის პოლიტიკას დაადგა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ბატონი გიორგი ვეჩუა.

— ბატონო გიორგი, რას ფიქრობთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსული დელეგაციის ხელმძღვანელის ლეონიდ სლუცკის განცხადებაზე გიგი წერეთელთან დაკავშირებით. რითი შეიძლება ეოფილიყო განპირობებული მისი არჩევანი წინა რეჟიმის ერთ-ერთ შემოქმედზე?

რუსეთს და რუს პოლიტიკოსებს, შეიძლება, გიგი წერეთელი, რომ იტყვიან, გულზე დიდად არ ეხატებოდეთ, უბრალოდ, ამას აკეთებენ პრაგმატული მოსაზრებით, ე. წ. რბილი ძალის განხორციელების თვალსაზრისით.

— თქვენ ბრძანებთ, რომ „ნაცმოძრაობის“ ანტირუსული რიტორიკა მხოლოდ ანტურაჟი იყო, ნამდვილი სახის შესანიღბად?

— მათი პოლიტიკის გარეგნული ფორმა შინაარსს არ შეესაბამებოდა, არც საშინაო და არც საგარეო კუთხით.

არა მხოლოდ ტაქტიკურად, იდეოლოგიურადაც, ნაციონალები არ ახორციელებდნენ იმ პოლიტიკას, რაც დასავლეთში იყო მიღებული და რასაც ითხოვდა მათგან პროგრესული მსოფლიო.

მას შემდეგ, რაც ობამა მოვიდა ამერიკის ხელისუფლებაში, აშკარად გამოიკვეთა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკის შეუთავსებლობა აშშ-ისა და დასავლურ სტანდარტებთან და პოლიტიკურ ორიენტირებთან.

რესპუბლიკელების დომინირებისას აშშ-ის მმართველობაში, გარკვეული სახის თანხვედრა არსებობდა სააკაშვილსა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის. დემოკრატების მოსვლის შემდეგ სულ უფრო დაშორდა სააკაშვილი ამერიკის ადმინისტრაციას და, შეიძლება ითქვას, რომ ის ახორციელებდა ანტიდასავლურ პოლიტიკას.

— სააკაშვილი დღემდე რჩება პრორუსულ ძალად? იქაც კი, სადაც ასეთ მძაფრ ოპონირებას უწევს რუსულ პოლიტიკას ოდესაში? რას ფიქრობენ „ნაცმოძრაობის“ ურჟევი წევრები საქართველოში, ძალიან საინტერესოა!

— ბოლო ხანებში „ნაცმოძრაობის“ შიგნით მკვეთრი დაპირისპირებები შეიმჩნევა.

მაგალითად, მიშამ რომ თქვა, ყრილობა უნდა ჩავატაროთ დიდგორის ველზეო, ამას მოჰყვა საკმაოდ სერიოზული დაძაბულობა პარტიის შიგნით, საკმაოდ გავლენიანი ნაცებიც კი წავიდნენ ამის წინააღმდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალებში დღემდე არიან პროდასავლური ორიენტაციის ხალხი, მაგრამ ისინი ვერავითარ ფონს ველარ ქმნიან. „ნაცმოძრაობა“ უკვე მთლიანად არის დისკრედიტებული დასავლეთის თვალში.

არადა, მიშა თავის დროზე ხელისუფლებაში დასავლეთის ძლიერმა რადიკალურმა რესპუბლიკურმა ფრთამ მოიყვანა.

რუსეთისა და ამერიკის ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს 2003 წელს და ვიხილეთ მიშას „ზეობა“ 9 წლის განმავლობაში.

თუმცა შემდეგ სააკაშვილის ე. წ. პოლიტიკამ ფიასკო განიცადა. კარგა ხნის განმავლობაში ცდილობდა ბუშის მომდევნო პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრას მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ვერ ახერხებდა. აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან ხშირად ისმოდა მიშას მმართველობის სერიოზული კრიტიკა და 2012 წელს სწორედ აშშ-მა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ მიშას ველარ მოეხერხებინა არჩევნების გაყალბება.

— სააკაშვილის მკვდრეთით აღდგომა“ მოსალოდნელია?

— თეორიულად არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, თუმცა, თუ აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაციაში დემოკრატიული ძალები შენარჩუნდება, ეს ვარაუდი ნაკლებადმოსალოდნელია.

დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში, რაც ნაკლებად არის სავარაუდო, არის მიშას მმართველობის დაბრუნების შესაძლებლობა. რასაც კიდევ ვიმეორებ, მცირე შანსი აქვს.

— წინა წლებში და უახლოეს ხანებში ჩატარებული ყველა კვლევით საქართველოს მოსახლეობა მხარს ნატოში და დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას უჭერს მხარს. გამოკითხულთა თითქმის 70% დასავლეთზეა ორიენტირებული მაშინ, როცა პროდასავლური მიმართულების პარტიებს 2-3% მხარდამჭერი ჰყავს. რითი არის ეს განპირობებული?

— ეს პარადოქსული მაჩვენებელია.

მოსახლეობა ნატოსთან და ევროკავშირთან ეკონომიკური პრობლემების სარგებელს ხედავს. მაგრამ ფასეულობებისა და მენტალური სტერეოტიპების დონეზე საზოგადოება რუსეთთან უფრო ახლოა. ამის გამო წარმოიშობა მსგავსი პარადოქსული წინააღმდეგობები.

თუმცა მთლად ისე არ არის სიტუაცია, როგორც კვლევებში წარმოაჩენენ. დასავლური ორიენტაციის მომხრე საქართველოში, შეიძლება, 40-50% იყოს და არა 70% და მეტი.

ის 40-50% კი იმის შედეგია, რომ წლების განმავლობაში ხორციელდებოდა პროდასავლური პროპაგანდა.

2008 წლის პლებისციტიც გაყალბებულად მიმაჩნია. 60%-ზე ნაკლები იყო ნატოს მომხრე, სინამდვილეში 72%-ზე მეტი მომხრე დაიდო შედეგად.

საქმე ის გახლავთ, რომ მოსახლეობა დაბნეულია. თუ შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომ მოსახლეობა გაერთიანდება გარკვეული იდეის გარშემო, შეიძლება ვილაპარაკოთ დამოუკიდებლობაზე, ქვეყნის დამოუკიდებელ არჩევანზე და იმაზე, თუ რა სურს ქვეყანას და ხალხს.

დღეს ასეთი ვითარებაა — პოლიტიკური დომინანტები, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში არიან აშშ-ი და რუსეთი. პერიოდულად, ჩვენთან, ხან რუსეთის პოლიტიკა ხორციელდება, ხან — ამერიკის.

ზემოთ ნათქვამს გავიმეორებ და გეტყვით: თუ ქვეყანაში გამოჩნდება ძალა, რომელიც შემოიკრებს ერთი იდეით გაერთიანებულ ხალხს, შესაძლებელი იქნება ჩვენი „გავლენების“, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი მიზნების თუ მისწრაფებების განხორციელება.

დღეს, როცა გავლენები 50-50-ზეა განაწილებული ვართ ისე, როგორც ვართ — რუსეთიც და ამერიკაც თავის მხრივ ცდილობენ გავლენების ჩარხი თავის მხრივ გადახარონ. ამაზე იტყვიან, სცილასა და ქარიბდას შორისო. მოკლედ, თუ მოვინდომებთ, რომ ჩვენი ბედი თვითონ გადავწყვიტოთ, არის შანსი, რომ ქვეყნის პატრონები ნაწილობრივ მაინც გავხდეთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ბორჯომის მოსახლეობა ითხოვს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „იყიდეთ, იყიდეთ იყიდეთ რამე“, რომელიც ეხებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის და წარმოების აღორძინებას. წერილის კვალდაკვალ ბორჯომის მკვიდრი დაგვიკავშირდა და ბორჯომელების გასაჭირი გაგვიზიარა.

მოსახლეობას მიწები კი გადასცეს, მაგრამ მაინც დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართო. „კი, ბატონო, მიწები გვაქვს, მაგრამ როგორ და რითი დავამუშავოთ? ტრაქტორის ძიებაში ახალციხეში ჩავდივართ, მაგრამ შეიძლება ვერც ჩამოვიყვანოთ, გაფუჭებულიაო, გვითხრან. ღმერთმა გაახაროს ბიძინა ივანიშვილი, ვაუჩერები დაგვირიგა, მაგრამ როგორ გამოვიყენოთ? თესლეულის, ნერგების საყიდლად სხვადასხვა რაიონებში გვიხდება წასვლა. ამის საშუალება კი ყველას არა აქვს. საქართველოს მოსახლეობა უნდა სოფელს დაუბრუნდეს, აწარმოოს მეურნეობა. მაგრამ როგორ და რითი დავამუშაოთ სავარგულები, ტრაქტორი არა გვაქვს და გუთანი. იმასაც გეტყვით, შეექმენით კოოპერატივები. მარწყვი, მაყვალი, ჟოლო მოვაშენეთ. ხალხი მოწადინებულია, აწარმოოს საკუთარი პროდუქცია. განა შემოტანილ უცხოურ ნაგავს არ გვირჩევნია, ჩვენ თავად ვაწარმოოთ საკუთარი პროდუქცია? იქნებ თქვენ მაინც თქვათ ჩვენს გასაჭირზე და მოვიგვაროთ პრობლემები. ჩვენ ხომ რაღაც განსაკუთრებულს, შეუძლებელს არ ვითხოვთ. როგორ შეიძლება ისეთ დიდ რაიონს, როგორიც ბორჯომია, არ ჰქონდეს საკუთარი სატრაქტორო პარკი. ადრე, კომუნისტების დროს, ხომ იყო და ახლა რატომ არ შეიძლება გვქონდეს, გაუგებარია. ამ კეთილი საქმეებით მხოლოდ ჩვენი რაიონი კი არა, საერთოდ, ქვეყანა ისარგებლებდა. ხალხიც კიდევ უფრო მეტად დასაქმდება და გაცილებით მეტ პროდუქციასაც შეექმნიდით. თქვენი იმედი გვაქვს, იქნებ თქვათ ჩვენს პრობლემებზე“, — გვითხრა ჩვენმა ბორჯომელმა მკითხველმა.

ბორჯომის რაიონში, როგორც ვიცით, ბოლო პერიოდში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. იქაურ ადგილობრივ ხელისუფლებას ვერც გულგრილობაში დავადანაშაულებთ. თუმცა აღნიშნული პრობლემა გადასაჭრელია.

მადლი გაკეთდა და ზედ მარილი რომ მოაყაროონ, მგონი, უკეთესი იქნება.

გია ბურდული
551 71 27 07

ვახტანგ ხარჩილავა:

„ელიტარული ხინკლიდან“ ქართულ ელიტამდე

ჭრელაჭრელა ფერებით გადაღებილი თბილისი ფუფალას ჰგავს, რომელსაც მაინცდამაინც ვინმე უცხოელზე გადაუწყვეტია გათხოვება და თავისი ალაგ-ალაგ დაბებკილი ტანსაცმელი უცხოური წარწერებით აუჭრელებია – იქნებ უცხოელმა სასიძოებმა თვალი მკიდონ და ბოლოს და ბოლოს ბედს ვეწიოო.

ამ ფონზე „სასიამოვნო“ მოულოდნელობად შემომეფეთა წარწერა ერთ-ერთი კაფეს აბრიდან: „ელიტარული ხინკალი“.

აი, ასე! თბილისში ათასგვარი პროდასავლური, პროამზიური, პროამერიკული მიმართულების კაფე-რესტორნების გვერდით ელიტარული სახინკლეც გაჩნდა – ჩვენებური, ქართული, მშობლიური სახინკლე, ოღონდ ელიტარული.

ხინკალი ხინკალია და, ძნელი წარმოსადგენია, რა ნიშნით შეიძლება ის გახდეს ელიტარული – ნაოჭების რაოდენობით, მოყვანილობით, ფერით თუ გემოთი?

სხვათა შორის, თბილისში „ხინკალცენტრიც“ არსებობს, ზედ რუსთაველის პროსპექტზე, „ზემელზე“.

რატომაც არა – ამდენი სამეცნიერო, კულტურული, შემოქმედებითი თუ პოლიტიკური ცენტრების გვერდით „ხინკალ-

ცენტრიც“ ხომ უნდა არსებობდეს?!

ხინკალი მთლად სულიერ ფასეულობათა თუ არა ეროვნულ-ნაციონალურ ღირებულებათა რანგში აყვანილ, ერთ კარგ ცენტრს ნამდვილად იმსახურებს.

თუ ეს ხინკალი ელიტარულიც იქნება, მით უკეთესი!

„ხინკალცენტრებში“ ელიტარული ხინკლით გამომძღარი ელიტარული ქართველები საღამოობით, ასევე, ელიტარულ ტელეგადაცემებზე იკრიბებიან და ქვეყნის სვე-ბედზე, დემოკრატიულ ფასეულობებზე და სხვა მაღალ მატერიებზე მსჯელობენ.

ამ მსჯელობას ერთი მამაპაპური დაბოყინება ფრიად მოუხდებოდა, მაგრამ დაბოყინება გადაცემის ეტიკეტით აკრძალულია. ასევე, აკრძალულია ტყაპუჭის ტარებაც, რომელზეც ჩვენი წინაპრები ხინკლის ქონით გაპოხილ ხელებს იწმენდნენ ხოლმე.

მათ ახლა სხვა რამე-რუმეები აქვთ მოსხმული მხრებზე – ვერსაჩეს, დოლჩე-გაბანას, არმანის ძვირფასი კოსტიუმები, ტყაპუჭები კი შიგნით, ძვირფასი კოსტიუმების ქვეშ აცვიათ.

რას იზამ – ტყაპუჭის გადაგდება ასე ადვილი არ არის – რაშიც დაიბადე, იმაში უნდა მოკვდე...

* * *

რადგან ელიტარული ხინკალი არსებობს, ე. წ. არსებობს ელიტაც, საზოგადოების რჩეული ნაწილი, რომლის გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა საზკვების ობიექტთა სახელწოდებებში და მენიუშიც სათანადოდ არის ასახული.

ასე ვთქვათ, ეს არის შეკვეთა ზემოდან და ასეთი შეკვეთა არსებობს არა მარტო სმა-ჭამის, არამედ საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროში – ელიტარული საპარიკმახეროებიდან დაწყებული, ელიტარული მარკეტებით დამთავრებული.

ყვითელი ჟურნალ-გაზეთები ინტენსიურად აწოდებენ მოსახლეობას ელიტის ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსებს, ყვითელი ტელევიზიების ეკრანებზე გამოფენილი მათი გარდერობი თვალს გვჭრის სიმდიდრით და ფუფუნებით.

ელიტა მეტყველებითაც სხვანაირად მეტყველებს – მის ქართულს ინგლისური, ხანაც ფრანგული აქცენტი დაჰკრავს და თუ კარგად არ მოიგდებ ყურს, შეიძლება ვერც გაიგო, რას ლაპარაკობს ეს ახალი ტიპის ქართველი.

ადრე იგი რუსულად უქცევდა, ახლა ინგლისურად უქცევს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ პატრონი და მბრძანებელი გამოუცვლია და ახლა სხვას ბაძავს, სხვას ცდილობს დაემსგავსოს, სხვის თარგზე და ყაიდაზე მოიჭრას.

კაცმა რომ თქვას, ეს არც არის ქართველი – ეს ვიღაცის ასლია, ვიღაცის კალკაა, თუმცა ყვითელი ჟურნალ-გაზეთები და ყვითელი ტელევიზიები დაჟინებით გვარწმუნებენ, რომ სწორედ ეს არის აღმატებული ქართველი და თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო, სწორედ ასეთი უნდა გახდე.

* * *

დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა თვითონ ზრდის და თვითონ წარმოაჩენს ერის საუკეთესო და საამაყო შვილებს – ჭეშმარიტ ელიტას, საზოგადოების ღირსეულ ნაწილს, ხოლო იმ ქვეყანაში, რომელიც სხვა სახელმწიფოზეა დამოკიდებული და, ფაქტობრივად, მისი ვასალია, ელიტას „ნიშნავენ“, ხელოვნურად ქმნიან და აკოწიწებენ, როგორც უცხო სახელმწიფოს იდეოლოგიურ დესანტს, ამ სახელმწიფოს საყრდენ ძალას, მისი ინტერესების გამტარებელს, მის პროპაგანდისტსა და აგიტატორს.

ამ გარედან „დანიშნული“ ე. წ. ელიტის დანიშნულება, მრავალ სხვა ფუნქციებთან ერთად, ისიც გახლავთ, რომ ჩაახშოს, ჩაკლას ერის ინტელექტუალური პოტენციალი, გზა არ მისცეს ნიჭიერებას, დაჩაგროს და დააბეჩავოს განათლებული და, იმავე დროს, ეროვნული ღირებულებების მატარებელი ინდივიდები ყველა სფეროში – მწერლობაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, გნებავთ, პოლიტიკაში.

ასე იყო ეს მაშინ, როდესაც საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილი იყო და ასეა ახლაც, როცა საქართველო ორიენტირს იცვლის და სხვა იმპერიის ფრთებქვეშ აპირებს შეყუჟვას.

აბა, გაიხსენეთ, რამდენი ხანია, არ გინახავთ თქვენ ქართულ ტელეეკრანზე ილია ჭავჭავაძის აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, სხვათა და სხვათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი გადაცემები.

სამაგიეროდ, ამავე ეკრანებზე კვირაში რვაჯერ ნახავთ მწერლობის სახელით მოლაპარაკე აგრესიულ დილეტანტებს და გრაფომანებს, ნახავთ უნიჭობის ამაზრზენ და შემაძრწუნებელ ფეიერვერკებს, ნახავთ რეკლამას, რომ ამა და ამ დღეს გაიმართება ამა და ამ პოეტის (!) პოეზიის (!) საღამო დევიზით – „ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეთამ ჯონდო დააორსულა“.

ქართულ მწერლობას ღიად, სახალხოდ აკნინებენ, მასხრად იგდებენ, საქართველო კი მშვიდად ადევნებს თვალს ამ სანახაობას და ვერ ხვდება, რომ მწერლობის გაუპატიურებით მას აუპატიურებენ, რადგან მწერლობის გარეშე ქვეყანას ქვეყანა არ ეთქმის და ერს – ერი.

რაც მწერლობის მისამართით ხდება, იგივე ხდება სხვა დარგებშიც – ეკონომიკას ისტორიკოსი ლაარი გვასწავლიდა, ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს ჰყავს ბრწყინვალე ეკონომისტების მთელი პლეადა, რომლებსაც არ ალაპარაკებენ, ტრიბუნას არ აძლევენ, სამაგიეროდ, მის ნაცვლად საუბრობს ეკონომისტთა და ფინანსისტთა ახალი „ელიტა“, რომლის მსჯელობის და აზროვნების არეალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დირექტივებს და ინსტრუქციებს არ სცილდება.

არადა, საქართველოს შესანიშნავი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავს ყველა დარგში, თუმცა ისინი საკუთარ სამშობლოში, ფაქტობრივად, იაკაკქვეშა მდგომარეობაში არიან, მათ ჩანაცვლებული „ელიტა“ კი გაურკვეველი წარმომავლობის, გაურკვეველი მიზნების და ინტერესების მქონე უცხოურ ორგანიზაციათა მიერ დაფინანსებული და ასპარეზზე გაშვებული, თუ რაიმეთი გამოირჩევა, გამოირჩევა არაკომპეტენტურობით და ამ არაკომპეტენტურობისგანვე შობილი

მაქსიმალიზმით.

დიახ, ნამდვილად არსებობს ქართული საზოგადოების ჭეშმარიტი ელიტა, არსებობს განათლებული, ნიჭიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე ელიტა, რომელიც ასპარეზზე არ ჩანს, მაგრამ ეს ელიტა ვილაცის უჩინარმა ხელმა საიმედოდ გადამალა, მისი სახელი კი ადამიანთა იმ ჯგუფს დაარქვა, რომელსაც ელიტარულობის ცნებასთან არაფერი აქვს საერთო.

ქართული საზოგადოების ეს გონიერი, ნიჭიერი ნაწილი, საგულდაგულოდ გადამალული, დისკრიმინირებული ნაწილი არის ის ძალა, რომელზეც ჯერ კიდევ დგას ქართული სულიერების მშვენიერი ტაძარი, ალაგ-ალაგ უკვე დაბზარული და დაღარული, სამრეკლომორღვეული და საძირკველმორყეული, მაგრამ მაინც ძლიერი და სინათლით გავსებული.

* * *

ჩვენ, ვინც კომუნისტურ ეპოქაში ვიცხოვრეთ, კარგად ვიცით, რა მეთოდებით და ტაქტიკით ხდებოდა კომუნისტური იმპერიის იდეოლოგიას მისადაგებული, ამ იდეოლოგიის ერთგული მსახური ელიტის შეკოწიწება და დამკვიდრება, როგორ ხდებოდა ამ ელიტის რეკლამირება, ანგაჟირება და გალამაზებულ-გადაღებილი სახით მოსახლეობისთვის მიწოდება.

ელიტის „კეთების“ ტექნოლოგია არც დღეს შეცვლილა, ოღონდ ამას კომუნისტების ნაცვლად სხვები აკეთებენ და აკეთებენ უფრო უნიჭოდ, უგერგილოდ, უხეშად.

იმ დროს, როცა მრავალათასიანი ტირაჟით გამოცემული ტომეულების მთები გვემხო თავზე, უნივერსიტეტის ბაღში მოწყენილი იჯდა შოთა ჩანტლაძე, რომელსაც თავის სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაუბეჭდავს და არც ერთი წიგნი არ გამოუცია.

არადა, თუ ვინმე იყო, შოთა ჩანტლაძე იყო იმჟამინდელი ქართული სამწერლო საზოგადოების ელიტა.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა...

არავინ იცის, რამდენი ასეთი ჩანტლაძე ცხოვრობს დღეს ჩვენს გვერდით, ცხოვრობს ჩუმად, უჩინრად, უხმაუროდ, რადგან ასეთია „ელიტის“ მკეთებელთა სასჯელი და განაჩენი – თუ გინდა მოკლა, არ უნდა შეამჩნიო, არ უნდა უხმო, ტრიბუნა არ უნდა მისცე, თორემ შეიძლება ისეთი რამ წამოსცდეთ, ისეთი რამ თქვან, გონებადაბინრდული მასა ერთბაშად გამოფხიზლდეს და ჭკუას მოეგოს.

„ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის), ან ისინი, რომელნიც უგულებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელეშოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერთ და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს“ (საშობაო ეპისტოლე).

ამ ზუსტ, ამომწურავ შეფასებას ერთ რამეს დავამატებდი: უღირსთა წინ წამოწევა შემთხვევით არ ხდება, ეს მიზანმიმართული პროცესია, რომ ბოლოს და ბოლოს საზოგადოებამ სამაგალითოდ ბრიყვები დაისახოს.

– ადამიანთა რაღაც ჯგუფს სრულიად დაუმსახურებლად ჯერ ელიტა უნდა დაარქვა, მერე ეს ელიტა უნდა გარყვნა ფულით, სახელით, ფსევდოავტორიტეტით, რომ შემდეგ ამ ელიტამ თვითონ გარყვნას დანარჩენი საზოგადოება – აი, კონცეფცია, რომელსაც ეყრდნობოდნენ დამპყრობლები და კოლონიზატორები და ეს კონცეფცია თითქმის ყოველთვის ამართლებდა, ისე როგორც გაამართლა მან ქართულ სინამდვილეში, როცა ავტომატებით შეიარაღებული ელიტა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საკუთარ საშობლოს დაუპირისპირდა...

* * *

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართულმა ელიტამ რუსთ იმპერატორს მაიკო ორბელიანი შეუწვინა ლოგინში.

ფხიზლად იყავით, ქართველებო, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში შეიძლება მთელი საქართველო შეუწვინონ ახალი ჯურის იმპერატორებს.

* * *

ჭავჭავაძის პროსპექტზე რომ გაივლი, აუცილებლად თვალში მოგვხდებათ აბრა წარწერით – „ელიტარული ხინკალი“.

ამ „ელიტარულმა ხინკალმა“ დამაწერინა ეს წერილი.

როცა ხინკალიც ელიტარული იქნება, იქ კალამს უნდა მოჰკიდო ხელი, სხვა გზა არ არის.

2006 წ.

მინაწერი ათი წლის შემდეგ

ათი წლის წინათ დაბეჭდილი ამ წერილის ხელახლა გამოქვეყნება ბოლო ხანებში ინტელიგენციის ერთ ნაწილში ატეხილმა ჟრიამულმა და პარტიულ ყრილობებზე საეჭვო გადარბენ-გადმორბენებმა გადამაწყვეტინა.

არ ვიცი, კონკრეტულად რა შემთხვევის გამო თქვა იმ სულწაწყმედილმა ლენინმა, ინტელიგენცია – ეტო გავნოო, მაგრამ როგორც ჩანს, ინტელიგენციაში, მის ერთ ნაწილში, არის რაღაც მარადიულად ხრწნადი და ლპობადი, რომელიც მუდმივად ყარს.

ეტყობა, სწორედ ამ სუნმა შეაწუხა ვლადიმერ ილიჩი, რომელსაც, სიდამპლეების გარჩევაში, იცოცხლე, მახვილი ყნოსვა ჰქონდა.

საბჭოთა პერიოდს რომ თავი დავანებოთ და აქეთ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დღეებიდან რომ დავიწყოთ ათვლა, ინტელიგენციის ზემოთნახსენებ კატეგორიას იმდენი სიბინძურე და მავნებლობა აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე, მხოლოდ ინტელიგენციაზე კი არა, ზოგადად ადამიანზე წაგიხდება წარმოდგენა.

მახსოვს, როგორც კი შევარდნაძის ძალაუფლებას ბზარი შეეპარა და წყალი შეუდგა, ვითომდა შევარდნაძის ერთგული ინტელიგენცია, რომელზეც შევარდნაძეს მართლაც დიდი ამაგი ჰქონდა, მყისვე გადასკუპდა ჟვანია-სააკაშვილის ნავში და თავის ძველ პატრონს ხელი დაუქნია.

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, ზოგიერთებმა ჭკუა იხმარეს და ორად გაიყვნენ – მამა შევარდნაძის გვერდით დარჩა, შვილი შევარდნაძის ოპონენტების მხარეს გადავიდა.

სააკაშვილმა, როგორც ბოლშევიკების ღირსეულმა შთამომავალმა, „უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარის შვილიშვილმა, ბოლშევიკებივით ახალი ჯიშის ადამიანის გამოყვანაზე დაიწყო ფიქრი და ინტელიგენცია ჩარეცხილებად გამოაცხადა, თუმცა ამათი ჩარეცხვა ადვილი საქმე არ იყო – ესენი წყალში არ იძირებოდნენ და რამდენიც არ უნდა ჩაგერეცხა, მაინც ამოყვინთავდნენ და მაინც ზედაპირზე ტივტივებდნენ.

მერე გაჩნდა იმედი ბადრი პატარკაციშვილის სახით და ესენიც მყისვე პატარკაციშვილთან მიტივტივდნენ.

მოგვიანებით, როცა პატარკაციშვილს პრობლემები შეექმნა, მან ერთ თავის ახლობელს დაუძახა და ოცდაათკაციანი სია გადასცა – ეს ადამიანები დავალებულნი არიან ჩემგან, ისინი არავითარ შემთხვევაში არ იტყვიან უარს, რომ გვერდით დამიდგნენ. წადი, დაელაპარაკე მათ.

ოცდაათი კაციდან ოცდაცხრა დაიმალა და მხოლოდ ერთმა ქალბატონმა, ნონა გაფრინდაშვილმა, გაბედა ხმის ამოღება პატარკაციშვილის დასაცავად.

ოცდაათი კი არა, რატომ ასჯერ და სამასჯერ ოცდაათი ადამიანი არ არის დავალებული ბიძინა ივანიშვილისგან, მათ შორის, განსაკუთრებით, ინტელიგენციის ის კატეგორია, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას და ივანიშვილს რაღაც პრობლემები რომ შეექმნას, ამ ათასობით ადამიანიდან რამდენი დადგება მის გვერდით?

წარსულის მწარე გაკვეთილებით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, ძალიან ცოტა...

ის კი არა, უკვე ვხედავ, როგორ აპარებენ თვალს ვილაცვილაცები და როგორ ეფლირტავებიან ახლადგამოჩეკილ პოლიტიკურ ლიდერებს.

ახლებთან ერთად არც ძველებს ივიწყებენ და ყრილობიდან ყრილობაზე გადარბიან, რომ სამომავლოდ ალიბი ჰქონდეთ – შენი მხარდამჭერი ვიყავი ყოველთვის და მზად ვარ, სამუდამოდ შენს გვერდით ვიდგეო.

ასეთია ამ ადამიანების ზნე და ხასიათი, მათი ცხოვრების წესი.

ისინი არა მარტო იყიდებიან, არამედ თვითონაც ყიდულობენ და ყიდიან – ყიდიან ძველ პატრონებს და ამით ყიდულობენ ახალ პატრონებს, მერე იმათაც ყიდიან და ახალ პატრონებს იბევებენ და ა.შ.

ეს მათი ბიზნესია, ხოლო სამშობლო ამ ბიზნესის საწარმოებელი ასპარეზი.

მალე მოვა 2016 წლის ოქტომბრის არჩევნები და ნახავთ, როგორ გაშიშვლდებიან თუმნად კიკუდ ქცეული ელიტარები.

ძლიერი რეგიონები

საჩხერე

ინფრასტრუქტურული პროექტები საჩხერის მუნიციპალიტეტში

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე სოფელ არგვეთში იმყოფებოდა. გამგებელმა სავანის სასმელი წყლის რეზერვუარი დაათვალიერა. აღსანიშნავია, რომ სოფელ სავანეში სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა 2015 წელს დასრულდა და ის რეგიონული განვითარების ფონდიდან 667 786 ლარით დაფინანსდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფელ სავანიდან არგვეთის მიმართულებით საავტომობილო გზაც დაათვალიერა. სამუშაოები დასრულების ფაზაშია, ამ დროისთვის საავტომობილო გზის ნაპირსამაგრი სამუშაოებია დარჩენილი. ეს პროექტი 197 ათასი ლარით დაფინანსდა. ახლო მომავალში იგეგმება აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის გაგრძელება.

„სტარტაპ საქართველოს“ პრეზენტაცია ახმეტაში

ახმეტის ახალგაზრდულ კლუბში გაიმართა ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის „სტარტაპ საქართველოს“ პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და საკითხით დაინტერესებული პირები.

„სტარტაპ საქართველოს“ მიზანია მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებს, რომლებსაც აქამდე ფინანსური რესურსის უქონლობის გამო არ შეეძლოთ ბიზნესის დაწყება, მიეცეთ უნიკალური შანსი, განახორციელონ სიახლეზე ორიენტირებული ბიზნესიდეები.

პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს პერსპექტიული და მდგრადი ბიზნესწინადადება და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება საწყისი დაფინანსება. პროგრამის კოორდინატორები არიან საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

განცხადებები მიიღება 31 ივლისის ჩათვლით. განაცხადის ფორმა, შევსების წესი და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება სპეციალურად შექმნილ ინტერნეტ-გვერდზე.

ჩოხატაური – გაზიფიცირების სამუშაოები სოფელ გორაბერეჟოულში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა სოფელ გორაბერეჟოულში გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერეს. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილებას გამოხატავს მათს სოფელში განხორციელებული ამ პროექტის გამო.

ლაგოდეხი – გამგებელი ლელიანის თემის მოსახლეობას შეხვდა

სასმელი წყალი, გაზი, შიდა და სამეურნეო გზა, ელგაყვანილობა, ნაგავსაყრელი და დამისამართება - ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესახებ ლელიანის მოსახლეობამ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა საერთო კრებაზე განიხილეს და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

„დასახლების საერთო კრება“, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ 2015 წელს შევიდა და ითვალისწინებს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას.

ლაგოდეხი

სისხლის დონაცია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ყვარელში

ყვარლის მუნიციპალიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართ. გამგეობის შენობაში თანმაშრომლებმა, პედაგოგებმა და რიგითმა მოხალისეებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს. აქცია ყვარელში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

დუშეთი – „მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის“

ამ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში. მაღალმთიან რეგიონში ბიზნესის წამოწყების მსურველებს ეძლევათ უნიკალური საშუალება, წამოიწყონ საკუთარი საქმე მთაში. ეს არის ახალი პროექტი, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. იგი საშუალებას აძლევს მოსახლეობას, მაღალმთიან სოფლებში ბიზნესის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5 000-იდან 15 000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრას ესწრებოდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი.

მესტია – სტიქია ნაკრის ტერიტორიულ ერთეულში

მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ზედა ნაკრაში, მდინარე ლექვერილარის ხეობის სიღრმეში (ხეობა ღვარცოფსაშიშ ზონას მიეკუთვნება) გადაუღებელი წვიმების შედეგად მოწყდა მეწყერი, რამაც მდინარის ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვია. მდინარემ ნაკრის ცენტრში მოსახლეობის საკარმიდამო ტერიტორიები და შიდა სასოფლო საავტომობილო გზის მონაკვეთი დააზიანა. წაღებულია სოფელ ლენკვაშთან დამაკავშირებელი ხიდი, ხოლო სოფელ ლენკვაშში მცხოვრები ხუთი ოჯახი მოწყვეტილია სოფლის ცენტრს. განადგურებულია ასევე მდინარე ლექვერილარის ნაპირდამცავი დამბები. დაზიანებულია სოფელში არსებული ცენტრალური სასმელი წყლის სისტემის ნაწილი, რომლითაც ათი ოჯახი სარგებლობს, ხიდი, რომელიც ზედა ნაკრის მოსახლეობას სოფელ კვიცანთან (25 ოჯახი) და სასოფლო სავარგულებთან აკავშირებს...

ადგილზე იმყოფებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც ნაკრის ტერიტორიული ერთეულის დეპუტატთან და წარმომადგენელთან ერთად ადგილზე შეაფასეს მდგომარეობა. დაითვალეს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი. ინფორმაცია გადაიგზავნება შესაბამის სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.

სენაკი

სენაკში იუსტიციის სახლი აშენდება

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან და გამგებლის მოადგილე თენგიზ ლომიასთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მეგრული ოდის მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერა, სადაც უახლოეს მომავალში იუსტიციის სახლის მშენებლობა იგეგმება. ადგილზე განიხილეს ყველა საკითხი, რომლებიც მშენებლობის დაწყებას უკავშირდება.

საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ფოთისა და ზუგდიდის შემდეგ, რიგით მესამე იუსტიციის სახლის მშენებლობას ტენდერით შერჩეული კომპანია განახორციელებს. იუსტიციის სახლი ქალაქის ამ ნაწილის განვითარების კომპლექსური გეგმის ნაწილია, რომლის ფარგლებშიც უკვე მიმდინარეობს აკ. ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელოსუფლების მჭიდრო თანამშრომლობით, დაგეგმილია ქალაქის ცენტრალური ნაწილის კეთილმოწყობის სხვა პროექტების განხორციელებაც.

გარდა იმისა, რომ სენაკელებს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ სარგებლობა შეეძლებათ, ქალაქის ცენტრალურ ნაწილს შეემატება არქიტექტურულად გამოჩეული შენობა - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ.

იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სენაკშიც სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები და არქივი ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი, შეხვედრების ოთახი და სასწავლო ცენტრი.

ჩხოროწყუში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით გოგუამ მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა საქართველოს ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე, ასოცირების შეთანხმების არსზე, შეთანხმების დადებით მხარეებსა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე.

2016 წლის 1 ივლისიდან სრულად შედის ძალაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 1 ივლისიდან ოფიციალურად ამოქმედა ხელშეკრულების ყველა დებულება და საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ევროპული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების დანერგვას გულისხმობს.

შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა,

ძლიერი საქართველოსთვის

ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ესებუა, პედაგოგები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიების დასასრულს გაიმართა ჩვენება თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმისა „მოგზაურობა ევროპაში“.

ხობის მონასტრის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხობის მონასტრის (საკათალიკოსო სასახლე) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 445 968 ლარია და ის საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში იგეგმება საკათალიკოსო სასახლის სრული რეაბილიტაცია, მუზეუმის მოწყობა და არქეოლოგიური კვლევები.

ხობის მონასტერი ძველ დადიანთა საძვალეა, ამავე დროს იგი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსების რეზიდენციას და საძვალეს. საკათალიკოსო სასახლე XX საუკუნის 20-30-იან წლებში დაინგრა, რის შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა.

სამცხე-ჯავახეთში 561 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც რეგიონში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს. შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე, მხარის მუნიციპალიტეტების გამგებლები, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს 2016 წელს რეგიონული პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებულ პროექტებსა და მათს შესრულებაზე.

მიმდინარე წელს, მხარის მასშტაბით რეგიონული პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 25 960 990 ლარის ღირებულების 561 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

ახალციხე – წინუბანში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ახალციხის მუნიციპალიტეტი სოფლებში გზების მასშტაბური რეაბილიტაცია გრძელდება.

ამ ეტაპზე, წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ წინუბანში რკინა-ბეტონის გზის მოწყობა დასრულდა. პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაფინანსდა.

დასრულებული სამუშაოები საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელმა პირებმა დაათვალიერეს და მოსახლეობას გაესაუბრნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების 6 თვის ანგარიში

ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამგეობისა და საკრებულოს მიერ მოქალაქეთა დასაფინანსებლად 784 495 ლარია გახარჯული.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელ დიმიტრი ყიფიანის განცხადებით, ამ ხნის განმავლობაში გამგეობის სოციალურმა სამსახურმა 481 504 ლარი გასცა. მოქმედი 16 პროგრამის მიხედვით დახმარება გაეწია 1 428 მოქალაქეს.

ბორჯომში მოქმედი სოციალური პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპეციალურად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის შეიქმნა და ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების, ისე რაიონის ნებისმიერი მცხოვრების დახმარებას. 6 თვის განმავლობაში ადგილობრივი საკრებულოს მიერ გამოყოფილი 302 991ლარით 913 მოქალაქე დაფინანსდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მუსლიმებს იფთარის სუფრით უმასპინძლა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით რიტუალების სახლში მუსლიმი მრევლისთვის იფთარი (ტრაპეზი) გაიმართა. რამაზანის თვე მუსლიმ მორწმუნეებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი მეშველიანმა მიულოცა:

„პირველ რიგში, მინდა ყველა მუსლიმს წმინდა რამაზანის თვე მივულოცო. ჩვენ ყველა ერთ მიწა-წყალზე გავიზარდეთ. ბოლნისი არის მუნიციპალიტეტი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით, განსაკუთრებული ურთიერთობით ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის. დღევანდელი დღეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენ, ქრისტიანები, პატივს ვცემთ ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეების რწმენასა და ტრადიციებს“.

იფთარს ადგილობრივი მუფთები და მზიანი საქართველოს მუფთი იასინ ალიევი ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე სიტყვით გამომსვლელებმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ძვირფასი რამადანის თვე, ისაუბრეს ამ წმინდა თვის განსაკუთრებულ თვისებებზე, მარხვისა და ღვთისმსახურებების მნიშვნელობებზე.

რამადანის თვეში განთიადიდან მზის ჩასვლამდე ყველა მუსლიმი მარხულობს. მძიმე მარხვის პერიოდი მუსლიმებისთვის 5 ივლისს რამაზან-ბაირამის დღესასწაულით დასრულდება.

მოსახლეობასთან შეხვედრები მარნეულში

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისის კულტურის სახლში და გამგეობის მცირე საკონფერენციო დარბაზში ყულარის, წერეთლის, თამარისის, ქალაქ მარნეულისა და ყიზილაჯლოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც პროექტ 2017 წლის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ მიმართულებებს ეხება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, გამგეობის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები. მოსახლეობას წარედგინა მათ ზონაში დანიშნული კოორდინატორები, რომლებიც თემთან აქტიურად იმუშავებენ და დაეხმარებიან პროექტის შედგენაში. შეხვედრაზე მოქალაქეებს განემარტათ, თუ რა არის სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორ განხორციელდა შარშან და რა სარგებელი მოაქვს თითოეული მოქალაქისთვის. შეხვედრის ორგანიზატორებმა მოქალაქეებს გააცნეს აგრეთვე „სამოქალაქო ბიუჯეტის“ რეგულაციები და აუხსნეს პროექტის წერის პრინციპები.

პროექტი უკვე აქტიურ ფაზაშია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია წარადგინოს პროექტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2017 წლის სამოქალაქო ბიუჯეტში.

შეხვედრები ორი დღის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეებისთვის.

სტიქია ქედაში

28 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიამ ძირითადად მდინარე აკავრეთას ხეობა დააზიანა. მერისისა და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში კერძო თუ სახელმწიფო ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალი ერთობლივად მილიონობით ლარს შეადგენს. სტიქიის ზონებს ადგილობრივი თვითმმართველობა აჭარის ა რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტთან ერთად სწავლობს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ღუმბაძემ სტიქიის კერა ამჯერად სოფელ ნამონასტრევში მოინახულა, სადაც გურამ თურმანიძის ოჯახი გარესამყაროსაა მოწყვეტილი. ადიდებულმა მდინარემ წაიღო როგორც საცალფეხო, ასევე საავტომობილო ხიდები, კალაპოტის შეცვლის შედეგად დაზიანდა ოჯახთან მისასვლელი გზა, რომლითაც ოთხი სოფლის მცხოვრებნი იალაღებსა და სავარგულებს უკავშირდებოდნენ. კონკრეტული ციფრი, თუ რა რაოდენობის ზარალი მიადგა ქედის თვითმმართველობას, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

შუახევი – უჩამბაში გუდნის წყალზე მოძრაობა აღდგენილია

გადაადგილება ყველა სახის ტრანსპორტითაა შესაძლებელი და მოსახლეობას შემოვლითი, ალტერნატიული გზებით მოძრაობა აღარ დასჭირდება. ორი დღის განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილობრივებთან ერთად ჰესების მშენებარე კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ წარმომადგენლები, საგზაო დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამსახურის სამაშველო ბრიგადები მუშაობდნენ.

სტიქიის შედეგად დამეწყრილ ტერიტორიაზე რამდენიმეჯერ იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. პირველადი მონაცემებით, სტიქიამ მუნიციპალიტეტს 100 000 ლარზე მეტი ზარალი მიაყენა. ზუსტი მონაცემები დგინდება.

ფიქრები ქართული ენერგეტიკის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს მართავენ. მათი განცხადებით, ნენსკრაჰესის, ხუდონჰესისა და სხვა დიდი ჰესების მშნებლობას გარემოსთვის ნეგატიური შედეგები მოყვება. ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა მათ პროტესტს პროვოკაციად მიიჩნევს, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის ეკონომიკის წინააღმდეგ საბრძოლველად არიან მომართულნი, გაუგებარია მოსახლეობას რატომ სჯერა მათი განცხადებებისო. „პროტესტანტებს“ თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად, არაერთხელ მოუყვანიათ ენგურჰესი, რომლის მშენებლობა-ექსპლუატაციამაც თურმე დააქცია საქართველო. „ხშირად მოისენთ ენგურჰესმა დაღუპა სვანეთი, ტენიანობის მატებასთან ერთად, სხვადასვა დაავადებებმაც იმატაო, მაგრამ იმას არ ამბობენ, რამდენი სიკეთე მოგვიტანა ამ უნიკალურმა ჰესმა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს“, აცხადებს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცეპრეზიდენტი **ანზორ ჟითანაშვა**.

- ენგურჰესმა დღემდე ათ მილიარდ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, ეს იცით რამდენი შეშის, გაზის, მაზუთის, ქვანახშირის დაზოგვაა, რომელთა წვაც მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს. ენგურჰესი რომ არ გვქონოდა, გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, ენერგეტიკა ხომ მაინც გვჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველომ ძალზე დიდი სარგებელი მიიღო, გული იმაზე მტკივა, რომ ჯეროვნად არ ხდება ამის შეფასება. სამწუხაროდ, ჩემმა თაობამ ვერ მოვახერხეთ ამ პროექტში ჩადებული ყველა გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანა, იმიტომაც ხდება ეს ჰესი ასე ვთქვათ, კრიტიკის საგანი, ანაკლიის მიდამოებში ნაპირი ირეცხება, ზღვა მიწას ჭამს და პლაჟები ინგრევა. მდინარე ენგურს ჰესის გამო, ინერტული მასალა (ქვა-ღორღი) აღარ ჩააქვს, რომ გამაგრდეს ზღვის ნაპირიო. ალბათ მკითხავთ, რატომ წინასწარ არ გაითვალისწინეთ, ეს რომ არ მომხდარიყოო. გავითვალისწინეთ, ოღონდ ის კი არა, როგორ ჩავყაროთ კაშხლიდან ამოღებული ქვა უკან, არამედ როგორ შეგვევსო იმ მასალის დეფიციტი, რაც კაშხალმა გადაკეტა. დეფიციტის შევსების შემდეგი მეთოდი შევიმუშავეთ, ჩავატარეთ ცდები 3 კმ-იან უბანზე, 40 კმ-იან უბანზე და არაჩვეულებრივი შედეგები მივიღეთ, რომელიც პრაქტიკულად ნულოვან დანახარჯს უტოლდება. ჩვენი პროექტის მიხედვით, ერთი კილომეტრი სიგრძის ნაპირის დაცვა, 40-დან 50 ათას მანეთამდე ჯდებოდა, ეს ენგურჰესის ტარიფში შესული ისეთი დაბალი მაჩვენებელია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. სანამ ენგურჰესი გაიშვებოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდის არეულობამ, ეკოლოგიური მოძრაობის გამწვავებამ და ა.შ. ამის განხორციელების საშუალება არ მოგვცა, ფაქტობრივად არ გაგვაკეთებინეს, შუა გზაზე მივატოვეთ და მას შემდეგ ინტენსიურად ირეცხება ზღვის ნაპირი. არის კიდევ მეორე საკითხი, რომელიც ვერ მოგვარდა, კაშხლის ქვევით ტერიტორიაზე, ანუ ქვედა ბიეფში უსაფრთხოების პროცესები ბოლომდე არ არის მიყვანილი, როდესაც დადგება კაშხლიდან კატასტროფული ხარჯების გადმოშვების პერიოდი, ეს მართული პროცესია, თოვლის დნობისა და კოკისპირული წვიმების დროს უნდა გახსნა ფარები და წყალი გაუშვა. ამ კატასტროფული ხარჯების სიდიდეც დადგენილია და მისი გავრცელების ზონაც, გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ ამ ზონაში ყველა სახის კატასტროფის აღკვეთა იყო პროექტში ჩადებული, ეს გამორიცხულია. კატასტროფა იმიტომ ჰქვია, რომ არაპროგნოზირებადია, მაგრამ, რაც პროგნოზირებადი იყო, ყველაფერი გავითვალისწინეთ. ამას ჭირდებოდა უსაფრთხოების ღონისძიებები: სანაპიროს დაცვისთვის გამაგრებითი სამუშაოები, წყალმომარაგების, ხიდების დაცვის და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომ მოსახლეობის არეალში არ გავრცელებულიყო კატასტროფული წყალმოვარდნებით გამოწვეული ცუდი შედეგები. ეს ვერ გავაკეთეთ, ვერ ავითვისეთ ამისთვის გამოყოფილი თანხები, აგრეგატების გაშვება და სხვა სამუშაო უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, ვფიქრობდით მოითმენსო, მაგრამ მერე დაინგრა საბჭოთა კავშირი და დარჩა ასე. აქვე ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო, შავი ზღვიდან ენგურის ზედა წელზე ამოდიოდა ზუთხი ქვირითის დასაყრელად, ჩემი ბავშვობის პერიოდში და მერეც, ენგურჰესის მშენებლობაზე რომ ვმუშაობდი, უამრავი ზუთხი დაგვიჭერია. კაშხალმა ესეც გადაკეტა. პროექტში მისი კომპენსაციაც გავითვალისწინეთ და კოდორში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) თევზსაშენი ქარხანა ავაშენეთ (1975-80 წლები) ენგურჰესის ხარჯზე, რომელიც იმ პერიოდში ზუთხის 300 მილიონ ლიფსიტას იძლეოდა, მანამდე არასდროს ყოფილა ამ რაოდენობის ზუთხი შავ ზღვაში. 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ ესეც გაუკეთებელი დარჩა. დილეტანტი ადამიანი ამას რომ უყურებს, ფიქრობს, რად მინდოდა ენგურჰესი, თევზიც მოსპოო. ადამიანი ავად რომ ხდება, წამალი თუ არ მიეცი, შეიძლება იცოცხლოს, მაგრამ ვერ განიკურნება, ჩვენ ეს „წამალი“ არ მიგვაცემინეს და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ჰიდროენერგეტიკა საქართველოს ბუნებას აჩანაგებს, არ გვინდა ჰესები, მითუმეტეს ასეთი გიგანტებიო. ყველა საკითხი თავიდან ბოლომდე მეცნიერულად არის შესწავლილი და გაანალიზებული, ყველაფრის მოვლა-პატრონობა შეიძლება, მთავარია სახელმწიფო დონეზე იყოს ამის სურვილი.

მუდმივად აქტუალურია ელექტროენერგიის ტარიფების საკითხი. ტარიფებს იმიტომ ვადგენთ, რომ ეს არის ამ შემთხვევაში ელექტროენერგიაზე დახარჯული სახსრების მოსახლეობიდან ამოღების ფორმა, რომ იმუშაოს იმ ორგანიზაციამ რომელიც ექსპლუატაციას უწევს ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებს. ყველა ზემოხსენებულის ტარიფებში ჩადებით და გათვალისწინებით, ეს საკითხები რეგულირებული ხდებოდა, არავის ხელის შემყურე არ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ პოსტკომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, სამაგიეროდ ის გააკეთა, რომ კორუფციის შემადგენელ ნაწილად აქცია, რომლითაც ფული „კეთდებოდა“, მე შენ ამას არ გადაგახდევინებ, სამაგიეროდ ფული დადეო. ეს რეალობა დღეს ძალიან ძვირი უჯდება საზოგადოებას, რადგან ის იმას კი არ ხედავს, რომ მავანთ პიროვნულად ან ადამიანურად დააშავეს რაღაც, არამედ მეცნიერების და მიმართულების უარყოფით მაჩვენებლებს ხედავენ, რითაც ხაზს უსვამენ ჰიდროენერგეტიკა არ გვინდა, საქართველოს ღუპავსო.

- ბატონო ანზორ, ენგურის მიერ ჩამოტანილი ქვა-ღორღი ფაქტია, კაშხალს მიღმა ველარ გამოდის, მაგრამ სადღაც ხომ რჩება. თუ ხდება მდინარის კალაპოტის გაწმენდა, რომ ისეთი ტრაგედია არ მოხდეს, რაც გასულ წელს დედაქალაქში დატრიალდა, მით უმეტეს, რომ მასშტაბები გაცილებით დიდია.

- ეს ინერტული მასალა კაშხლის უკან მდებარე წყალსაცავში ილექება, დალექვის ინტენსივობაც შეფასებული გვაქვს – 170 წლის განმავლობაში წყალსაგდებების დონემდე შეივსება, 310 წლის განმავლობაში კი მთლიანად ამოივსება წყალსაცავი ამ მასალით. ასე რომ, ძალიან დიდი პერიოდი გვაქვს დარჩენილი, ეს რომ არ მოხდეს, მაგრამ დამშვიდების უფლება მაინც არ გვაქვს. ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, არსებობს უამრავი ხერხი, რომ ტრაგედია თავიდან ავიცილოთ და სარგებელიც მივიღოთ. ეს ინერტული მასალა, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი სამშენებლო მასალაა, მათ შორის ნაპირის გასამაგრებლად, სოფლის მეურნეობაშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მიწის სასუქად. მდინარის ჩამოტანილ მასალაში საკმაოდ არის ძვირფასი და იშვიათი ლითონები, ოქრო, ვერცხლი, ტიტანი, ნიკელი, ვოლფრამი, შეგვიძლია ეს ყველაფერი გამოვიღოთ იქიდან და ფულად ვაქციოთ. პროექტში ესეც გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნგრევამ, ეს საკითხიც

გადაუწყვეტელი დატოვა. ახლა ჩვენ ენგურის წყალსაცავის გარკვეულ დონემდე ამოვსების საწყის ეტაპზე ვართ, ანაკლიიდან შავი ზღვა გვიტევს, მოგეხსენებათ, იქ ღრმაწყლოვანი პორტი შენდება და ზღვის აგრესია უფრო იმატებს. ჩვენი შეფასებით, ყოველწლიურად 5 ჰექტარი მიწა მიაქვს ზღვას, რადგან ის „კვება“ არ აქვს, რაც მანამდე ჰქონდა, ამიტომ ეს „კვება“ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. დღეს დამატებით სხვა პროცესიც მიმდინარეობს, ენგურის ქვედა ბიეფში მდინარის კალაპოტის დონის აწევა ხდება, რადგან მას არ აქვს იმის ძალა, რომ კაშხლის ქვემოთ არსებული ხევების და პატარა მდინარეების მიერ ჩამოტანილი შვავი ზღვამდე გაიტანოს. ეს ჩამოშვავებული ნაკადები გზადაგზა რჩება და ენგურის კალაპოტს ავსებს. სანამ კაშხალი აშენდებოდა, 700, 800 და 1000 კუბმეტრი შვავი ისე გაივლიდა ენგურზე, რომ კაციშვილი ვერ გებულობდა, ახლა საკმარისია სამასმა კუბმა გაიაროს, რომ მოსახლობას აზრალებს, იტბორება ყანები, სახლები და ეზოები, იხრჩობა შინაური ფრინველები და პირუტყვი. დღეს უკვე ისეთი რეალობის წინაშე ვდგავართ, რომ კაშხლის ზემოთაც და ქვემოთაც სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ღონისძიებები, რაც ნიშნავს მდინარის მიმდებარე ტერიტორიების დაცვას, ანუ მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სხვა მეურნეობრივი საქმიანობის დაცვას. თუ ენგურის ქვედა ბიეფის ნორმალური ექსპლუატაცია არ მოხდა და ამოივსო მდინარის კალაპოტი, წყალდიდობისას შედეგად წამოსული ნაკადები ყველაფერს წალეკავს. მდინარე ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, ამოვიღოთ მისი ჩამოტანილი ინერტული მასალა, ჯერ ერთი, რომ დატბორვის საფრთხე მოიხსნება, მეორე, ინერტული მასალა მთელ მსოფლიოში დეფიციტურია, ჩვენ კი ამ მასალით და შესაბამისად სამშენებლო მასალებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა ვართ, რადგან საქართველო ვულკანური წარმოშობის ზონაში მდებარეობს. ეს მასალა ენგურის კალაპოტში დიდი რაოდენობით დევს, მხოლოდ ამოღება უნდა. ჩვენ თავის დროზე შესწავლილი გვქონდა ანაკლიის, რუხის, ლიის კარიერები, სწორედ იქიდან ამოღებული ინერტული მასალებით აშენდა ენგურჰესი.

აშკარად ჩანს, რომ საქართველოში კატასტროფები და კატაკლიზმები პერიოდულად მეორდება, ხომ ვნახეთ რა ქნა გასულ წელს მდინარე ვერემ. ეს ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. კომუნისტების მმართველობისას, როდესაც ჟიული შარტავა იყო კომკავშირის ცეკას მდივანი, მას უნდოდა „მზიური“ ვერეს ხეობაში გაკეთებულიყო, შეგვკრიბა მეცნიერები, შევისწავლეთ ეს ადგილი, დავამუშავეთ თემა და ბატონ ჟიულის შევთავაზეთ, რომ ვერეზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ზემოთ ორი კაშხალი აგვეშენებინა, რომ ნაშალი მასალები დაგვეჭირა, რათა წყალდიდობას მძიმე შედეგები არ გამოეწვია. პროექტი ისე გავაკეთეთ, რომ მარტო კაშხლები კი არ აგვეშენებინა, იქვე დაგვემონტაჟებინა აგრეგატებიც, ერთგვარი საცდელი ნაგებობა ყოფილიყო, რათა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს საკუთარი თვალით ენახათ, როგორ მუშაობდნენ ეს აგრეგატები და როგორ იყენებდნენ მათ ელექტროენერგიის წარმოებისთვის. კაშხლის ამ ნაწილზე ჩვენმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ნამუშევარი, დანარჩენ ინფრასტრუქტურულ ნაწილზე „გიპროგორსტროიმ“ იმუშავა, 12 თუ 13 ტომი იყო, ეს საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა. ეს ნამუშევრები არსებობს და თუ ვინმე დაინტერესდება, დღესაც შეიძლება მათი მოპოვება. ჩვენი კვლევების მიხედვით, კატეგორიულად აკრძალული იყო იმ ზონაში ჩასახლება, ამას ჩვენ 80-იანი წლების დასაწყისშივე ვამბობდით, მაგრამ არ გაითვალისწინეს პოსტსაბჭოთა ხელისუფლებებმა. მთელი ხეობის გეოლოგიური გადაღება განვახორციელეთ, დავადგინეთ მეწყერული ზონები, საიდან რა შეიძლება მომხდარიყო და იმიტომ ჩავთვალეთ აუცილებლად კაშხლების აშენება. ეს სურათები და რუკები დღესაც არსებობს, თუ გადაწყვეტენ ვერეს ხეობის ხელახლა შეცწავლას, შეუძლიათ ეს რუკებიც გამოიყენონ, შეადარონ და მაშინვე მიხვდებიან, რა ცვლილებები მოხდა 30-35 წლის განმავლობაში ხეობაში და რასთან გვქონდა მაშინ საქმე. ეს პროცესები მეცნიერულად, ინჟინრულად იმართებოდა სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ, რასაც მხარს უჭერდა მაშინდელი ხელისუფლება.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი



თბილისის აეროპორტის მიმართულებით ღამის რეისზე 3 ავტობუსი იმოძრავებს

4 ივლისიდან, სადგურის მოედნიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით, ღამის რეისზე 3 ავტობუსი იმოძრავებს. თბილისის მერიისა და სატრანსპორტო კომპანიის ინიციატივით, N37 ავტობუსი მთელი ღამის განმავლობაში 30-წუთიანი ინტერვალით მოემსახურება როგორც თბილისის მოსახლეობას, ასევე ტურისტებს. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დარეკეთ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცხელ ხაზზე: 2 93 44 44, - აცხადებენ თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში.

პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობის შემდეგ ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა

თბილისის მერიის განცხადებით, 4 ივლისიდან პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა ახლადაშენებულ ესტაკადაზე გადაერთვება. საავტომობილო მოძრაობის მიმართულება უცვლელი დარჩება - ბარათაშვილის ქუჩიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით. სამშენებლო სამუშაოები მეორე ეტაპზე გადავიდა, რაც ითვალისწინებს ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას.

გზის გაფართოების მიზნით, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს.

პროექტი ითვალისწინებს პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობას, საავტომობილო და საფეხმავლო გზის გაფართოებას და ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას. აღსანიშნავია, რომ ესტაკადა, კონცეფციის თანახმად, ძველი ქალაქის სტილში ჩაჯდება, გამომდინარე აქედან, ხიდის მშენებლობით ძველი თბილისის იერსახე არ დაიკარგება.

სამშენებლო სამუშაოებს პუშკინის ქუჩაზე, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, კომპანია "CRP" აწარმოებს და მიმდინარე წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება. პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით 4 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ბაქოში მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის მიმდინარე საკითხები განიხილეს

აზერბაიჯანში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მარაბდა-კარწახის მონაკვეთის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის 25-ე ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრი ზია მამედოვი უძღვებოდნენ. საბჭოს სხდომაში ასევე მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილი.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და აზერბაიჯანზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის განვითარების მნიშვნელობაზე, აგრეთვე იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად გაზრდის აღნიშნული მიმართულების კონკურენტუნარიანობას. ასეთ პროექტებს შორისაა ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ტრანზიტის ხანგრძლივობა ევროპასა და ჩინეთს შორის.

სხდომაზე მხარეებმა განიხილეს მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები, მოისმინეს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ და შეთანხმდნენ იმ ქმედებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის.

თამაზ ტეტუნაშვილი, სოსო მანჯავიძე

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკა

რაღა თქმა უნდა, საქართველო უნდა ისწრაფოდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ტერიტორიის გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში აღდგენისკენ. საქართველო უნდა ისწრაფოდეს ისტორიული ქართული ტერიტორიების დაბრუნებისკენ. საქართველოს შორეული, მაგრამ სტრატეგიული ოცნება და მიზანი უნდა იყოს ქართულ-კავკასიური სახელმწიფოს, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე შექმნისკენ სწრაფვა, მაგრამ არა იმ კონფიგურაციით, როგორის შექმნასაც დავით აღმაშენებელმა დაუდო საფუძველი (მაშინ სხვა გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო და სხვა მოცემულობების წინაშე იდგა საქართველო), არამედ დღევანდელი გეოპოლიტიკური მოცემულობებიდან გამომდინარე, საქართველოს სულ სხვა კონფიგურაციის ქართულ-კავკასიური სახელმწიფოსაკენ (შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე) სჭირდება სწრაფვა.

XV-XVIII საუკუნეებში საქართველო დანაწევრებული იყო ცალკეულ სახელმწიფოებად და სამთავროებად. ამ პერიოდში ქართული სამეფო-სამთავროების საერთო ფართი შეადგენდა 124-135 ათას კმ². მათ შორის მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით ქართული სახელმწიფოს მფლობელობაში იყო 20-35 ათას კმ². შავი ზღვის სანაპირო ზოლი მერყეობდა 480-500 კმ-ის ფარგლებში. მათ შორის, "ჩრდილოეთის ყბა" 260-300 კმ. ხოლო "სამხრეთის ყბა" – 200-220 კმ. ფარგლებში. ეგრეთ წოდებული "ტაო-კლარჯეთის ვექტორი" შეადგენდა 415 კმ.

ამგვარად ძველ წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოდან ახალი წელთაღრიცხვის XVIII საუკუნის ჩათვლით, ქართული სახელმწიფო (ან სამეფო-სამთავროები) ავად თუ კარგად ახერხებდნენ გეოპოლიტიკურ "დამაგრებას" ქართულ მიწებზე რომაელების, არაბების, მონღოლების, ბიზანტიელების, თურქების, სპარსელების და ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების შემოსევების მიუხედავად. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთლიანად იცვლება მანამდე არსებული მდგომარეობა. საქართველო, როგორც სახელმწიფო, მთლიანად წაიშალა მსოფლიო რუკიდან. თუ მანამდე ქართული სამეფო-სამთავროები დამოკიდებული იყო სპარსეთზე და თურქეთზე სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ხარისხით, ერთმორწმუნე რუსეთმა, ფაქტობრივად, თავის გუბერნიად გვაქცია.

საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა რუსეთის მიერ დაიწყო 1801 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს „შეერთებით", (ყველაზე დიდი ქართული სუბიექტი 41,0 ათას კმ²) და დამთავრდა აჭარა-არტაანის შეერთებით 1878 წელს. სულ 107 ათას კმ² ქართული მიწების დაპყრობა-შეერთებით. რომლიდანაც შემდგომში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა თურქეთთან მიწების დათმობის შემდეგ, 98,0 ათასი კმ² ქართული ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების და ყარსის ოლქის სახით (თავის მხრივ დაყოფილი იყო ოკრუგებად და მაზრებად).

ამ დროს შავი ზღვის ზოლი, რომელსაც, ფაქტობრივად, ფლობდა ქუთაისის გუბერნია, შეადგენდა 460-485 კმ-ს. მათ შორის, "ჩრდილოეთის ყბა" 350-370 კმ. ხოლო "სამხრეთის ყბა" – 110 კმ. ტაო-კლარჯეთის ვექტორი 300 კმ. ფარგლებში იყო, მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით ფართობი შემცირდა დაპყრობის შემდეგ 28,0 ათას კმ²-იდან (ფაქტობრივად, თბილისის გუბერნია) 21,0 ათას კმ²-მდე, რადგან სევანის ტბის გაყოლებით ქართლ-კახეთის მიწები გადაეცა ერევნის გუბერნიას.

მენშევიკური საქართველოს (ერთა ლიგაში წარდგენილი მონაცემების მიხედვით, აქ არ შედის დიდი სოჭის ტერიტორია და რუსეთის მიერ წართმეული სხვა ტერიტორიები) ტერიტორია შეადგენდა 89,2 ათას კმ². მათ შორის მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით მდებარე ფართი შეადგენდა 28,0 ათას კმ². შავი ზღვის სანაპირო 450 კმ. მათ შორის, "ჩრდილოეთის ყბა" 220კმ., ხოლო "სამხრეთის ყბა" – 230 კმ. ტაო-კლარჯეთის ვექტორი შეადგენდა 405 კმ.

მენშევიკური საქართველოს პარამეტრები მოიცავდა ისტორიული ქართული მიწების თითქმის 70%-ს. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ საქართველოს სსრ-ს შემდგენლობაში დარჩა მხოლოდ 69,7 ათას კმ² ფართი, სამი ავტონომიური წარმონაქმნით. მათ შორის მცხეთაზე გამავალი გრძედის აღმოსავლეთით მიწის ფართი შეადგენდა მხოლოდ 20,0 ათას კმ². შავი ზღვის სანაპირო ზოლი 310 კმ. აქედან "ჩრდილოეთის ყბა" 220 კმ., ხოლო "სამხრეთის ყბა" – 90 კმ. ტაო-კლარჯეთის ვექტორმა შეადგინა მხოლოდ 290 კმ.

ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს დაუკითხავად და მისი ინტერესების უგულელყოფით "დაუთმო" თურქეთს "სამხრეთის ყბის" და ტაო-კლარჯეთის ვექტორის დიდი ნაწილი, ასევე მიითვალა "ჩრდილოეთის ყბის" სადავო ტერიტორია. მისი გავლენით, ქართული მიწები გადაეცა აზერბაიჯანს და სომხეთს. ფაქტობრივად, ყველა ჩვენმა მეზობელმა წაიღო ქართული მიწები თავიანთ სასარგებლოდ. ეს იყო პასუხი ბოლშევიკური რუსეთისა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

დღევანდელი საქართველო კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია. მას ჩამოაჭრეს, ფაქტობრივად, მთელი "ჩრდილოეთის ყბა" და "დემოგრაფიული დერეფნის" ჩრდილო ნაწილი ე.წ. სამხრეთ ოსეთი, სულ 12,4 ათასი კმ2.

თუმცა საქართველოს ჯერ კიდევ აქვს შანსი აღიდგინოს კომუნისტური წყობის დროინდელი (გაერთიანებული ერების მიერ აღიარებული) ტერიტორიები და შემდგომში სხვა ქართული მიწების დაბრუნების შანსიც გაუჩნდეს.

აქტია, საქართველოს სახელმწიფოს ლოკალური გეოპოლიტიკური მიზანია მუდმივად მისი ძალისხმევის ვექტორები მიმართული იყოს შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროების გასწვრივ, ხოლო მცხეთა-თბილისის არეალი განუწყვეტლივ აფართოოს. ასევე მიმართოს ძალისხმევის ვექტორი ტაო-კლარჯეთის მიმართულებით. მხოლოდ ასე შეუძლია საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურად „დამაგრდეს" დედამიწის ამ ურთულეს გზაჯვარედინზე.

ეს ჩვენი სახელმწიფოს მუდმივი ინტერესებია. აქედანვე გამოდის დასკვნა: თბილისი-ფოთის ღერძი განაპირობებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობას.

სწორედ ამ გეოპოლიტიკურ მოცემულობებს უნდა ითვალისწინებდეს და ემყარებოდეს ქართული სახელმწიფოს განვითარების მიზანი და მომავალი, ასევე რეგიონალურ და გლობალურ გეოპოლიტიკაში ორიენტაციის აღება.

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის ფუნდამენტალური კანონზომიერების (დასკვნის), სრული უგულელყოფაა ქუთაისში პარლამენტის გადატანა. ერთი შეხედვით ეს უწყინარი მოვლენა მომავალში ძალზე საშიში და გამოუსწორებელი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. იმ რეგიონში, სადაც საქართველო მდებარეობს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვართ, ხელისუფლებაში ნაციონალების დარჩენის შემთხვევაში, აღნიშნულ ქმედებას მოყვებოდა ქუთაისში დედაქალაქის გადატანა. სახელისუფლო ვერსია - ქუთაისში პარლამენტის გადატანის მიზანი 'ქუთაისის გამოცოცხლების და ხალხის დასაქმების შესახებ – გაუთვითცნობიერი ხალხის მოსატყუებელი ვერსია გახლდათ. ხოლო ზოგიერთი ოპოზიციონერი-პოლიტიკოსის მოსაზრება - პარლამენტის გადატანით ქუთაისში ყოფილმა პრეზიდენტმა მოიცილა გაყალბებული არჩევნების და სხვა უკმაყოფილობების შედეგად თბილისში პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო გამოსვლებიო - ასევე აბსურდია, რადგან ხელისუფლება არ ერიდებოდა და მიჩვეული იყო პროტესტანტების სასტიკ დარბევას. სინამდვილეში მიზანი უფრო ღრმაა და საშიში, ოკეანის გაღმიდან და ჩრდილოეთიდან მოდის ჩვენივე მეზობლის დაკვეთით.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს სახელმწიფოს (სახელმწიფოების და სამთავროების) ისტორიულ-გეოგრაფიული პარამეტრები

	შავი ზღვის სანაპირო ზოლი (კმ)			ტაო-კლარჯეთის ვექტორი (კმ)	„გავლენის" ფართობი (ათასი კმ²)	საქართველოს ტერიტორიის ფართობი (ათასი კმ²)	შენიშვნა
	სულ	ჩრდილოეთის "ყბა"	სამხრეთის "ყბა"				
ქ.წ.ა. ათასწლეულის პირველი	610	380	230	460	28-32	130-135	
ქ.წ.ა. ათასწლეულის პირველი	430-470	320-350	110-120	300-350	36-39	124	
XI-XIV	535	400	335	380-440	116	265	ტრაპიზონის იმპერიის და ყმადნაფიცი ქვეყნების პარამეტრების გარეშე
XV-XVIII	480-500	260-300	200-220	415	20-35	124-135	
XIX	460-485	350-370	110	300	21-28	98-107	
მენშევიკური საქართველო	450	220	230	405	28	89,2	აქ არ შედის დიდი სოჭის ტერიტორიები და რუსეთის მიერ წართმეული სხვა ტერიტორიები
კომუნისტური საქართველო	310	220	90	290	20	69,7	
დამოუკიდებელი საქართველო	125	35	90	290	20	57,2	კონტროლირებადი ტერიტორია

დიდი მადლობა – მაგრეგბოოო!

„დედის ხმას ყველგან გაიგებ, სადაც არ უნდა იყო, მაინც გაიგებ“...

ოტია იოსელიანი

საინტერესოა, რომელიმე უწყებამ, ანდა არასამთავრობო ორგანიზაციამ დათვალა და არსებობს სტატისტიკა იმის შესახებ, 2012 წლიდან დღემდე რამდენი ადამიანი გადაურჩა უცილობელ სიკვდილს იმ სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით, რომელსაც მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის სახელით ვიცნობთ?

სავარაუდოდ, საყოველთაო დაზღვევამ ათასობით ოჯახი დაიცვა სიკვდილისგან და რაღა შორს წავიდე, ამ სამიოდე კვირის წინ სწორედ ჩემს ოჯახზე აისახა ის სიკეთე, რომელზე საუბრითაც არ დავიღლები!

ყველას გვახსოვს, საა-კაშვილის ხელისუფლებასი ყოფნისას, რა განუკითხაობა სუფევდა ჯანდაცვის სამინისტროში და მაშინ, როდესაც ამ უწყების „ნაციონალი„ მინისტრები საკუთარი კეთილდღეობით იყვნენ შემოფარგლულნი, რიგითი მოქალაქეები შვილების, დების, ძმების, მშობლებისა თუ სხვა ნათესავების გადასარჩენად საკუთარ სახლებსა თუ ნივთებს როგორ სწირავდნენ სიცოცხლის სანაცვლოდ! ბევრი მათგანი ქუჩაშიც აღმოჩნდა იმიტომ, რომ ქონება ბანკებიდან უკან ვეღარ გამოისყიდა, მაგრამ ისიც ხომ გვახსოვს, რომ, ზოგადად, ადამიანის სიცოცხლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდა ხელისუფლება?!

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც მინისტრთა კაბინეტი წარადგინა ბიძინა ივანიშვილმა და როცა ჯერი სლავური გარეგნობის სიმპათიურ ადამიანზე მიდგა, ასეთი სიტყვებიც დააყოლა: „აი, ნახავთ, დათო სერგეენკო ბევრ ქართველ მინისტრს აჯობებსო!“

გია თვალავაძე

დიახ, დავით სერგეენკომ მართლაც გადაუსწრო ბევრ ქართველს ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში და ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ იგი ბათუმში ჩემს სიახლოვეს ცხოვრობს, მისმა საქმისადმი მიდგომამ, პროფესიულმა ჯინმა მიბიძგა, ეს სტრიქონები ვწერო და, მეტიც, რომ არა დავით სერგეენკო და მისი გუნდი, დღეს საავადმყოფოებში ისევ ის განუკითხაობა და უწამლობა იქნებოდა, როგორც ეს ფაშისტური სექტის, „ნაცმოძრაობის“ დროს იყო!!!

ქართველი ექიმების პროფესიონალიზმზე ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება და მინდა, ერთი ისტორია გავიხსენო, რომელიც აფხაზეთის ომს უკავშირდება...

რამდენი სიცოცხლე გადაარჩინეს ქართველმა ექიმებმა – დათვალა ვინმემ? ალბათ, არავინ! მაგრამ პირადად მე რომ ხშირად ვაშუქებდი ფრონტის ხაზიდან ექიმთა თავდადებას, ეს კი ნამდვილად ეხსომება მაშინდელ ტელემაყურებელს...

ჰოდა... ბრიგადებად ჩამოდიოდნენ ჩვენი საყვარელი ექიმები ფრონტის ხაზზე სამუშაოდ, ჩამოჰქონდათ მედიკამენტები, საჭირო აღჭურვილობა და, რაც ყველაზე მთავარია – ჩამოჰქონდათ იმედი იმისა, რომ ტყვია ვერაფერს დაგვაკლებდა!

სწორედ მაშინ, აფხაზეთში ომის დროს გავიცანი ექიმი გია თვალავაძე, რომელიც დღეს უკვე დავით სერგეენკოს გუნდშია და მინდა დღეს „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვუთხრა მას: გია! შენ არა მხოლოდ კარგი ადამიანი, ძალიან დიდი პატრიოტი ხარ იმიტომ, რომ თითოეული ქართველის გადასარჩენად არც დროს, არც ენერგიას და არც თავს არ ზოგავ! დიდი მადლობა, ჩემო საყვარელო ადამიანო იმისთვისაც, რომ კაცური კაცის ქუდი არასოდეს არ მოგიხდია და ზოგიერთებივით არ გათქვეფილხარ ტიალ წუთისოფელში!!! მიგულე შენს გვერდით და ღმერთმა შენი თავი არ მოუშალოს ყველა იმ შეჭირვებულ ავადმყოფს, რომლის დასახმარებლადაც იყავი, ხარ და მუდამ იქნები!!!

„დედის ხმას ყველგან გაიგებ... სადაც არ უნდა იყო, მაინც გაიგებ“, – თქვა ოტია იოსელიანმა და სრულიად ვეთანხმები...

ჩენს დედასაც გაუჭირდა და დამიძახა – მიშველეო! ერთი კვირის განმავლობაში ებრძოდნენ დედაჩემი და #1 კლინიკური სავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე შპს „პირველი კლინიკური შპს“ მაღალი კვალიფიკაციის ექიმები დედაჩემის სასთუმალთან და აჯობეს, დაამარცხეს!!!

არაფერი, გარდა კვებისა დაამასაც არავინ გვავალდებულებდა, არაფერი არ მიგვიტანია, რადგან ყველაფერს, ყველა სამედიცინო მომსახურებას სწორედაც რომ სახელმწიფო, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა აფინანსებდა და აქ, როგორც იტყვიან, მადლობის მეტი სიტყვა თავში აზრადაც არ მომდის!

გარდა მადლობისა, განა შეიძლება ან სხვა სიტყვა იხმარო, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად, მკვდარი დედა რეანიმაციაში ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი ექიმი, ქალბატონი ქეთევან ცქიტიშვილი გეუბნება: „მძიმეა ქალბატონის მდგომარეობა, ორივე თირკმელი გათიშულია, აზოტი 400 ერთეულამდეა, მაგრამ შესაძლოა, მაინც გადავარჩინოთო?“ სამი დიალიზის გადასხმა დასჭირდა დედას, მაგრამ, განა ის იბრძოდა სიცოცხლისთვის? ნეფროლოგი გიორგი სიხარულიძე იყო ის ექიმი, რომელმაც ადგილიდან „დაძრა“ გაჩერებული თირკმელები – ყველას ერთად გვიხაროდა, ექიმებსაც და ჩვენც, შვილებსაც!!! მადლობა, ქალბატონო ქეთი, უღრმესი მადლობა თქვენ, იმიტომაც, რომ ჩვენს გარდა სხვებსაც ჰყავდათ რეანიმაციაში დედები, შვილები, მეუღლეები და ყველას გადარჩენა მოახერხეთ! რიგში მომლოდინე მნახველებისთვის იმედიან სიტყვას რომ არ იშურებდით და დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი თქვენს კლინიკაში აღარ იმყოფება – კონსულტაციას გვიწევთ მისი შემდგომი გამოჯანმრთელებისთვის!!!

ზოგადად, „პირველი კლინიკური შპს“ სამედიცინო პერსონალი რომ ჰიპოკრატეს ფიცისადმი ზედმიწევნით ერთგულია და თავდადებით ემსახურებიან როგორც საყვარელ საქმეს, ისე საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, იქიდანაც გამოჩნდა, რომ დედას საავადმყოფოში ყოფნისას აზერბაიჯანული ეთნოსის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც ლამისაა სამი სოფელი გამოჰყვა რეანიმაციამდე – სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯეს! უნდა გენახათ, როგორ ლოცავდნენ ოჯახის წევრები თუ თანასოფლელი აზერბაიჯანელები ექიმებს კი არადა, კარისკაცებს, სანიტრებს და მედდებს, რომლებსაც მათთვის სანუგეშო ინფორმაცია მოჰქონდათ დახურული კარის მიღმიდან!

და, მართლაც... დიდი მადლობა ჩემგან თითოეულ მედდას, სანიტარს თუ კარისკაცს იმედიანი ღიმილისთვის და იმისთვისაც, ხანდახან რიგგარეშე რომ შემიშვებდით ხოლმე დედის მოსანახულებლად მოსულს!

აქვე მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნანა იაშვილს და ბატონ მამუკა ფრანგულაშვილს, რომლებიც გარდა თავიანთი პაციენტებისადმი უდიდესი ყურადღებისა, იმავდროულად, ზედმიწევნით მობილიზებულნი არიან იმისთვის, რომ ავადმყოფის ოჯახს თავიდან აარიდონ ზედმეტი ტვირთი.

მოკლედ, სიტყვები არ მყოფნის, ჩემო ძვირფასო ექიმებო, სრულყოფილად რომ გადავცე მკითხველს თქვენს შესახებ სათქმელი, მაგრამ მახსოვს მთავარი სიტყვები – მარჯვენა დაგელოცოთ! დიდი მადლობა ყველაფრისთვის და იმისთვის, რომ დღეს დედის ხმა უკვე ძალიან ახლოს მესმის, მიხმობს და გაგიკვირდებათ, მაგრამ თქვენც მოგიკითხავთ ხოლმე სიტყვებით: „მადლობელი ვარ ექიმების!“-ო...

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა – მა-გრე-ბოოო!

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ #15-18)

ბადია სოფია: – „სწორედ იმ პერიოდში, 5500 წლის წინ და კიდევ უფრო ადრეც, აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. სწორედ ქალაქ ურისთან მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი მთვარის ღმერთის „ნანას“ (მეგრელთა ღმერთის) ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვ. წ. აღ-მდე ოცი საუკუნით ადრე...“

მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ეგვიპტურ ცივილიზაციას დიდი ხნით უსწრებდა შუამდინარეთის ცივილიზაცია, ხოლო ქალღმერთ ნანა-ს ქანდაკება (შუამდინარეთი) ეგვიპტურ ქალღმერთ ისიდას (შვილით) ქანდაკებას. ასევე, „მადონა“, როგორც „ნანა“, უძველესი მეგრული (კოლხური) სახელია.

გილგამეში და ენქიდუ

წარღვნის შესახებ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, მათგან ერთ-ერთი უძველესია გილგამეშის ეპოსი, სადაც წარღვნის გმირებად ნახსენები სუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არარუ, მაშის მთა – თვით გილგამეშიც (გულ-კამეჩი) იხსნებიან მხოლოდ მეგრულ (კოლხურ) ენაზე. შუმერული მითოსის კუნძულის სახელწოდება „დილმუნი“ ასევე ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა; აღაპა და შვიდი აფქალი დღესაც იხმარება მეგრულად და ა.შ უამრავი სიტყვები დღევანდელ ლაზურ-მეგრულ (ჭანურ) სალაპარაკო ენაში. შუმერული „ნანა“ იგივე მეგრული (კოლხური) „ნანაა“. ამ ღვთაებრივ „ნანა-ს“ უმღვროდნენ დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთ ულამაზეს სიმღერებს როგორიცაა: „ნანაია ნანა“, „ნანასქუა“, „დიდოვ ნანა“, „ვოვ ნანა“. ასევე, თავიანთი სახელმწიფო „აია-ს“ სადიდებლად შეუქმნიათ „ოდოია“, სიმღერა მთვარის ღვთაება „ნანა-ზე“, იგივე დედაზე. ეს სიმღერები შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეიზე.

„შემერებსაც“ ჰქონიათ სიმღერები თავიანთ ქალაქ ერეხეთსა და მთვარის ღვთაება „ნანა-ზე“ და მეგრელები დღემდე მღერიან ქალაქ ერეხეთზე – ათი მეფის შემდგომ მოვიდა მერეხი (ძლიერი წვიმა სეტყვით) და დატბორა ის კუთხე სადაც იყო ქალაქი ერეხი... „ერეხელი ვარ-და, მერეხელი, ელიზბარი ამისთანა სარკო, მიქელოი ვარ-და მიქელოი ძღაბ მეურს გეჯეთური ბოშ გეთხოზ გეჯეთური ქვერ... ქვერი ვარ-და ახალ-ქვერი იმ ქვირიას იმ ქვირია თუ დო ხორცი ხაშმიერი დაფარული ერი-ერი ქუმ; ქუმ ვარ-და, ქუმ ურძღარი ნება სქანი სახსოვარი, ჰო, ჰო, ჰოი მიქელო“

ვისაც მოსმენილი აქვს პლასიდო დომენგოს შესრულებული „ვა გიორქუ“, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის შინაარსი, შესაძლოა, არ ესმოდეს, ვერ უარჰყოფს, რომ უცხო ენაზე უსმენდა ზეპარმონიულ საგალობელს...

პელაზგ მაკრონებს – მეგრელებსა და ჭანებს, ისევე როგორც შუმერებს ძვ.წ. აღ დაახლოებით II ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგეოსის კუნძულ ევბეაზე ჰქონდა ქალაქ-სახელმწიფო, რომლის სახელწოდება „ია“ ყოფილა და ჰყოლიათ მეფეები – ჰიბერიონი და ჰელიოსი. იმდროინდელ კოლხურ ხალხურ სიმღერებად ითვლება ის სიმღერები, რომლებმაც ათასწლეულებს გაუძლეს და დღემდე ვმღერით: „ოდოია“, მთვარის ღვთაება ნანაზე, ფინიკიელების მიერ მოტაცებულ იოზე და შუმერების ქალაქად ცნობილ ერეხეთზე (და სხვა).

რატომღაც, მივივიწყეთ (თუ მიგვავიწყეს?!) სიმღერა „იო-ზე“ რომელიც ასე იწყებოდა „ჰოჰო იო მუშენ ვა მორთიო“. იო არგუსის მეფის ასული იყო რომელიც ფინიკიელებმა მოიტაცეს და ეგვიპტეში ჩაიყვანეს...

ვის შეუძლია უარჰყოს, რომ დღემდე არსებობს ერთი ცოცხალი პატარა ერი, რომელსაც ლექსიკურ საგანძურში შემონახული აქვს არა მხოლოდ სხვა ცოცხალი ერების სიტყვა-ზმნები, არამედ უკვე გამქრალი ცივილიზაციებისაც – ეს არის ქართული ენა. ენა, იდეალური ანბანით, რომელშიც ყველა ბგერა ერთ ასოს შეესაბამება და ყოველი ასო ცალკეულ ბგერას; არავითარი გრძელი ბგერა, მუნჯი ასო, დიფთონგი ან არტიკლი – აწყობილი გრამატიკული წესრიგით.

„ქართული ენის ცოდნამ მე ძლიერ მიშველა ჰამ-ურ-აბის კანონების თარგმნა-წაკითხვაში“ (სავარაუდოდ, აქედანაა შექმნილი მოგვიანებით მოსეს 10 მცნება) – გაიხსენა ექვთიმე თაყაიშვილმა (დაცულია ლუვრში, საფრანგეთი).

ქრისტესშობამდე დაახლოებით 3000 წლის წინ, ოთხ ზღვას (შავი, კასპიის, სპარსეთის უბე და ხმელთაშუა ზღვა – ტერიტორია ინდოეთის დასავლეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე – ესპანეთი და კავკასიიდან ქვევით, სპარსეთის ყურემდე) შუა მდებარეობდა ღმერთ „ქალდუ-ს“ გეოგრაფიულად და პოლიტიკურად განვითარებული სახელმწიფო. ყოველივე ამის საწყისი და მემკვიდრე არიან ქართველები, რადგან სხვა არავინ დარჩა, რაც მტკიცდება მრავალი ლინგვისტური გამოკვლევებითა და არქეოლოგიური მასალებით – ეს მოსაზრება აქვს გატარებული ბატონ რევაზ გაბაშვილს თავის ნაშრომში. საუბარია ქრისტეშობამდელ ცივილიზაციაზე, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ ყველა სხვა უძველეს ცნობილ ცივილიზაციებს.

„მდინარე რიონს (ფაზისს) ძველი ბერძნული წყაროები „ამარანტოსს“, ხოლო რიონის ზემო წელის მკვიდრებს „ამარანტებს“ უწოდებდნენ. თუ ამ სახელს თეომეცნიერული არსით შევხედევათ, ეს ხსნის იმ თეოკანონებს რომლითაც ძველი ხალხები ცხოვრობდნენ. ამ კანონით „თაკირიე“ (თაკვერი), ანუ რაჭა-ლეჩხუმი, ისტორიული კოლხეთის „საღვთო მამული“ იყო და სახელწოდება „ამარანტები“ ასე უნდა წარმოვსახოთ „ამონ+რა+ატონ“, რაც სავსებით კანონზომიერია მზის თაყვანისმცემელთა იმ დროს გაბატონებულ რელიგიაში. „ამონ“ – დილის მზეა, რა – შუადღის, ატონი – საღამოს მზე. არსებითად, დასახელება „რაჭა“, „ლეჩხუმი“ და „სვანეთი“ – თეოტოპონიმებია და ასახავს ძველი რელიგიების ფუნდამენტალურ არსს, რომელიც „მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად“ აღიარებული ხალხების რწმენა იყო და ედენას თეოკულტურამ დღემდე მოიტანა.


კოსმოსიდან გადაღებული ფოტო

ეს თეოკულტურა ისტორიულად მოიცავს დიდი კავკასიონის ორივე ფერდობს, საქართველოს მხრიდან რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს და ჩრდილოეთის მხრიდან ისტორიულ ჩერქეზეთს, რომლის ტერიტორიაზე დღეს განფენილია ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და ოსეთის ის ნაწილი, რომელსაც დიგორი ეწოდება.

თუ ჩვენ უარს ვიტყვით ედენას თეოკულტურაზე, მაშინ ყოველგვარ ფუნდამენტს გამოვაცლით იბერიულ-მელქისედეკიანური მართლმადიდებლური ცნობიერების აღდგენას, რაც „იბერიის გაბრწყინების“ მეცნიერული საფუძველია და რომელმაც კაცობრიობას უნდა განუცხადოს უფლის სიტყვები: – „ნუ გაგიკვირდებათ რომ გითხრათ, ხელახლა უნდა დაიბადოთ-მეთქი“ (იოანე 3.7)

შუმერების მემკვიდრეობა ქართულ ეროვნულ წიაღში დღემდე არსებობს „ედენას თეოკულტურის“ სახით, რასაც მეცნიერული შესწავლა, დაცვა და გამომზეურება სჭირდება. თუ როგორ არის ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში შუმერული თეომემკვიდრეობა „ედენას თეოკულტურის“ სახით წარმოდგენილი, იმ მცირედითაც დარწმუნდებით, რასაც ფაქტებად წარმოგიდგენთ. (აღარაფერი რომ აღარ ვთქვათ სხვა იმ თეომეცნიერულ ფაქტებზე, რომელიც აუარებაა ედენას თეოგეოგრაფიულ რეგიონში, რომელიც ემთხვევა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ტერიტორიას.)

კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოს თუ დააკვირდებით, გამოკვეთილად ჩანს კავკასიონის მთავარი ქედი, რომლის ერთი ბოლო კასპიის ზღვის, აფშერონის ნახევარკუნძულით და მეორე ბოლო – აზოვის ზღვის, ტამანის ნახევარკუნძულის სანაპიროებით არის განსაზღვრული. კავკასიონის ქედის მთლიანი სიგრძე 1200 კმ-ია. კავკასიონის ზუსტად შუა წერტილში მდებარეობს ედენას მწვერვალი, რომლის ორივე ბოლოდან დაშორება 600 კმ-ია. იმისათვის, რომ გავერკვეთ რითია მნიშვნელოვანი ეს მწვერვალი, მოგაწვდით შემდეგ მონაცემებს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან:

„ედემი“ – ძვ. ებრაული, წარმოდგება ედენა-სგან. ბიბლიური ტრადიციით ადამიანის პირველსამყოფელი – სამოთხე. აქ იღებდა სათავეს 4 მდინარე. რეალურად, ედენას, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, ლოკალიზება შეუძლებელია. ძვ. ქართულ წყაროებში, ჩვეულებრივ, ედენას აღსანიშნად იხმარება „სამოთხე“. ედენა, სავარაუდებელია, ნასესხებია ბერძნულიდან და გადატანით ნიშნავს „მაღლით მოსილ ადგილს დედამიწაზე“ (ქართ. საბჭ. ენც. ტ IV გვ27)

„ედენა“ – მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე რიონის სათავეში. სიმაღლე 3951 მეტრი;

„ედენა“ – ხეობის ტიპის მყინვარი რაჭის კავკასიონზე. სიგრძე 4 კმ. ფართ. 5 კვ/მ.

[ს]ხუვავა – ედენას ტევრის წმინდა კედრების მცველი (ს. კრამერი „ისტორია იწყება შუმერიდან“ თბ. 1988 წ. გვ 22)

„სხუვავა – სოფელი ამბროლაურის რაიონში (ქართ. საბჭ. ენც. ტ IX გვ 629)

ჰიეროსექსუალური ფეხვილი

ედენას მთა-მყინვართა რეგიონი სათავეს აძლევს ოთხ მდინარეს: რიონს, ცხენისწყალს, ურუქს და ბალყარეთის ჩერეკს. ასევე, საღვთო ისტორია ედენას მთას მიიჩნევს „ქვეყნიერების შუაგულად“.

(1874 წელს კავკასიას ცნობილი ალპინისტი ფლორენს კროუფორდ გროუვი ესტუმრა. მან პირველმა აღნიშნა, რომ კავკასიის ერთ-ერთი მთა სწორი კონუსისებური ფორმით გამოირჩევა. ეს მთა ჩერეკის ხეობაშია. დღეს უკვე ცნობილია, რომ ეს დაფარული პირამიდაა რომელიც გვირაბებს მალავს)

მთა შოდა მოხსენიებულია გილგამეშის მოგზაურობისას „ედენას ტევრში“, სადაც მან მზის ამოსვლა ორჯერ იხილა. შოდის (შედუ) ქედის მწვერვალზე, ლოღორაზე, მართლაც აქვს მზის ორჯერ ამოსვლის მოვლენას ადგილი, სადაც გაემგზავრა მეფე გილგამეში (მუხამეში) ენქიდუსთან (ოჩოპინტრესთან) ერთად „წმინდა წითელი და თეთრი კედარის“ წასაღებად.

„ედენას ტევრს“, აღწერილობის მიხედვით, „ვერცხლისფერი მთები“ ამშვენებდა და იცავდა გოლიათი აგებულების (ს)ხუვავა. როდესაც ბრძოლა გაუმართეს (ს)ხუვავას, რომელიც შეიარაღებული იყო მელამებით (ჭექა-ქუხილის მსგავსი იარაღით), მან შვიდი მელამი სტყორცნა, მაგრამ გმირებმა მაინც დაამარცხეს, შეიპყრეს, თავი მოჰკვეთეს და წაიღეს მათთვის საჭირო „წმინდა თეთრი და წითელი კედრები“.

მეცნიერები ამაოდ დაშვრნენ ედენას თეოკულტურული არეალის ძებნით და სავარაუდოდ, ედენას არეალად ურარტუს მთიანეთი (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) მიიჩნიეს, მაგრამ იქ რომ არც „ვერცხლისფერი მთები“ არ იყო, არც „წმინდა წითელი და თეთრი კედარი“ და არც ედენას მთა და მყინვარი, საიდანაც ოთხი მდინარე იღებს სათავეს, თავიანთი ვარაუდი თვითონვე დააყენეს ეჭვქვეშ. ეს სურათი ნათლად ასახავს 5200 წლის წინ აღწერილს „ედენას ტევრს“ ანუ „ცოცხალი კაცის ქვეყანას“, იგივე „ღმერთების ქვეყანას“, „ამარანტების ქვეყანას“ და ა.შ

ბატისთავიანი ღმერთი

რაც შეეხება „წმინდა კედრებს“ – თეთრი კედარი ეს არის კავკასიური სოჭი, რომლითაც დღესაც მდიდარია „ედენას ტევრი“, ანუ რაჭა და დიდი მოთხოვნაა მასზე უცხოეთში. წითელი კედარი – ეს არის უთხოვარია (წუთული), რომელიც მენჩევიკების დროს ინგლისელებმა მილიონი კუბომეტრობით მოჭრეს და დაამზადეს „ედენას ტევრშივე“. ჩვენდა სავალალოდ, დღეს „ედენას ტევრის“ დატბორვა იმ „რაღაც ძალების“ ინტერესებშია, რომელიც ცდილობს საკაცობრიო ფასეულობის „ედენას თეოკულტურა“ არ გამომზეურდეს?!

გაყალბებულმა, იმპერიული ინტერესების განმახორციელებელმა „მეცნიერებამ“ და „მართლმადიდებლობამ“ წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოუტანა ჩვენ ეროვნულ ცნობიერებას და მთლიანად ამოძირკვა ეთნოყოფითი თვითშეგნება. ჩაგვიბეჭდეს აზროვნებაში დამღუპველ სიყალბეზე დაფუძნებული თვითშეგნება და დაგვაჯერეს, რომ „ღები“ „ამოღვებილს“ ნიშნავს, ჭიორა – მწიორს, გლოლა – დაქანებულს, უწერა – აღუწერელს, ონი – ცხენის დრუნჩს ოსურად, მამისონი – დედის სიზმარს, შქმერი – მცენარე შქერს, ბარი – ვაკე ადგილს, ფუტიეთი – ფუტუროს, სხუვავა – სხვა ჰავას, ურავი – ურას, ველევი – ველს, ამბროლაური – ამბროლა ურიას, და ა.შ ამ ცრუპენტელობის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ აქ მკვიდრებს არ შეეცნოთ ის ფასდაუდებელი თეოკულტურა, რომელსაც „ედენას თეოკულტურა“ წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ეს დამღუპველი „სწავლებანი“ დღემდე შეუფერხებლად აგრძელებს თავის მზაკვრულ საქმეს. დღეს წარმოდგენა არავის აქვს აქ მკვიდრებიდან, რა ფასდაუდებელი სულიერი საკაცობრიო მნიშვნელობის არის „ედენას თეოკულტურა“. აქ, ყოველი სოფელი და ხევი უდიდეს თეოკულტურულ მემკვიდრეობებს ინახავს, რომელსაც სწორი, ჭეშმარიტი თეომეცნიერული ახსნით უნდა მივუდგეთ და ვასწავლოთ მრევლს ის ეროვნული თეოკულტურა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო.

ვითომ, რა მიზნით დგას ედენას თეოკულტურული რეგიონის ცენტრში ღვინის ბოთლის ძეგლი?

რატომ არავის სურს დღეს, სულიერი მკვდრეთიდან გააღვიძოს „ედენას ტევრელები“?

რატომ არის, რომ მსოფლიოში სწორუპოვარი „ედენას თეოკულტურის“ განძის მფლობელი მხარის სოფლები მიტოვებულ-გაპარტახებული და დაცლილია?

რას აკეთებს ხელისუფლება, ეკლესია და საზოგადოება იმისათვის, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის ცნობიერი აღქმა, გაგება და სწავლება მოხდეს დღევანდელ ქართველებში?

„უწერა“ – სადღეისოდ გვატყუებენ, რომ თამარ-მეფემ თუ რომელითაც ბოქაულმა გაიარა რა ამ სოფელზე, აღმოჩნდა, რომ აქ მცხოვრები ხალხი აღწერის დავთარში არ იყვნენ გატარებული და ამიტომ ამ სოფელს დაერქვა „უწერა“?! სინამდვილეში, ქალდეურ-შუმერულად „უწერა“ „სალოცავს“ ნიშნავს. შოდა-რუბოძალის (შედუ-რაბუ) მთების გულში მდებარე სოფელს ჩამოუდის მუშუაანის ხევი (მაშუ). აქვეა [ხ]ურუმის სახელით მოხსენიებული ადგილი. ყველა ეს დასახელება შუმერულ-ქალდეურია და მოხსენიებულია მათ უძველეს წყაროებში.

საკაურას მთა, საიდანაც ეს მდინარე იღებს სათავეს, სოფელ ღების ტერიტორიაა, „ღები“ („გები“ „ღ“ – „g“) კი ძველეგვიპტური მიწის ღმერთის სახელია. ხშირად, ამ ღვთაებას თავზე ბატის მსგავსი ფრინველი აზის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი მისი ტოტემა იყო. „საკაურა“ – „აკაურა“, სულხან-საბას განმარტებით – დიდი, ბატის მსგავსი ფრინველია. თეოარსით, „სააკაურე“ იგივე „საღებოს“ ნიშნავს, ანუ გულისხმობს, რომ ეს ადგილი ღვთაება „ღები-ის“ კუთვნილება. ამრიგად, ჩამოყალიბდა თეოტოპონიმი „საკაურა“. „ედენას ტევრის“ ყველა ტოპონიმი შეგნებულად არის გაყალბებული.“ მამა ავთანდილი (გიორგობიანი)

ეგვიპტეში მზის კულტის ქალაქი იყო ჰელიოპოლისი, მზის ქალაქი, ეგვიპტურად „ონი“, რაც რაჭაში მეორდება. რაჭაში მდებარეობს საკაურა მთა და რიონის ერთ-ერთი შენაკადი საკაურა, რაც ზუსტად იმეორებს სესოტრიქსის ეგვიპტურ სახელს, რაჭაში, ბრილის გათხრებისას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტური სკარაბეები და სხვა „უცნაური“ ეგვიპტური კავშირები გამოჩნდა. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს?



გუდანის ჯვარი

ეს კი არა, ნიკორწმინდის ეკლესიაში (1010-1014 წ.წ.) ფრესკაზე გამოსახული მამათმავლობის სცენები რატომ გამოსახეს მაინც და მაინც რაჭაში და არა სხვაგან, ვერავინ ხსნის, არადა, შინაარსობრივად თითქოსდა გასაგებია ყველასთვის – ეშმაკისეული მძიმე ცოდვაა. მართლაც გასაოცარია და ამასთანავე ძნელად აღსაქმელი, როდესაც უფლის სახლში შესული ფრესკად ხედავ, როგორ აუპატიურებს შებოჭილ, ყელზე დოქჩამოკიდებულ (ანუ მწყურვალობით დასჯილს) მამაკაცს ეშმაკი, ხოლო მეორე ფრესკაზე ეშმაკი „უნანავებს“ ჰომოსექსუალ წყვილს. (გასულ კვირას გახლდით ნიკორწმინდაში და ჯერჯერობით სრულ გაურკვევლობაში გახლავართ.)

„ღ(გ)ებ-ი“ (Geb – მიწა) დედამიწის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. ეგვიპტელები მას მიწის, ნაყოფიერების, ერთიანობისა და სტაბილურობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. „ბატისთავიანი ღმერთი“, რომელიც წითელი პარიკით გამოისახებოდა, თვალნათლივ გამოირჩევა ეგვიპტურ პანთეონში საკუთარი ვიზუალით.

ბერძნული მითოლოგიით, ბერძენი ქალღმერთის, გეა-ს ორეული, ნუტის („ცის“) ქმარი, რომლის წიაღიდანაც ადიან მზე და ვარსკვლავები, შემდეგ კი ისევ მას უბრუნდებიან დასავლეთში. „გ(ღ)ების“ ზურგზე დგას „შესანიშნავი ღმერთი“ (მაგიური პაპირუსი ჰარისი) შუ და ხელებით აკავებს ცის თაღს, ღმერთების პანთეონშია და დასაბამს აძლევს ფარაონთა მეუფებას („გ(ღ)ების მემკვიდრეები“). გ(ღ)ების და ნუტის შვილები

ეშმაკი აუპატიურებს

არიან: სეთი, ოსირისი, ისიდა და ნეფთისი (გესია – ჰოროსიც). ის არის მიწის, როგორც პლანეტის პერსონიფიცირება. მისი ნიშნის, ბატის გამო, ისიდა „ბატის კვერცხად“ იხსენიება.

ეგვიპტურად „გებ“, ბერძნულად – გე“, სვანურად „გიმ“, „გაიმ“ – შედარებისთვის: (ა)გებ(ა) – შენება, ცისკენ მისწრაფება.

კოლხურ-ეგვიპტურ კავშირებზე მოგვითხრობენ თუნდაც ძვ. წ XX საუკუნისა და ძვ.ე XVI საუკუნის პაპირუსები „ხომალდის დაღუპვას გადარჩენილი კაცის ამბავი“ და „ფუნტის ექსპედიცია“ – ორივე შემთხვევაში „ედენას ტევრის“ თეოკულტურულ რეგიონთან, მასთან კავშირ-ურთიერთობასთან გვაქვს საქმე ძვ. ეგვიპტელთა უმთავრესი მზის ღვთაების ქალაქის „ონი“, „პატარა ონი“ და „ღები-ს“ სახელით.

ეგვიპტური და ქართველური სამყაროს კავშირებზე პირველი ცნობები „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტეს ეკუთვნის, რომლისთვისაც კოლხთა და ეგვიპტელთა მსგავსება ეჭვს არ იწვევდა. აღნიშნული მოსაზრება თავის მხრივ გაამყარა უკრაინელმა ენათმეცნიერმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა იური მოსენკისიმ. ძველეგვიპტური და პროტოქართველური ენების შედარებითი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ორი უმთავრესი ეგვიპური ღმერთი, რომელიც ეგვიპტისთვის უცხოდ ითვლებოდა, ქართველური სამყაროდან არის შესული – თოთი და ოსირისი.

თოთი, რომლის უძველესი ფორმაა „ჯეხუთი“, ითვლებოდა „უცხო ქვეყნის მბრძანებლად“ და მთელი ეგვიპტის ინტელექტუალური ცოდნის შემქმნელად. ის მართავდა დროს; შექმნა დამწერლობა და ანგარიში. მისი ასტრონიმიული სახეა მთვარე. ძველ ეგვიპტურად „თოთი“, ქართულად – „თუთა“, თთუე(თვე) – მთვარე.

მეორე არაეგვიპტური ღმერთი, ოსირისი – ისიდას მეუღლე, რომელმაც ეგვიპტე გადაარჩინა ველურ ცხოვრებას, ასწავლა ხვნა-თესვა, ვენახის გაშენება, პურის გამოცხობა, ლუდისა და ღვინის დაყენება, სპილენძისა და ოქროს მოპოვება-დამუშავება, მკურნალობა, ქალაქების შენება და დაუწესა ღმერთების თაყვანისცემა. მისი სახელი შეესაბამება ქართულ „ზრდას“, გამოხატულება ცაზე ორიონის თანავარსკვლავედია.

ოსირისის ისტორია შინაარსობრივ მსგავსებას ამჟღავნებს „ამირანის მითთან“. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ამირანის მამას რაჭულ ვერსიაში „სირ(რ)ა“ ჰქვია. სახელი „სირა“, გაურკვეველ შინაარსის ცნებას წარმოადგენდა, თუმცა ახლა უკვე აშკარა კავშირი ჩანს ძველ ეგვიპტურ „სირ-თან“, რომელიც ორი+ონის სახელია.

საქართველოს მთაში აგებულ ციხე-სიმაგრეებზე გაუშიფრავმა პიქტოგრამულმა გამოსახულებებმა მიიქცია ყურადღება, რომელიც თითქმის ყველა მათგანზეა, თვით რესტავრირებულ ციხეებზეც კი. რა ინფორმაცია ინახება ამ ქვებზე, რომელის სიმბოლოები ძირითადად ხმელთაშუა ზღვისპირეთის სიმბოლოების იდენტურია და ზოგი სიმბოლო ეტრუსკულ ანბანშიც გვხვდება? ვარაუდობენ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ქვები ინახავდნენ, დაკარგული იყო საუკუნეების განმავლობაში, რაც კოსმოგონიურ ცოდნას შეიცავდა. დაუჯერებელს ჰგავს, მაგრამ ორიონის, თოთის და ეგვიპტის „თემას“ დამამტკიცებელი არგუმენტი მოეძებნა ხევსურეთში. ის, რომ ხევსურეთის სულეთის ღმერთი საოცრად მსგავსია ღვთაება თოთისა, ერთია და – ხევსურთა მთავარ სალოცავში, „გუდანის ჯვარში“, დევს ქვა, რომელზეც გამოსახულია ხელი (აქ – ღვთის ნება), ოთხკუთხედში ჩახატული ჯვარი (პირამიდა ზემოდან), შუაში ადამიანის ფიგურა – ორიონის თანავარსკვლავედი, რომელიც სიმბოლიკაში სწორედ ასე გამოისახებოდა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ ანიჭებდნენ ძველ სამყაროში ორიონს (ორი+ონს) ასეთ დიდ მნიშვნელობას?

„ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ორიონის თანავარსკვლავედზე დაკვირვებით შეიძლება დედამიწის პრეცესიის გამოთვლა, რომლის სრული ციკლი 25 920 წელია. როგორც ვხედავთ, პრეცესიის შესახებ იცოდნენ შუმერებმაც და ეგვიპტელებმაც, მაგრამ დაზუსტებით ვერავინ ამბობს, საიდან იცოდნენ.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარღვნამდე არსებობდა უძველესი განვითარებული ცივილიზაცია, რომელთა გადარჩენილმა ქურუმებმა ხვამლის მთას შეაფარეს თავი და აქვე საიდუმლოდ ინახავდნენ ცოდნას. ამ ცოდნას ემყარებოდა შუმერებისა და ეგვიპტელების უდიდესი ცივილიზაციებიც. აქედან წაიღეს არგონავტებმა „ოქროს საწმისი“ და სათავე დაუდეს ახალ ბერძნულ ცივილიზაციას. აქ გაზარდა ზევსი კავკასმა და აქვეა მიჯაჭვული პრომეთე, რომელმაც ადამიანებს მოუტანა ცოდნის ღვთაებრივი ცეხცხლი“ – დავით გოგუაძე.

(გაგრძელება იქნება)

ფსიქოტრონული იარაღი – სასიკვდილო დარტყმა ტვინზე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარიჟრაჟზე დიქტატორები და ტოტალიტარული სახელმწიფოების მეთაურები ოცნებობდნენ უძველესი ოკულტური მეცნიერებების და ადამიანის ფსიქიკის ფარული შესაძლებლობების მატერიალიზაციაზე იარაღის სახით.

ასეთი იარაღის შექმნით სამხედროები მიიღებდნენ მასობრივი დამონებისა და მოსპობის იდელურ იარაღს. სპეცსამსახურები მიიღებდნენ იდეალურ აგენტ ზომბს.

XX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს ამ ოცნებათა განცორციელება.

1925 წელს რუსული და საბჭოთა ფსიქოტრონული იარაღის ერთ-ერთმა შემქმნელმა ვლადიმერ ბეხტერევის ჯგუფმა ჩაატარა შორიდან კოლექტიური ემოციების შთაგონების პირველი ცდები. მასობრივი შთაგონება ხდებოდა რადიოქსელით.

ამ საშინელი იარაღის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს ფ. ძერჟინსკის ქალიშვილმა მ. ტალცემ და დოცენტმა დ. ლუნცმა.

ისინი ამუშავებდნენ საგანგებო ნარკოტიკული პრეპარატების და ტექნიკური აპარატურის ურთიერთქმედებაზე დაფუძნებულ კომბინირებულ ფსიქოტრონულ ტექნოლოგიებს.

ცდებს ატარებდნენ ლუბიანკას პატიმრებზე და ფსიქიატრიულ დაწესებულებათა პაციენტებზე. ტელევიზიის გამოგონების შემდეგ მოსახლეობის მასობრივი ფსიქოტრონული დამუშავებისთვის დღეს, აქტიურად იყენებენ ტელევიზიასაც.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ფსიქოტექნოლოგიის იარაღის შექმნის სფეროში გამოკვლევების მასალები მოხვდა საბჭოთა სამხედროების და ჩეკისტების ხელში რამაც ბიძგი მისცა საბჭოთა ფსიქოტრონული იარაღის შემდეგ განვითარებას.

1950-ანი წლების ბოლოს თანამედროვე საბჭოთა ფსიქოტრონული იარაღი გავიდა დახურული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებიდან და გადაეცა სპეცსამსახურებს და სამხედროებს.

ამავე დროს აკრძალეს ცდები ადამიანის ქცევაზე ზემოქმედებისთვის გათვალისწინებულ იარაღზე, ადამიანის ქცევის მართვის შესაძლებლობაზე მასალების ღიად გამოქვეყნება.

გასაიდუმლოებულ ქარხნებში დამზადებულ ფსიქოტრონულ იარაღს 1970-ანი წლების ბოლოდან მასშტაბურად იყენებენ მოსახლეობის წინააღმდეგ.

1980-ანი წლების ბოლოს „გლასნოსტის“ პოლიტიკასთან ერთად გაჩნდა ფსიქოტრონული იარაღის დამკვეთების და დამამზადებლების მამხილებელი პუბლიკაციებიც. ამავე დროს დაიწყო საუკუნის საშინელ დანაშაულთან მებრძოლი უფლებადაცვითი მოძრაობის შექმნა.

ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია აღნიშნული იარაღის შესახებ და ადამიანების უმრავლესობა მას ფანტასტიკის სფეროდ აღიქვამს. არადა მიშა საკაშვილის ხელისუფლება „უფროსი ძმების“დახმარებით მას აქტიურად იყენებდა ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ. საზოგადოებაზე ზემოქმედების, შიშის დათესვის და დამონების შესანიშნავი ნიმუშია მიშას გიტლერისეული მოძრაობებით, დუჟგადმოსული ბაგიდან წარმოთქმული სიტყვები-„ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“. აღნიშნული ფრაზა გათვლილი იყო, არა მხოლოდ მოწინააღმდეგეების დასათრგუნად, არამედ მომხრეების უსიტყვო დამორჩილების მიზნითაც. აღნიშნულის შედეგია სამეგრელოს სამალავებიდან ამოღებული ფირები. ძნელი წარმოსადგენია, რომ არა ნაცების სატანური მმართველობა იმ ცხოველებს რომლებიც დასკოჩილ მამაკაცებს აუპატიურებდნენ მსგავსი სურვილი ვფიქრობ არასდროს ექნებოდათ და ალბათ ამ „მძიმე როლსაც“ვერ აცნობიერებდნენ... და მაინც რა არის ეს მეოცე საუკუნის საშინელი იარაღი, რომლისგან დასაცავად არცთუ მრავალი ხერხი არსებობს?- ფსიქოტრონული იარაღი განეკუთვნება არალეტალურ იარაღს. მაგრამ მის უხილავ კომპონენტებს შეუძლიათ შორიდან მოკვლა, ქრონიკული ავადმყოფობის იმიტაცია ან გაჩენა, ადამიანის გადაქცევა დამნაშავედ ან მისი გაგიჟება, წამებში კაპიტალური შენობის დანგრევა, ნებისმიერი კლიმატური კატასტროფის პროვოცირება, ადამიანების ქცევის მართვა, მოსახლეობის მსოფლმხედველობის შეცვლა. არსებობს არალეტალური იარაღის 4 ტიპი...

ერთ-ერთ ტიპს შეუძლია მოწინააღმდეგის ფსიკის, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, კუნთოვანი ტონუსის, ორგანიზმის სხვადასხვა სისტემას.

ამ იარაღს, მისი შემქმნელები აცხადებენ უსისხლო ჰუმანურ ბომბად და კაცობრიობისთვის გაკეთებულ საჩუქრად. მათი პროპაგანდა ჭრის და ეს იარაღი აკრძალული არაა... 2012 წლამდე „ცნობილი“სატელევიზიო არხებიდან მხოლოდ ხელისუფლების სასარგებლო ინფორმაცია მოედინებოდა, რათა საგანგებოდ მომზადებულ სიცრუეს დაეპყრო მასების გონება. რეგიონების მოსახლეობას არ ჰქონდა ალტერნატიული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი „გლობალ ტვ“-ის და “მაესტროს” ანტენებზე. ხელისუფლებას სურდა ძილ-ბურანში ყოლოდა მოსახლეობა, მაშინ „Global TV“-ის ანტენების მასობრივად

დაყენებამ ნაციონალურ ტელევიზიებს მასებზე ზემოქმედების – ფსიქოტრონული იარაღის ფუნქცია დაუკარგა. ყველაზე დამანგრეველი სახელმწიფო მოხელის, ხელისუფლების პირველი პირების ტყუილია. განურჩევლად იმისა, რა ერქმევა მეთაურს – მეფე, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ ბელადი, არ უნდა იტყუებოდეს და უნდა ახსოვდეს, რომ თევზი ყოველთვის თავიდან ყარს. მატყუარა წინამძღოლს მიჰბაძავს ერი და სიცრუე შთანთქავს სახელმწიფოს. თუ ქვეყანაში, პირველი პირი მატყუარაა, მასავით ტყუიან ხელისუფლების ყველა რგოლში, ტყუიან ბანკსა და მაღაზიაში, საავადმყოფოში, სადაზღვევო კომპანიაში, სკოლასა თუ საბავშვო ბაღში. ტყუიან ქუჩაში, სატელეფონო საუბრისას, პირისპირ. ტყუილში იზრდებიან ბავშვები და ფსიქიკა უმახინჯდება თაობებს. მკვლელების ნაცხროვა დღემდე ყველა ხერხით ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და თავის ნამოქმედარი მოწინააღმდეგეს გადააბრალოს! პროკურატურის ინფორმაციით, გასროლისას, ეროსი კინწმარიშვილი ავტომანქანაში მარტო იმყოფებოდა და მან თავი მოიკლა. მისი, როგორც მოწინააღმდეგის ჩამოცილება, თვითმკვლელობით და შემდეგ მკვლელობის მითის შექმნა, ისევ ნაცხროვის ინტერესში იყო, მათთვის ჩვეული სტილია „ორი კურდღლის დაჭერა“, მოწინააღმდეგის ჩამოცილება და შემდეგ მათთვის გადაბრალება!

ფსიქოტრონული იარაღის სხვადასხვა სახეობას საკაშვილი აქტიურად იყენებდა, 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული „უცნაური აპარატურა“ სპეციალური აკუსტიკური იარაღი – Medium Range Acoustic Device – იყო, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ ამერიკელებისგან მიიღო. აღნიშნული იარაღი ამერიკელებმა მანამდე ერაყელი ბოევიკების წინააღმდეგ გამოსცადეს, უფრო გვიან კი, რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთში, – ორივე შემთხვევაში ექსპერიმენტს თუ გამიზნულად გამოყენებულ მეთოდს, საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა, გამოყენებული იარაღი არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გამოსცემს ინფრაბგერებს 15 დან 20 კილოჰერცამდე და ე. წ. ჩუმი ტალღების სახით ხვდება ადამიანის ორგანიზმში, ისე, რომ სმენითი ორგანო ვერ აღიქვამს მათ. სამაგიეროდ, ეს ბგერები „ღვივდება“ ადამიანის გონებაში და დროთა განმავლობაში თავის აზრებად აღიქვამს. ეს არის გამომსხივებელი ტიპის იარაღისა და საგნების გამოყენება ჩვეულებრივ ყოფით და საწარმოო გარემოში ადამიანთა ქცევის, ფიზიოლოგიისა და ჯანმრთელობის ფარული დისტანციური მართვის მიზნით. ამ ბგერების

„მიღების“ შემდეგ, ადამიანს ეწყება გულის რევის შეგრძნება, გაბრუება, თავის, ყურებისა და თვალების ტკივილი, ამოუხსნელი შიში. უჩნდება სურვილი გაეცალოს იმ ადგილს...

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფსიქოტრონული იარაღის სხვა და სხვა ტიპი არსებობს, თუმცა მიუხედავად მისი ტიპისა და სიმძლავრისა, მისი გამოყენება ანგრევს ადამიანების ფსიქიკასა და ქვეცნობიერს. ადამიანში იწვევს ფიზიკურ, ემოციურ და მენტალურ რეგრესს.

„სასიკვდილო დარტყმა



ტვინზე“ – ასე უწოდებენ მას სპეციალისტები და განმარტავენ, რომ ეს არის „გრძელვადიან შედეგზე გათვლილი იარაღი“, რომელიც დროთა განმავლობაში ხასიათდება თავის ძლიერი ტკივილებით, ძილის დარღვევით, გადაღლილობის შეგრძნებით, იმპოტენციით, მეხსიერების გაუარესებით, ისტერიით, აკვიატებული იდეებით, სხეულის სხვადასხვა ნაწილებში ქავილითა და დაბუჟებით... დასხივება მდგომარეობს რადიოტალღების სხვადასხვა სიხშირით მოდულირებული იმპულსებით ადამიანის ორგანიზმზე, – ტვინზე, სისხლძარღვთა კედლებზე, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. შედეგად, ადამიანები ზოგ შემთხვევაში თვითმკვლელობამდე მიდიან, ზოგჯერ ფსიქიატრიულ ან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ასრულებენ სიცოცხლეს, ან მთელი ცხოვრება დაავადების „უცნაურ“, თითქმის განუკურნებელ ფორმას მკურნალობენ. მათ ესმით გაუკრვეველი, ამოუხსნელი ხმაური, რომლის გამოხატვის ეშინიათ, რათა საზოგადოებამ შეურაცხადად არ ჩათვალოს, ხალხმრავლობის ქვეცნობიერი შიში და აგრესია, მუდმივი გამოუძინებლობა, გაფანტულობა, მოდუნება. ამ ბგერების მატარებელი ადამიანები ვერ ახდენენ კონცენტრაციას. დროთა განმავლობაში აგრესიული ხდებიან და თითქმის გაუზრებლად ჩადიან კრიმინალურ დანაშაულს... ვფიქრობ, აღნიშნული სიმპტომები ნაცნობია საზოგადოებისთვის, აგრესია და მომრავლებული სუიციდიც ფსიქოტრონული იარაღის შედეგია. რიგ შემთხვევებში სააკაშვილი ვფიქრობ, ლენინისდროინდელ კრემლის საიდუმლო ლაბორატორიაში, მიღებულ და შემდგომ გაუმჯობესებულ პრეპარატსაც იყენებდა, რომელიც კვალს არ ტოვებს, ობიექტი ინსულტით ან ინფარქტით ასრულებს სიცოცხლეს. მოწინააღმდეგის ბანაკიდან „ერთგული“ ადამიანის გადმობირება კი ტექნიკის საქმეა, ნაცხროვის „ტექნიკური“ მხარე რიგ შემთხვევებში სამეგრელოს სამალავებში ფირებზე იყო ასახული... ვარაუდი, რომ ბადრი პატარკაციშვილის, კახა ბენდუქიძის და სხვა ადამიანების მოულოდნელი სიკვდილი კრემლის ლაბორატორიის ნებისმიერ სითხეში სწრაფად ხსნად პრეპარატს „მივაწეროთ“ ლოგიკურია.



უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ ჩანაწერში, სააკაშვილი ადეიშვილს საყვედურობს, რომ სულხან მოლაშვილი დროზე ვერ „-მოაცილეს“-„. . აუცილებლად მიხედე ბიჭო! შენდა ოქრუაშვილი არ მეუბნებოდით მოლაშვილი, საცაა დაიბრიდებაო მერე! თქვენ არ იძახდით მამალაძეს ისე გავჭედავთ ცხოვრებაში თავს ვერ წამოწევს და სადაც არის იქ მივაძაღლებთო ეგ ემზარი კოდორში გყავდათ თქვე ჩემისებო! თქვენ არ მეუბნებოდით ემზარა რომ გაატანეთ ონიანს, ეგრე ჯობიაო, ეგ უნდა გაგეშვათ ცოცხალი არა! მერე რა ქენით თქვენ ბლიად, არაფერი! მოლაშვილი ციხეში გყავდათ და იქ ვერ მიხედეთ, თქვე სირებო. მე ლაპარაკიც არ მინდა რა, ეგენი ჩემზე გადამტერებულები არიან და მომაშორეთ დროულად... “მიშა აღნიშნულ ჩანაწერში ტრაბახობს , რომ სულხანს მექრთამეობის და ნარკომანობის „იარლიკი“ მიაკრა ხალხი მას დაუჯერებს... ადეიშვილი სააკაშვილს კატეგორიულ მოთხოვნაზე მოაცილოს მოწინააღმდეგეები, კონკრეტულად მოლაშვილზე ასე პასუხობს-„მოლაშვილს ჰა, ჰა დარჩეს რამდენიმე თვე!“ რამდენიმე თვე გავიდა და სამწუხაროდ მოლაშვილი გარდაიცვალა. (დიახ, იგი ნაცელიტამ მოკლა სააკაშვილის შეკვეთით!) საღად მოაზროვნე საზოგადოება აგრესიას ვერ მალავს და მომხდარში ღიად ადანაშაულებს სააკაშვილს და მისი ხროვის წევრებს. ნაცხროვის ფანები ერთი-ერთში იმეორებენ მიშტლერის სიტყვებს! დამაფიქრებელია ფსიქოტრონული იარაღის რომელი სახეობით მიეხმარებიან „უფროსი ძმები“ მიშას საარჩევნოდ და რა ელით ნაცხროვის მიერ დამცირებულ, დაყაჩაღებულ, სულიერად თუ ფიზიკურად განადგურებული ადამიანების „ოცნებას“ აღდგენილ სამართალზე. დამაიდებელია ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა „გასაკეთებელი“ გააკეთა, ვფიქრობ ამოწურა თავის შესაძლებლობები, დასავლეთი ხალხს გვარიანად შეაძულა და უკვე გაშიფრული, შიშველი მიშაც ტვირთი უნდა იყოს „უფროსი ძმებისთვის“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიფვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– ვარ 71 წლის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ვაპირებ მეუღლესთან განქორწინებას, რადგან ჩვენი ერთად ცხოვრება ყოველგვარი მოთმინების ზღვარს სცილდება. ქონებრივი დავა არ გვაქვს. შეიძლება თუ არა, ეს მოგვარდეს სასამართლოს გარეშე?

– გამოგიტყდებით, ნამდვილად გამიკვირდა, ამდენი ხნის თანაცხოვრების შემდეგ მეუღლესთან განქორწინება რომ გადაწყვიტეთ. ჩემი ადამიანური რჩევაა, კარგად დაფიქრდეთ და ისე მიიღოთ გადაწყვეტილება. სამართლებრივი რჩევა: დიახ, ეს შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს გარეშე, თუ თქვენ ნამდვილად არ გაქვთ ერთმანეთთან ქონებრივი დავა და ორივე მხარე თანახმანი იქნებით განქორწინებაზე. ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო აქტების სააგენტოში თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

– პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?

– ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში – საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

* * *

– ვცილდები მეუღლეს. ტერიტორიულად რომელ სასამართლოში შევიტანო სარჩელი?

– საქმე ეხება ოჯახური განსჯადობის დავას, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი, რომლის შინაარსსაც, გავცდები რა შეკითხვის ფორმატს, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. (ამოღებულია).

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

– მსურს, ვიშვილო მცირეწლოვანი გოგონა. ყველაფერი მოგვარებული მაქვს. სად, რომელ სასამართლოში უნდა შევიტანო განცხადება?

– თუ თქვენ ნამდვილად გავლილი გაქვთ სასამართლომდელი ყველა სამართლებრივი პროცედურა, მაშინ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19[1]-მუხლის მიხედვით, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.

* * *

– ვარ სოციალურად დაუცველი. სასამართლოში შემაქვს სარჩელი. უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი?

-თუ თქვენ დადგენილი წესით რეგისტრირებული ბრძანდებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, სასამართლოში სარჩელის შეტანისას სახელწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებით.

ამერიკის დამოუკიდებლობის დღე

დამოუკიდებლობის დღე აშშ-ის მთავარი სახელმწიფო დღესასწაულია, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების საპატივცემულოდ აღინიშნება. 1776 წლის 4 ივლისს 13 შტატის წარმომადგენლებმა ფილადელფიის ქალაქის საკრებულოს შენობაში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელმაც შეერთებული შტატები ბრიტანეთის სამეფოსგან თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

მეტროპოლიასთან განხეთქილების გარდაუვალობა ნათელი გახდა 1775 წლის აპრილში ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისთვის დაწყებული სამხედრო მოქმედებების შემდეგ (1775-1783).

1776 წლის 7 ივნისს კონტინენტალური კონგრესის სხდომაზე ვირჯინიის შტატის დელეგატმა რიჩარდ ჰენრი ლიმ შეიტანა რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ „გაერთიანებული კოლონიები არის და უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები; რომ ისინი სრულიად თავისუფლდებიან ბრიტანული გვირგვინის ერთგულებისგან; რომ ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი მათსა და ბრიტანეთის სახელმწიფოს შორის მთლიანად უნდა დაირღვეს“.

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დეკლარაციის მოსამზადებლად 11 ივნისს აირჩიეს კომიტეტი თომას ჯეფერსონის, ჯონ ადამსის, ბენჯამინ ფრანკლინის, როჯერ შერმანისა და რობერტ ლევინგტონის შემადგენლობით. დეკლარაციის პროექტის შედგენა დაევალა კომიტეტის ხელმძღვანელს, დამოუკიდებლობისთვის ომის ცნობილ მოღვაწეს, თომას ჯეფერსონს, რომელიც 17 დღე მუშაობდა მის ტექსტზე (11-18 ივნისი).

ჯეფერსონის პროექტი ჯონ ადამსისა და ბენჯამინ ფრანკლინის უმნიშვნელო შესწორებებით 28 ივნისს წარედგინა კონტინენტალურ კონგრესს. განხილვის მსვლელობისას პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები, კერძოდ, ამოღებული იქნა დეკლარაციის ის ნაწილი, სადაც დაგმობილი იყო მონობა და მონათმფლობელობა.

4 ივლისს საღამოს, „ამერიკის ცამეტი შტატის ერთობლივი დეკლარაცია“ ერთხმად იქნა მიღებული, კონგრესის პრეზიდენტის ჯონ ჰენკოკის და მდივნის ჩარლზ ტომსონის ხელმოწერებით დამოწმებული და ხმამაღლა წაკითხული იმ შენობის წინ შეკრებილი ხალხის წინაშე, რომელშიც კონტინენტალური კონგრესი იმართებოდა.

ეს იყო ისტორიაში პირველი დოკუმენტი, რომელიც აღიარებდა სახალხო სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფო მოწყობის პრინციპს და რომელიც უარყოფდა იმ დროს გავრცელებულ ძალაუფლების ღვთაებრივ წარმომავლობას. დამოუკიდებლობის დეკლარაცია უფლებას აძლევდა ხალხს აჯანყებულიყო და დაემხო დესპოტური მთავრობა, აღიარებდა დემოკრატიის ძირითად იდეებს – ადამიანთა თანასწორობას და მათი „განუყოფელ უფლებებს, რომელთა შორისაც არის სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება“.

დეკლარაცია არა მარტო ახალი სახელმწიფოს „დაბადების მოწმობა“ გახდა, არამედ ამერიკული ლიტერატურის ძეგლიც: ჯეფერსონმა შეძლო მისი პრინციპებისა და იდეების მოკლე და გასაგები ენით გადმოცემა.

პერგამენტზე დაწერილი დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონია 1776 წლის 2 აგვისტოს გაიმართა. ყველა 56 ადამიანი, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას, ამერიკის ისტორიაში შევიდა. მათ მიეძღვნა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა და მემორიალი, რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს.

დეკლარაციაზე ხელმომწერი 56 ადამიანიდან 5 ინგლისელებმა შეიპყრეს და დახვრიტეს, როგორც მოღალატეები, 9 მათგანი ჭრილობებისგან გარდაიცვალა, რომლები დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებში მიიღეს. ბევრმა მათგანმა დაკარგა ცოლი, შვილები და ქონება. ბედის ირონიით, დოკუმენტის ორი ავტორი, რომლებიც მოგვიანებით აშშ-ის პრეზიდენტები გახდნენ – თომას ჯეფერსონი და ჯონ ადამსი ერთ დღეს – 1826 წლის 4 ივლისს გარდაიცვალნენ, დეკლარაციაზე ხელმოწერიდან 50 წლის შემდეგ.

1870 წელს ამერიკის კონგრესმა 4 ივლისი სახელმწიფო დღესასწაულად გამოაცხადა, ხოლო 1941 წლიდან ეს დღე ანაზღაურებადი დასვენების დღეა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის ორიგინალი ითვლება ამერიკის სახელმწიფოს საკუთრებად და ვაშინგტონის ნაციონალურ არქივში ინახება. დღის განმავლობაში დეკლარაცია არქივის დარბაზში გამოაქვთ, რათა დამთვალიერებლებმა იხილონ, ღამით კი კონტეინერი დაცულ ქვედა სართულზე ჩადის ლიფტით.

ტრადიციის მიხედვით, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს დამთვალიერებლებისა და ტურისტების წინაშე გამოდიან მსახიობები, რომელთაც XVIII საუკუნის კამზოლები აცვიათ და იმდროინდელი ქუდები ახურავთ. ისინი ხმამაღლა კითხულობენ დეკლარაციის ტექსტს.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი ვაშინგტონში იმართება. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაციონალური ღონისძიებაა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული პატრიოტული საფუძველი აქვს და მასში ძალიან ბევრი მუსიკოსი, სამხედრო, მსადიობი და მოხელე ირებს მონაწილეობას.

მთლიანად ამერიკაში კი იმართება სახალხო სეირნობები, ფეიერვერკები, ამერიკელები საკუთარ სახლებზე გადმოფენენ სახელმწიფო დროშებს.

როცა ამერიკის მთავრობა დათხოვილია

თოთოეულმა ამერიკელმა იცის, რას ნიშნავს ტერმინი „Government Stutdown". ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის მთავრობა დათხოვილია.

ასეთი სიტუაცია მაშინ იქმნება, როდესაც ამერიკის კონგრესი უარს აცხადებს თეთრი სახლის დაფინანსებაზე. ასეთ შემთხვევაში, კონსტიტუციის თანახმად, მთავრობამ დათხოვილად უნდა გამოაცხადოს თავი და ყველა სახელმწიფო მოხელე შვებულებაში გაუშვას.

პრეზიდენტ ფორდისა და პრეზიდენტ კარტერის მმართველობის წლებში აშშ-ის მთავრობა ექვსჯერ იყო დათხოვილი 6-დან 18 დღის ხანგრძლივობით. პრეზიდენტ რეიგანის დროს კი 8-ჯერ, ორ-ორი დღით. კლინტონის პრეზიდენტობის დროს ამერიკის მთავრობა ორჯერ დაითხოვეს 5 და 21 დღით. ბოლოს მთავრობა ობამას დროს დაითხოვეს 2013 წელს 5 და 21 დღით. შედეგად, იმ წელს აშშ-ს 1-დან 16 ოქტომბრის ჩათვლით მოქმედი მთავრობა არ ჰყავდა, ანუ ქვეყანას ფაქტობრივად, არავინ მართავდა.

1976 წლიდან მოყოლებული, აშშ-ის მთავრობა 18-ჯერ იყო დათხოვილი.

კრიზისის პირობებში ყველა სახელმწიფო მოხელეს უფასო შვებულებაში უშვებენ. მუშაობას აგრძელებენ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეები, სამართალდამცავები, სახელმწიფო საავადმყოფოების ექიმები და მედპერსონალი, ასევე ავიადისპეტჩერები.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com